

საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის სახელმძღვანელო



Forex

ყველგან და
ყველასთვის

გიორგი ნემსაძე

თბილისი 2012 წელი

სარჩევი

თავი 1; შესავალი	
მცირე ისტორია	
ბაზარი დღეს; ორიოდ სიტყვით: "რა არის Forex-ი"	
ბირჟების მიმოხილვა	
სავალუტო ბირჟა	
Forex-ის ლიკვიდურობა	
Forex-ის სამუშაო დრო და რეგიონები	
Forex-ის ძირითადი მონაწილე სუბიექტები	
თავი 2; ძირითადი ტერმინები და განმარტებები	
სავალუტო წყვილები	
სავალუტო კურსები	
სვოპ	
მარჟირებული ვაჭრობა	
პიპს	
ტრენდი	
სპრედი	
გრძელი და მოკლე პოზიციები	
დივერგენცია	
პირდაპირი და არაპირდაპირი კოტირება	
თავი 3; გრაფიკების სახეობები	
წრფივი ტრენდი	
ბარ ტრენდი	
იაპონური სანთლები	
თავი 4; ტრენდის შემობრუნების მოდელები	
შემობრუნების მოდელი ურო (<i>Hammer, Bullish Reversal</i>)	
შემობრუნების მოდელი ჩამოხრჩობილი (<i>Hanging man, Bearish Reversal</i>)	
შემობრუნების მოდელი შთანთქმა (<i>Engulfing Pattern</i>)	
შემობრუნების მოდელი "ზნელი ღრუბლების ფარდა"	
შემობრუნების მოდელი "გამონათება ღრუბლებში"	
შემობრუნების მოდელი "ცისკრის ვარსკვლავი"	
შემობრუნების მოდელი "მწუხრის ვარსკვლავი"	
შემობრუნების მოდელი "პინცეტი"	
შემობრუნების მოდელი "სამი ვარსკვლავი"	
შემობრუნების მოდელი "გადამკვეთი ხაზები"	
შემობრუნების მოდელი "ხარამი"	
შემობრუნების მოდელი "ხარამი ჯვარი"	
თავი 5; ტრენდის გაგრძელების მოდელები	
გაგრძელების მოდელი "სამი შავი (თეთრი) მებრძოლი"	
გაგრძელების მოდელი "სამი სამმაგი დარტყმა"	
გაგრძელების მოდელი "აღმა/დაღმა გარღვევა"	
გაგრძელების მოდელი მომიჯნავე სანთლები	
თავი 6; ფუნდამენტალური ანალიზი	

ფინანსური ფაქტორი (საპროცენტო ნიხრები და ინფლაცია)	
ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკების დაკრედიტების %	
სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების შესყიდვის %	
ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი სალომზარდე განაკვეთის %	
ეკონომიკური ფაქტორი	
საერთაშორისო ეკონომიკური მაჩვენებლები	
საერთაშორისო საფონდო ინდექსები	
ქვეყნის შიდა ეკონომიკური მაჩვენებლები	
პოლიტიკური ფაქტორი; ინფორმაციები და მათი გავლენა	
ბუნებრივი კატაკლიზმები და სხვა ფორსმაჟორული გარემოებები	
თავი 6; ტექნიკური ანალიზი	
ძირითადი დებულებები	
ჩარლზ დოუს ექვსი პოსტულატი	
გრაფიკული ანალიზი	
ტრენდის შემობრუნების ფიგურები	
შემობრუნების ფიგურა "თავი და მხრები"	
შემობრუნების ფიგურა "ორმაგი სიმაღლე"	
შემობრუნების ფიგურა "სამმაგი სიმაღლე"	
ტრენდის გაგრძელების ფიგურები	
დროშა, ვიმპელი, სოლი, სამკუთხედი	
ელიოტის ტალღისებური თეორია	
ლეონარდო ფიბონაჩი	
პროპორციული ანალიზი	
ფიბონაჩის დონეების კორექცია	
თავი 7; ინდიკატორები	
ფიბონაჩის დონეების განსაზღვრის ტექნიკური ინდიკატორი "ზიგ-ზაგ" ZigZag	
ფიბონაჩის ინდიკატორი ZigZag Fibo Beta	
ინდიკატორი "ფიბონაჩის მარაო"	
ფიბონაჩის მრუდები	
ფიბონაჩის გაფართოვება	
ფიბონაჩის არხები	
უილიამ ჰანი (1878-1955); ჰანის მარაო	
ჰანის ბადე	
ინდიკატორი Stochastic	
ინდიკატორი Bollinger Bands	
ინდიკატორი Rs (Relative Strendth Index)	
ინდიკატორი MSCD (Moving Average Convergensa- D Divergense)	
ინდიკატორი CCI (Commoditi Channel Index)	
ინდიკატორი Acceleration/Oscillator, AC	
ინდიკატორი Moving Average (MA)	
თავი 8; სტრატეგიები	
სკალპირება	
ტრენდ მიმყოფი	
სტრატეგია "20 პუნქტი დღეში"	
სტრატეგია "სისტემა პურია"	

სტრატეგია “FOREX SMART”	
რა უნდა გვახსოვდეს სავაჭრო სტრატეგიებთან დაკავშირებით	
სავაჭრო სტრატეგიის ელემენტები	
დამწყობთა შეცდომები	
ფსიქოლოგია	
თანხების მენეჯმენტი	
თავი 9; სავაჭრო ტერმინალი MetaTrader 4	
MetaTrader 4 (MT)-ის ცხელი კლავიშები	
MetaTrader 4 (MT)-ის მანიპულატორით მართვა	
გრაფიკების პანელი	
გრაფიკული ინსტრუმენტები	
თავი 10; სავალუტო ბაზარზე რეალურად ვაჭრობის მაგალითები	
1. EUR/USD-ის სავალუტო წყვილის შესყიდვა Forex ბაზარზე	
2. EUR/USD-ის სავალუტო წყვილის გაყიდვა Forex ბაზარზე	
3. ნავთობის CFD ფიუჩერსული კონტრაქტის შესყიდვა	
4. ნავთობის CFD ფიუჩერსული კონტრაქტის გაყიდვა	
5. Microsoft Corp. აქციების (CFD) ფასთა სხვაობის კონტრაქტების შესყიდვა	
6. Sitigroup Inc. აქციების (CFD) ფასთა სხვაობის კონტრაქტების გაყიდვა	
7. ოქროსთან მიმართებაში პოზიციების ხეჯირება	
8. საბირჟო ინდექსი [DJI30]-ის CFD კონტრაქტის შესყიდვა	
9. საბირჟო ინდექსი [FTSE100]-ის CFD კონტრაქტის გაყიდვა	

თავი 1
შესავალი

მვირფასო მკითხველო,

წინამდებარე გამოცემაში, სახელმძღვანელოს შემდგენლები შეეცადნენ მოკლედ გადმოეცათ ის ძირითადი უნარ ჩვევები, რომელთა ცოდნაც საშუალებას მოგცემთ მიიღოთ ეფექტური გადაწყვეტილებები და რეალურ პირობებში ივაჭროთ არამართო საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე (Forex), არამედ აქციების, მვირფასი მეტალებისა და ფიუჩერსების ბაზრებზეც.

სახელმძღვანელო განსაზღვრულია, როგორც პროფესიონალი ტრეიდერებისათვის, რომელთაც სურთ უკვე აპრობირებული პრინციპებისა და სტრატეგიების სრულყოფა, აგრეთვე მკითხველთა ფართო წრისათვის, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამენ ამ მიმზიდველ ფინანსურ ბიზნეს სფეროში.

წიგნის შედგენისას გამოიყენებულ იქნა კომპანია “ადმირალ მარკეტს“-ის წამყვანი პრაქტიკოსი სპეციალისტების ვაჭრობის დიდი გამოცდილება. მათ მიერ ორგანიზებული სწავლებებით და მასტერ კლასებით ათასობით ტრეიდერი სარგებლობს, რომლებიც დღემდე წარმატებით იყენებენ მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას ფინანსურ ბაზრებზე ყოველდღიური მუშაობის დროს. გამოცდილებით შემუშავებული კომპლექსური მიდგომის ეფექტურობა არის ის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელსაც ეფუძვნება სახელმძღვანელოს კონცეფცია.

წიგნში განხილულია საბაზრო ფასების ანალიზისა და პროგნოზირების ძირითადი მეთოდები. ამასთან ერთად მკითხველის თვალსაწიერის გაფართოვების მიზნით წიგნში ასახულია არა მარტო საერთაშორისო ბაზრის თეორიის “დამფუძნებლების” ნაშრომები, არამედ უახლესი ფინანსური კვლევებიც. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წარმოდგენილი მეთოდების, სტრატეგიებისა და ინდიკატორების პრაქტიკულ გამოყენებას. ამისათვის წიგნი მდიდარია მაგალითებით, ილუსტრაციებითა და განმარტებებით. ბოლო ნაწილში მოცემულია ვაჭრობისა და კაპიტალის მართვის მათემატიკური ანალიზის საფუძვლები, ურომლისოდაც ტრეიდიგზე

საუბარი არასრულყოფილი იქნებოდა. წიგნი დაწერილია მაქსიმალურად მარტივი და აღქმადი ენით, ამიტომ მისი შესწავლის დროს არ არის აუცილებელი განსაკუთრებული მომზადება. მასალა მოწოდებულია თანდათანობითი გართულების პრინციპით. წიგნის სრულად დამუშავების შემთხვევაში მკითხველი აღიჭურვება იმ აუცილებელი ცოდნითა და უნარებით, რომელიც მას მისცემს მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე ვაჭრობის დაწყების საშუალებას.

წიგნის შესაბამის თავში აგრეთვე ასახულია სავაჭრო ტერმინალ MetaTrader-4-ით სარგებლობის პრაქტიკული სემინარები, რომელიც იძლევა საშუალებას გახსნათ და სრულად აკონტროლოთ გარიგებები ინტერნეტის მეშვეობით რეალურ დროში, განახორციელოთ გრაფიკული (ტექნიკური) ანალიზი, რეალურ დროში მიიღოთ უახლესი საბაზრო ინფორმაციები და კონსულტაციები, აგრეთვე შეიმუშაოთ ავტომატური სავაჭრო სტრატეგიები.

კომპანია “ადმირალ მარკეტს“-ის სერვერიდან გადმოტვირთეთ და დააყენეთ ტერმინალი MetaTrader-4 თქვენს პერსონალურ კომპიუტერში, გახსენით სადემონსტრაციო ან რეალური ანგარიში და ეტაპობრივად განახორციელეთ სახელმძღვანელოში უკვე ათვისებული სტრატეგიებისა და ინდიკატორების პრაქტიკული გამოყენება, ტესტირება.

P.S. საერთაშორისო სავალუტო ბაზარი თავისი მრავალფეროვნებით, ჩვენი ქვეყნის მომხმარებლებისათვის არც თუ დიდი ხნის წინ გახდა ხელმისაწვდომი და გასაგები მიზეზების გამო სრულად შესატყვისი ქართული ტერმინები ჯერ შორს არის სრულყოფილებისაგან, ამიტომ სახელმძღვანელოს შემდგენლები მზადყოფნას გამოვხატავთ ყველა მკითხველთან თანამშრომლობაზე, უფრო უკეთესი შესატყვისი ქართული ტერმინების შერჩევაში.

მცირე ისტორია

საერთაშორისო სავალუტო ბაზარი თავის წარმოშობას საზოგადოდ ფულის, რგოც ასეთის შექმნის დღიდან იღებს საწყისს.

თავად ფულის წარმოშობა სხვადასხვა საქონელსა და მომსახურეობაზე ღირებულების განმსაზღვრელი, უნივერსალური ექვივალენტის მოთხოვნამ განაპირობა.

ყველაზე ადრეული ნიშნებები ფულადი ურთიერთობების ჩასახვისა 4500 წლის წინ მესოპოტამიას მიეკუთვნება (დღევანდელი ჩრდილოეთ ერაყი). არქეოლოგიური აღმოჩენები ცხადყოფს, რომ სხვადასხვა ტიპის საქონელზე ანაზღაურება ხორციელდებოდა ზუსტად განსაზღვრული ვეცხლის წონით. როგორც ჩანს სწორედ ამ ფაქტმა დაუდო საწყისი სხვადასხვა ლითონის შენადნობის მონეტების შემდგომ გამოყენებას. მონეტების გამოყენებაზე პირველადი ცნობები 3000 წლის წინ ფიქსირდება ლიდიაში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია). თავიდან მონეტები სხვადასხვა ფორმისა და ზომის იყო. მაგალითად, იტალიაში გამოიყენებოდა სპილენძის ფირფიტები, ჩინეთში ბრინჯაოს იარაღი და ნიჟარები, ტაილანდში ვერცხლის ბეჭდები, იაპონიაში ოქროსა და ვერცხლის ჩხირები. ერთი სიტყვით, ის რაც განსაკუთრებულ ფასეულობად აღიქმებოდა იმ დროინდელი საზოგადოებისათვის, ამავდროულად, სხვადასხვა საქონელსა და მომსახურეობაზე გადახდის საყოველთაო საშუალებას წარმოადგენდა.

გადახდის ახალმა სისტემამ სწრაფად ჰპოვა გავრცელება მთელს სამყაროში. ყველა მსხვილ ქვეყანას თავისი შენადნობის მონეტა გააჩნდა, თუმცა ყველა შემთხვევაში გამოიყენებოდა შემდეგი სახის ლითონები: ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო ან სპილენძი.

გაცილებით გვიან გამოჩნდა ქალაქის ფული. პირველად მათი გამოყენება განხორციელდა ჩინეთში. X საუკუნეში სახელმწიფო მმართველებმა ბრუნვაში შემოიღეს დაბალი ფასის მატარებელი მძიმე მონეტები. მოსახლეობისათვის ასეთი მძიმე მონეტების ტარება ერთობ მოუხერხებელი იყო, ამიტომ ისინი მონეტებს ქალაქის ხელწერილებზე ცვლიდნენ ვაჭრებთან, სადაც მითითებული იყო მათი ზუსტი ღირებულება. საუკუნის შემდეგ ჩინეთის ხელისუფლებამ ამოიღო ზემოხსენებული ხელწერილები და ბრძანა მათი ქალაქზე დაბეჭვდა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო მათი, როგორც ანგარიშსწორების საშუალებად გამოყენება. სწორედ ამ დროიდან დაიბადა ქალაქის ფულის ეპოქა.

თავიდან ყველა ქალაქის ბანკოტი უზრუნველყოფილი იყო რომელიმე ძვირფასი ლითონის საპირწონო ოდენობით, უმეტეს წილად ოქროთი. ოქრო ინახებოდა ბანკებში, რომლებიც თავის მხრივ ანაზღაურებდნენ შესაბამისი ფულის მასით. იმ პერიოდში ნებისმიერს შეეძლო ბანკში ქალაქის ფულის შესაბამისი ოდენობის ოქრზე გადაცვლა და პირიქით, ოქროს, შესაბამისი ნომინალის ქალაქის ფულზე გადაცვლა, რაც თავის მხრივ ფულის მასის გაუფასურებისაგან თავის დასაცავ ღონისძიებად აღიქმებოდა.

არცთუ მცირე პერიოდის შემდეგ ნათელი გახდა, რომ აუცილებლობას არ წარმოადგენდა ოქროთი ფულადი მასის 100%-ით უზრუნველყოფა და სახელმწიფო ეკონომიკას ამ ღონისძიების გარეშე შეეძლო ფუნქციონირება.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ დიდი ხნის განმავლობაში არსებობდნენ ისეთი სახელმწიფოები, რომლებიც არ გამოიყენებდნენ ფულის (ვალუტის) ერთი ერთეულის მუდმივად დაყოფის სისტემას. მაგალითისათვის, 1971 წლამდე ინგლისში მრავალი საუკუნეების განმავლობაში მოქმედებდა სისტემა, რომლის მიხედვით 1 ინგლისური ფუნტი უტოლდებოდა 20 შილინგს, ხოლო 20 შილინგი უტოლდებოდა 480 ფორინტს. მხოლოდ 1971 წლის შემდეგ ერთი ინგლისური ფუნტი გაუტოლეს 100 პენსს.

უნადლო ანგარიშსწორების პირველი პრეცედენტი განხორციელდა XX საუკუნის 50-იან წლებში. პიონერი ამ სფეროში გახდა ცნობილი ამერიკელი ბიზნესმენი ფრენკ მაკნამარა. ნიუიორკის ერთ-ერთ ფემენებელურ რესტორანში სადილობის შემდეგ დანახარჯის გასწორების დროს მან აღმოაჩინა, რომ საფულე სახლში დარჩენოდა. ფრენკმა რესტორნის მფლობელს დანახარჯის გადახდის უცილობელ გარანტიად, მისავე წარმოდგენილ ანგარიშზე საკუთარი ხელმოწერა შესთავაზა. ამ მოვლენამ გაუკეთა ინიცირება ანგარიშსწორების ახალ ეკონომიკურ ურთიერთობას, რომელიც დღეს უნადლო ანგარიშსწორების სახელით არის ცნობილი. როგორც ვიცით ფული დღესაც აგრძელებს თავის არსებობას მიმოქცევაში, ხოლო მისი გამოყენების მეთოდები თანდათან იხვეწება, როგორც ვირტუალური, აგრეთვე ელექტრონული სახით.

ზემოთ მოთხრობილი, ფულადი ანგარიშსწორების ისტორიის ეტაპობრივი განვითარება, გარკვეულწილად საერთაშორისო სავალუტო ბაზრის ფორმირებას ერთ-ერთი წინაპირობა გახდა. მრავალი ექსპერტის აზრით ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემები, მომავალში სრულად განდევნიან ფულის, როგორც ვირტუალურ-მატერიალური საშუალებებით ანგარიშსწორების პრაქტიკას.

საერთაშორისო სავალუტო ბაზრის შექმნა აგრეთვე განაპირობა მრავალი ქვეყნისა და კომპანიების სურვილმა, განხორციელებინათ საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციები ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, რადგან სხვადასხვა ქვეყნებში წარმოებული პროდუქციით ვაჭრობის დროს, ისინი იძულებული იყვნენ წინასწარ განხორციელებინათ ამა-თუ იმ ქვეყნის ვალუტის შესყიდვა, რის შემდეგაც ეძლეოდათ საშუალება შეეძინათ მათთვის სასურველი პროდუქცია.

როგორც ასეთი, საერთაშორისო სავალუტო ბაზარი ჩამოყალიბდა XVIII საუკუნის ბოლოსათვის, სადაც სარეზერვო ვალუტად მიღებულ იქნა ინგლისური ფუნტი. პრაქტიკულად სავალუტო კურსები ფიქსირდებოდა ოქროსთან მიმართებაში, რომელთა გადაცვლა ხორციელდებოდა შესაბამისი ოდენობის ინგლისურ ფუნტზე. ეს ეპოქა “ოქროს სტანდარტის” სახელით არის ცნობილი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სავალუტო ბაზარმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. 1944 წელს ბრაიტონ-ვუდის შეთანხმებით განხორციელდა ყველა ვალუტის ამერიკულ დოლარზე მიბმა, ხოლო თვით დოლარის – ოქროზე. მოგვიანებით შეიქმნა საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

ამ სტანდარტმა ფუნქციონირება 1971 წლის 15 აგვისტოს დაამთავრა, ეს განხორციელდა მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა გააკეთა ოფიციალური განცხადება ოქროს სტანდარტზე უარის თქმასთან დაკავშირებით, რასაც შესაბამისად ბრაიტონ-ვუდის სისტემის ფუნქციონირების დასრულება მოჰყვა.

საერთაშორისო სავალუტო ბაზარი forex (Foreign Exchange სავალუტო გაცვლა) ასეთი აბრევიატურით პირველად გამოჩნდა 1976 წლის 8 იანვარს.

სწორედ ამ თარიღს მიიჩნევენ ახალი საერთაშორისო სავალუტო სისტემის დაბადების დღედ, რომელმაც ჩაანაცვლა ბრიტონ-ფუნტის ოქროს სტანდარტი და შესაბამისად ვალუტების ამერიკულ დოლართან მიმაგრება.

ამ დღეს ქალაქ კინგსტონში დიდი შვიდეულის ქვეყნების წარმომადგენლებმა (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, კანადა) მიიღეს გადაწყვეტილება არსებული სავალუტო კანონების რესტრუქტურისა და თავისუფლად მცოცავ სავალუტო კურსებზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ბაზარი დღეს

როგორც წინა თავში ვნახეთ, საერთაშორისო სავალუტო ბაზარი იმ სახით, რა სახითაც დღეს არის წარმოდგენილი გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ფუნქციონირებს და უმეტეს წილად მოიხსენიება, როგორც

Forex (ფორექსი), ინგლისურად Foreign Exchange Market რაც თარგმანებაში საერთაშორისო სავალუტო ბაზარს ნიშნავს.

ორიოდ სიტყვით: „რა არის Forex-ი“

ძალიან ხშირად ფორექსის არსის ახსნა იწყება სათაურით “რა არის ფორექსი”.

თქვენ არ დასვამთ შეკითხვას “რა არის ფიზიკა” ან “რა არის ასტროლოგია”, რადგან ისეთ რთულ დისციპლინებს როგორცაა ფიზიკა, ან ასტროლოგია არ უხდება შეკითხვა “რა არის”.

ფორექსს კი უხდება. იმიტომ რომ აქ თითქოს ყველაფერი მარტივია – იყიდე იაფად და გაყიდე ძვირად, ოღონდ უნდა ვიცოდეთ, რომ აქ მიმდინარეობს ვალუტთ ვაჭრობა, რომელიც ერთობ სპეციფიურია.

მაშ ასე, ზოგადად რა არის ფორექსი? ფორექსი არის საერთაშორისო ელექტრონული სავალუტო ბაზარი, რომელიც მუშაობს ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა.

ადრე აქ ჩვეულებრივი მოქალაქეების მოხვედრა წარმოუდგენელი იყო თუ გარიგების თანხა ძალიან დიდ ციფრს არ გადააჭარბებდა.

წარმოიდგინეთ, სავაჭრო დარბაზი სადაც ერთი საფინანსო ორგანიზაცია მეორესთან დებს გარიგებას 50 მილიონი დოლარის შესყიდვაზე, ამ დროს ჩვენ ვეჩრებით და მყიდველ მხარეს შესასყიდად ვთავაზობთ 100\$ ან თუნდაც 1000\$. როგორც მინიმუმ, ყურადღებასაც არავინ მოგვაქცევს.

ბოლო წლებში განხორციელებულმა, მნიშვნელოვანმა მოვლენებმა სიტუაცია რადიკალურად შეცვალა. მათ შორის, სადილინგო კომპანიებმა შექმნეს იმის პირობები, რომ მათი დახმარებით, ჩვენი მცირე თანხის „გაბევრების“ ხარჯზე განვახორციელოთ გარიგებები ბაზარზე. ალბათ იფიქრებთ, რომ აბსურდია. რომელი სადილინგო კომპანია დამდებს პატივს, რომ ჩემი კუთვნილი 1000 დოლარი ბაზარზე 100 000 –დოლარის სიდიდით შევიდეს?

ძალიან ბევრი. უფრო მეტიც, უზარმაზარი კონკურენციაა სადილინგო კომპანიებს შორის, თუ ვინ დაგეხმარებათ ამ საქმეში.

რატომ? იმიტომ, რომ ნახონ სარგებელი ამ სერვისისთვის, მიიღონ თქვენს მიერ განხორციელებულ თითოეულ ოპერაციაზე გარკვეული საკომისიო, სარგებლის სხით.

ანუ, სადილინგო კომპანიები ჩვენ გვთავაზობენ ე.წ. “მხარს”, რომელზეც მრავლდება ჩვენი თანხა, რათა ბაზრისთვის თანხის მოცულობა მისაღები იყოს. ეს სერვისი გარდა შესაძლო მოგების გაზრდისა, ელემენტარულად ფორექსზე მოხვედრის საშუალებას იძლევა.

თავად განსაზღვრეთ: მხარის გარეშე 1000 დოლარიანი გარიგებიდან, ტრენდზე ფასის 50 პუნქტით ცვლილების შემთხვევაში ჩვენი მოგება იქნებოდა მხოლოდ 5 დოლარი, მაშინ როცა გაასმაგებული (1*100) მხარის შემთხვევაში ეს მოგება იქნება 500 დოლარი.

50 პუნქტით ფასის მოძრაობა, დღევანდელი ბაზრისთვის ჩვეულებრივი, თითქმის ყოველდღიური მოვლენაა. გამოდის, რომ გავმდიდრებულვართ, მაგრამ ასე მარტივად არ არის საქმე. მხარს აქვს უარყოფითი მხარეც, გაასმაგებული (1*100) მხარის შემთხვევაში 100-ზე გამრავლდება როგორც მოგება, თუ ფასი ჩვენთვის სასურველი მიმართულებით წავა, აგრეთვე წაგებაც, თუ ფასი საწინააღმდეგო მიმართულებით წავა და თუ ფასთა შორის სხვაობით გამოწვეული წაგება გაუტოლდა თქვენი სავაჭრო ორდერით გამოყოფილ თანხას, თქვენი გარიგება ავტომატურად დაიხურება, და სადეპოზიტო ანგარიშზე არსებული თანხა შესაბამისი ოდენობით შემცირდება.

ამიტომ შევეცადოთ ამ ყველაფერის სწორად გაგება. მხარი არ არის არც მოგების, არც წაგების წყარო, მხარი გვეხმარება, რომ გარიგებაში მივიღოთ მონაწილეობა და მოგების ან წაგების თანხა ისეთი გახდეს, რომ გარიგება გარიგებად ღირდეს.

როგორ გამოვიყენებთ ამ უპრეცედენტო შესაძლებლობას, ვაქცევთ მოგებად, თუ წაგებად, ეს დამოკიდებულია ვაჭრობის სტრატეგიაზე და სხვა ბევრ ფაქტორზე, რომელთა დახვეწაც მუდმივი პროცესია და ყველა ტრეიდერის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს.

ამავდროულად აუცილებლად უნდა შევთანხმდეთ ერთ ძირითად ფაქტორზე, რომ ვაჭრობა ფორექსის სისტემაში არის დიდი რისკ ფაქტორის შემცველი.

გაითვალისწინეთ რომ სავალუტო ბაზარზე დამოუკიდებელი ტრეიდერებიდან მოგებული რჩება დაახლოებით 10%, დანარჩენი 90% აგებს თავის კუთვნილ თანხას. პროცენტის ციფრების მეტნაკლებობა შეიძლება საკამათოა, მაგრამ, უმეტესწილად მიახლოებულია ჭეშმარიტებასთან.

ბიზნესის სწორად ორგანიზების შემთხვევაში გარანტირებულ მოგებას ნახულობს მხოლოდ დილერი (სადილინგო კომპანია), ისიც არა იმიტომ, რომ ფორექსის სისტემაში ვაჭრობს, არამედ იმიტომ, რომ გარანტირებულად იღებს ყველა ჩვენი ოპერაციიდან საკომისიოს. ეს არის მისი ბიზნეს დაინტერესების ძირითადი წყარო და ამას იგი არც მალავს.

თუ თქვენ, მხოლოდ იღბლის ხარჯზე, ყოველგვარი ძალიხმევის გარეშე, აპრიორი ფიქრობთ, რომ მოხვდებით მოგებულთა 10%-იან წრეში, მაშინ თქვენ განწირული ხართ წაგებისათვის.

მაგრამ, თუ თქვენ თვლით, რომ წარმატებული 10% გამდიდრდა არა მხოლოდ გამართლების, არამედ საკუთარ თავზე ყოველდღიური შრომის, ცოდნის მიღების, გამოცდილების დაგროვების, ვაჭრობის სტრატეგიის დახვეწის ხარჯზე და ამავდროულად მზად ხართ ყოველივე ზემოთქმულს მოახმაროთ თქვენი დროისა და ენერჯის დიდი ნაწილი, მაშინ უდავოდ გეძლევათ წარმატების შანსი. თქვენს ხელთ არსებული წიგნის მიზანიც ის არის, რომ ყოველივე ზემოთქმულის კვალიფიციურად გაკეთებაში შეგიწყოთ ხელი.

თუმცა, ამაზე და ბევრ სხვა საინტერესო თემებზე შემდგომ თავებში უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი.

ბირჟების მიმოხილვა:

იმისათვის, რომ გავიგოთ Forex-ის არსი სასურველია თვალსაჩინოებისათვის მოკლედ გავცნოთ მისი წარმოშობის წინაპირობებს, საბირჟო საქმიანობის სპეციფიკასა და ზოგადად სავალუტო ბაზრის ინფრასტრუქტურულ ელემენტებს.

პირველი სასაქონლო ბირჟა დაფუძნებულ იქნა ბელგიის ქალაქ ბრიუგეში 1409 წელს.

მოგვიანებით ევროპაში სასაქონლო ბირჟები მოგვევლინა ანტვერპენში, ლონდონში, ლიონში, ტულუზასა და სხვა ქალაქებში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი ბირჟები გამოჩნდა XIX საუკუნის დასაწყისში.

მარტივად რომ განვმარტოთ, ბირჟა წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც უზრუნველყოფს სასაქონლო, სავალუტო, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური პროდუქტების ბაზრის დაუბრკოლებლად ფუნქციონირების ორგანიზებას.

ადრე ბირჟებზე გარიგებები ზეპირად იდებოდა. რა თქმა უნდა ციფრული ტექნოლოგიების განვითარების შემდეგ ყველა პროცედურა მნიშვნელოვნად გამარტივდა და ელექტრონულად ხორციელდება.

ბირჟების საქმიანობაში შედის:

- სხვადასხვა ტიპის გარიგებების დადება;
- დადებული გარიგებების აღრიცხვა;
- გარანტირებული ანგარიშსწორების ორგანიზება;
- გადახდების შესაბამისად, მიწოდების შეუფერხებლად ფუნქციონირების ორგანიზება;
- სადაზღვევო ფუნქცია.

ბირჟების შემოსავლის წყარო სხვადასხვანაირია:

• არსებობს ბირჟის ტიპი, რომელიც, როგორც იურიდიული პირი, წარმოადგენს არაკომერციულ, არამომგებიან ორგანიზაციას და მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ერთადერთ შემოსავლის წყარო შედგება ბირჟის წევრი სუბიექტების საწევრო შენატანებისაგან;

• არსებობს ბირჟები, რომლებიც თავიანთი მომსახურების საფასურს დადებული გარიგებებიდან საკომისიოების სახით იღებენ;

• აგრეთვე არსებობს ბირჟები, რომლებიც თავიანთ შემოსავლებს ავსებენ სავაჭრო სესიებზე დაშვების ერთჯერადი გადასახადით და საბირჟო ინფორმაციით ვაჭრობით.

და ა.შ.

სპეციფიკისა და სავაჭრო პროდუქტების მიხედვით გვხვდება შემდეგი ტიპის ბირჟები:

- სასაქონლო ბირჟა;
- საფონდო ბირჟა;
- სავალუტო ბირჟა;
- ფიუჩერსული ბირჟა;
- ოპციონების ბირჟა.

ამასთან ერთად, ყოველთვის ფუნქციონირებდა და დღესაც ფუნქციონირებს უნივერსალური ბირჟები. მაგალითად:

- ჩიკაგოს სავაჭრო პალატა (Chicago Board of Trade)
- ჩიკაგოს სასაქონლო ბირჟა (Chicago Mercantile Exchange)
- ტოკიოს სასაქონლო ბირჟა
- სიდნეისა და ჰონკონგის ბირჟები.

უმეტესად ბირჟები თავიანთი იურიდიული სტატუსით წარმოადგენენ დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებებს. ასეთი ტიპის საზოგადოების აქციები არ არის თავისუფალ გაყიდვაში, რაც ხელმძღვანელ ორგანოებს აძლევს საშუალებას მოახდინონ გაურკვეველი რეპუტაციის მქონე, შემთხვევითი თანამფლობელების ბირჟაზე დაშვების მინიმოზაცია.

ბირჟის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ბირჟის წევრთა საერთო კრება, რომელიც თავისი ხასიათით უფრო საკანონმდებლო ორგანოს მოგვაგონებს. უმაღლეს საშემსრულებლო მართვის ორგანოს ბირჟის საბჭოს (დირექტორთა საბჭო) ირჩევს ბირჟის წევრების საერთო კრება. ოპერატიული მართვისა და ადმინისტრირებისათვის საბჭო ნიშნავს შემსრულებელ დირექციას.

ყოველივე ამას იმიტომ გაცნობთ, რომ შემდგომში მოვახერხოთ შედარება **forex**-თან მიმართებაში.

თავად ბირჟის სტრუქტურა საკმაოდ მრავალფეროვანია, ამიტომ ჩვენ შევეცხოთ მხოლოდ ძირითად მონაწილეებს:

- დავიწყოთ ბროკერებით.

ბროკერები (საბროკერო კომპანიები) წარმოადგენენ შუამავალს მყიდველსა და გამყიდველს შორის. მათ გააჩნიათ თავიანთი სტაციონარული ადგილი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მოთხოვნა-მიწოდების საკითხებში, დებენ გარიგებებს და შესაბამისად წარმოადგენენ ბირჟის განუყოფელ ნაწილს.

- შემდგომი რგოლია დილერები

დილერები წარმოადგენენ იურიდიულ ან კერძო პირებს, რომლებიც ბროკერებისაგან განსხვავებით, თავიანთი სახელითა და სახსრებით მონაწილეობენ საბირჟო გარიგებებში.

- და რა თქმა უნდა ტრეიდერები

ტრეიდერები წარმოადგენენ ბირჟაზე მოვაჭრეებს, რომლებიც ძირითადად ვაჭრობენ საფონდო ბირჟებზე ფასიანი ქაღალდებით: აქციებით, ობლიგაციებით, ფიუჩერსული კონტრაქტებით და ოპციონებით.

აგრეთვე ტრეიდერებად იწოდებიან საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე, ფორექსზე ვალუტით მოვაჭრე იურიდიული ან კერძო პირები.

პროფესიონალური კუთვნილების მიხედვით ტრეიდერები შეგვიძლია დავყოთ ორ ტიპად:

1. პროფესიონალი ტრეიდერები, რომლებიც ძირითადად მუშაობენ ფინანსური სპეციფიკის მსხვილ დაწესებულებებში: ბანკებში, სადაზღვევო კომპანიებში, საპენსიო ფონდებში, საბროკერო კომპანიებში. როგორც წესი, მათ გააჩნიათ სპეციალიზირებული განათლება და შესაბამისი საქმიანობის განხორციელების სერთიფიკატი. ისინი საბირჟო გარიგებებს ახორციელებენ თავიანთი კომპანიის ან კლიენტის ფინანსური სახსრებით მათსავე სასარგებლოდ.

2. დამოუკიდებელი ტრეიდერები, რომლებიც ახორციელებენ გარიგებებს თავიანთი ფინანსური სახსრებით, თავიანთსავე სასარგებლოდ, ანუ მუშაობენ საკუთარ თავზე. მათ მიერ განხორციელებული ოპერაციები არ საჭიროებენ ლიცენზირებას. უმეტესწილად მათ არ გააჩნიათ სპეციალიზირებული განათლება. ისინი სარგებლობენ არსებული საჯარო ინფორმაციებით ან პროფესიონალი კონსულტანტების მომსახურებით.

მუშაობის სტილისა და ინდივიდუალური ფსიქოლოგიური მიდგომის მიხედვით ტრეიდერები შეგვიძლია დავყოთ სხვადასხვა კატეგორიებად:

- ხარები – ისინი ძირითადად კურსის გაძვირებაზე მუშაობენ და ქმნიან აღმავალ ტრენდს. ასე ვთქვათ ხარებს თავიანთ მოწინააღმდეგეები რქებით აყავთ მაღლა.
- დათვები – ისინი ძირითადად ელოდებიან კურსის დაცემას და ქმნიან დაღმავალ ტრენდს. დათვები ცდილობენ თავიანთი მოწინააღმდეგეები ტორებით ძირს დასცენ.
- ცხვრები – ძალზედ დიდ ხანს ორჭოფობენ, რის შედეგადაც გარიგებაში მონაწილეობის მიღებას მაშინ გადაწყვეტენ, როდესაც სხვა ტრეიდერები უკვე ხურავენ თავიანთ პოზიციებს.
- ღორები – ძალზედ ხარბი ტრეიდერები, რომელთაც უჭირთ პოზიციების დროულად დახურვა, მაშინაც კი, როდესაც ტენდენციის გაგრძელების არანაირი წინაპირობა არ შეინიშნება.

იმედია ამ კატეგორიებს არ გავიგებთ ისე, თითქოს ყოველივე ზემოთმოყვანილი სტილი ამა-თუ იმ ტრეიდერის მუდმივი მახასიათებელია. რასაკვირველია ერთი და იგივე ტრეიდერი შესაძლებელია მოგვევლინოს, როგორც ხარისებური, აგრეთვე დათვისებური სახით.

კიდევ უფრო მივუახლოვდეთ Forex-ს და მოკლედ განვიხილოთ სავალუტო ბაზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი - სავალუტო ბირჟა.

სავალუტო ბირჟა – წარმოადგენს მთლიანი სავალუტო ბაზრის ინფრასტრუქტურულ ელემენტს. მისი საქმიანობა შემოიფარგლება სავაჭრო სესიების ჩატარების ორგანიზაციით, რომლის დროსაც ვაჭრობის მონაწილეები დებენ გარიგებებს უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში (ე.ი. ყიდვიან ან ყიდულობენ ამა-თუ იმ ვალუტას სხვადასხვა საბირჟო გარიგებების საშუალებით).

სხვანაირად რომ განვმარტოთ, სავალუტო ბირჟა არის ადგილი, სადაც ხორციელდება ამა-თუ იმ ქვეყნების ნაციონალური ვალუტების ყიდვა-გაყიდვა ურთიერთშორის არსებული კურსის თანაფარდობის (კოტირების) მიხედვით, რომელიც ყალიბდება თავისუფალ ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე.

ასეთი ტიპის ბირჟები ხასიათდებიან საბირჟო ვაჭრობის ყველა კლასიკური ელემენტით. კოტირებები ბირჟაზე ყალიბდება გასაცვლელი ვალუტების მყიდველობითი უნარის მიხედვით, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია ემიტეტი ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე

როგორც ვხედავთ თანდათან, შინაარსობრივად ვუახლოვდებით ჩვენს მიზანს forex-ს და მისი შექმნის მნიშვნელოვან წინაპირობებს.

1. საკომუნიკაციო სისტემების განვითარება (კავშირგაბმულობა, ინტერნეტი და ა.შ.)
2. ოქროს სტანდარტზე მასიურად უარის თქმა.
3. მარჟირებული ვაჭრობის შესაძლებლობა.

თუ კვლავ დავუბრუნდებით შეკითხვას – რა არის ფორექსი, უნდა გვესმოდეს, რომ ფორექსი არ არის კლასიკური ბირჟა, მაგალითად როგორცაა ნიუ-იორკის, ლონდონისა ან ტოკიოს ბირჟები. მას არა აქვს რაიმე, ერთი კონკრეტული ადგილმდებარეობა იგი განფენილია ელექტრონულ სივრცეში, სადაც გარიგებები ხდება სპეციალური კომპიუტერული პროგრამების საშუალებით ყველაზე სწორი იქნება, ფორექსი წარმოვიდგინოთ სხვადასხვა ქვეყნებში განთავსებულ და ერთმანეთთან დაკავშირებულ სავაჭრო სისტემების ერთობლიობად.

ჩვენთვის, რიგითი ტრეიდერისთვის

- ეს არის ბროკერი, რომლის მეშვეობით და მის მიერ მოცემული მხარის გამოყენებითაც ვახორციელებთ ვაჭრობას;
- ეს არის ვაჭრობის განსახორციელებლად შექმნილი სპეციალური კომპიუტერული პროგრამა, რომელიც რეალურ (ონლაინ) დროში გვადლევს სხვადასხვა სავალუტო წყვილებით ვაჭრობის საშუალებას.
- ეს არის თანხა, რომელსაც წინასწარ ვრიცხავთ სადილინგო კომპანიაში დეპოზიტის სახით, ჩვენთვის სპეციალურად გახსნილ ანგარიშზე;
- ეს არის გადაწყვეტილება, რომ ამა-თუ იმ სავაჭრო ინსტრუმენტით შევასრულოთ გაყიდვის ან ყიდვის ოპერაციები.

სქემატურად ეს შემდეგნაირად გამოიყურება:

ჩვენი ყიდვის ან გაყიდვის ბრძანება სასწრაფოდ მიეწოდება შუამავალ ბროკერ-კომპანიას, და გვიბრუნდება პასუხი, რომ შესრულდა შეკვეთილი ოპერაცია. თუ ყიდვის შემთხვევაში ფასი წავიდა ზემოთ, ჩვენ მოგებისკენ მივდივართ, რადგან იაფად ნაყიდს შემდეგ ძვირად გავყიდით, და პირიქით თუ წავიდა ქვემოთ, ვაგებთ. აგრეთვე გაყიდვის შემთხვევაში, თუ ფასი წავიდა ქვემოთ ჩვენ ვიგებთ, რადგან ძვირად გაყიდული თანხიდან იაფად ყიდვისას თანხა დაგვრჩება მოგების სახით, და პირიქით, თუ წავიდა ზემოთ, ვაგებთ.

ამ დროს ჩვენ ვიმყოფებით გახსნილ პოზიციაში, ანუ გარიგება გახსნილი, გვაქვს. გარიგების დახურვა აგრეთვე ხორციელდება დილერისთვის სპეციალური შეკვეთის გაგზავნით, რომელზეც ასევე სწრაფად ვიღებთ პასუხს და აქვე ფიქსირდება ამ ოპერაციიდან მიღებული მოგების ან წაგების ოდენობა, შესაბამისი თანხა მომენტალურად ემატება ან აკლდება ჩვენს ანგარიშს. ყოველივე ეს ხორციელდება "ონლაინ" რეჟიმში, პროგრამულად. მთავარია რა მოქმედებებს შევასრულებთ ამ ტექნოლოგიური საშუალებებით.

მიუხედავად ამ სფეროში უამრავი მეთოდის არსებობისა, ფასის ცვლილების მიმართულების ზუსტი გამოცნობა შეუძლებელია, მაგრამ დამეთანხმებით, რომ ეს არ არის კაზინო, სადაც ყოველივე აბსოლუტურ შემთხვევითობაზეა დამოკიდებული.

რეალურად, ნებისმიერი ვალუტის მდგომარეობა ეფუძნება ძალიან ბევრ ეკონომიკურ თუ სხვა მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელთა ანალიზიც წარმოადგენს ყველა ტრეიდერის განუყოფელ სამუშაო პროცესს.

forex– ის ლიკვიდურობა.

forex–ის ლიკვიდურობა ზუსტად ის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ, რომელიც განაპირობებს მილიონობით ადამიანის დაინტერესებას. ფორექსი ალბათ ყველაზე ლიკვიდური ბაზარია მთელს მსოფლიოში. საშუალოდ მისი სადღეღამისო ბრუნვა შეადგენს 2-3 ტრილიონ ამერიკულ დოლარს. მაღალი ლიკვიდურობა უნდა გავიგოთ ისე, რომ ნებისმიერ მომენტში, როდესაც ვინმე ყიდულობს რომელიმე ვალუტას რაღაც ოდენობით, ბაზარზე აუცილებლად არსებობს სხვა პერსონა, რომელიც შესაბამისი ოდენობის ვალუტას ყიდის.

წარმოიდგინეთ, რომ თქვენი ბიზნესი სავალუტო სფეროში მიდის გამართულად, გაქვთ შესანიშნავი სტრატეგია, რომელიც მუდმივად იგებს თანხებს. ერთ–ერთი ახალი გარიგების დროს, როცა შეძენილი გაქვთ გარკვეული თანხის ვალუტა და მოგების დასაფიქსირებლად გსურთ ამ ვალუტის გაყიდვა, ბაზარზე მისულს არავინ არ დაგხვდათ, ან ბაზარი დაგხვდათ ადამიანებით სავსე, მაგრამ მათ ხელთ არსებული მთლიანი თანხა არ ყოფნის თქვენს ოპერაციის დასრულებას.

ფორექსზე ასეთი რამ არასდროს არ ხდება. ფორექსზე ყოველთვის ლიკვიდურია ვალუტა. ანუ, თუ დაფიქსირებულია X ფასი, თქვენ ამ ფასში აუცილებლად გაყიდით ან იყიდით იმდენ ვალუტას, რამდენსაც მოისურვებთ. ეს იმიტომ ხდება, რომ ბაზარი მოიცავს ძალიან დიდი მოცულობებს, და თქვენ ბაზარის "შეშფოთებას" თქვენი თანხებით ვერ მოახერხებთ, ისევე როგორც ვერ შევცვლით ზღვის დონეს ერთი ჭიქა წყლის ამოღებით ან ჩამატებით.

ეს ლიკვიდურობა უდაოდ მიმზიდველია ტრეიდერებისთვის, რადგან არ ქმნის დამატებით საზრუნავს ოპერაციის ჩატარების შესაძლებლობაზე და საშუალებას იძლევა მთლიანად მოხდეს კონცენტრირება მხოლოდ კურსის პროგნოზირებაზე.

იშვიათად შესაძლებელია მოხდეს ფასთა გარღვევა. ეს ხდება მაშინ, როდესაც დროის იმ მცირე მომენტში ბაზარზე არ არიან ის მონაწილეები, რომელთაც სურთ არსებულ ფასად გარიგებების დადება. ამ დროს ხდება ფასის მკვეთრი ცვლილება შესაბამისი მიმართულებით. ასეთი გარემოების იშვიათობიდან გამომდინარე, იგი შეიძლება განსაკუთრებულ გამონაკლისთა კატეგორიას მივაკუთვნოთ, რადგან, როგორც წესი ფორექსზე გარიგებებს ერთდროულად ახორციელებს ათასობით ტრეიდერი.

Forex –ის სამუშაო დრო და რეგიონები.

Forex მუშაობს დღე-ღამეში 24 საათის განმავლობაში, შაბათ კვირის გარდა და გეოგრაფიულად საათობრივი სარტყელების შესაბამისად იყოფა შემდეგ ძირითად რეგიონებად.

რეგიონები	ქალაქების დასახელება	აქტივობის საორიენტაციო პერიოდები
აზია	ტოკიო, ჰონკონგი, სინგაპური	ღამიდან დილამდე იწყება ღამის 4 საათიდან
ევროპა	ფრაკფურტი, ლონდონი	დილიდან საღამომდე იწყება დღის 11 საათიდან
ამერიკა	ნიუ-იორკი, ჩიკაგო	საღამოდან ღამემდე იწყება საღამოს ჩვიდმეტი საათიდან
ახალი ზელანდია და ავსტრალია	ველინგტონი, სიდნეი	ღამიდან შუაღამემდე იწყება ღამის 2 საათიდან

საერთო ტენდენციების გათვალისწინებით შესაძლებელია რეგიონალური ვაჭრობის მოკლე დახასიათება:

- ამერიკული და აზიური სესიები გამოირჩევიან აგრესიულობით.
- ევროპული სესია ხასითდება წყველაზე დიდი მოცულობის გარიგებებით.
- ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის სესია გამოირჩევა შედარებითი სიმშვიდით.

შემდგომში საქმიანობის დროს გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სხვადასხვა ვალუტა აქტივირდება სხვადასხვა დროის მონაკვეთში.

ძნელია რაიმე ერთმნიშვნელოვანი მიზეზის ან მიზეზების განსაზღვრა, მაგრამ სესიების დროს აქტივირებას განიცდის იმ რეგიონის წამყვანი ვალუტა, რომელ რეგიონშიც აქტიურ პერიოდში მიმდინარეობს სესია. ანუ ევროპული სესიის დროს უმეტეს წილად აქტივირდება ევრო, ამერიკული სესიის დროს აქტივირდება დოლარი და ა.შ.

Forex- ის ძირითადი მონაწილე სუბიექტები:

როგორც უკვე ვთქვით ფორექსი არასაბირჟო ბაზარს წარმოადგენს. ბროკერების, დილერებისა და ტრეიდერების მიერ განხორციელებული გარიგებები ფიქსირდება კომპიუტერული ტერმინალებსა და ელექტრონულ სავაჭრო პლატფორმებზე. ასეთი საშუალებები პოპულარობას მატებს ფორექსს და ადვილად წვდომადს ხდის მას, საკუთარი თავისუფალი ფულადი სახსრების დამოუკიდებლად ინვესტირების საქმეში. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელის გამოც ფორექსისადმი ინტერესი დღითი დღე მატულობს. ამავდროულად აუცილებელია, რთა ყველა დამწყებმა ტრეიდერმა გაითავისოს ის გარემოება, რომ ასეთი ინვესტიციები დაკავშირებულია გარკვეული ტიპის რისკებთან.

ეს უნდა ვიცოდეთ, რომ პრინციპიალურად ფორექსი წარმოადგენს საერთაშორისო ბანკთაშორის სავალუტო ბაზარს, ამიტომაც მისი მონაწილეების ლომის წილს შეადგენს ცენტრალური (ნაცონალური), კომერციული და საინვესტიციო ბანკები, აგრეთვე პროფესიონალი და სახელმწიფო ტრეიდერები და მსხვილი ინვესტორები. თვალსაჩინოებისათვის წარმოგიდგინთ საერთაშორისო სავალუტო ბაზრის ზოგიერთ განსაკუთრებულად მსხვილ მონაწილეებს საბანკო სტრუქტურებიდან “სითი გრუპ” (City Group), „მორგან ჩეიზი“ (JP Morgan Chase), „გოლდენ საქსი“ (Goldman Sachs), „მორგან სტენლი“ (Morgan Stanley), „მერილ ლინჩი“ (Merrill Lynch), „იუ ბი ესი“ (UBS), ბანკი ამერიკა“ (Bank of America), ”ეიჩ-ეს-ბი-სი“ (HSBC), “ტოკიო მიცუბიში ბანკ“ (Bank of Tokyo Mitsubishi), და სხვები. პრაქტიკულად ფორექსზე გარიგებების ლომის წილს ისინი დებენ, ამიტომაც მიეკუთვნებიან მარკეტ მეიკერების კატეგორიას, კოლოსალური გავლენა აქვთ სავალუტო კურსების განსაზღვრაზე, რითაც მთლიანობაში ახორციელებენ ბაზრის ფორმირებას.

ფორექსს აყალიბებენ შემდეგი ძირითადი მონაწილე სუბიექტები:

- ტრეიდერები (აქ იგულისხმება, როგორც კერძო პირები, აგრეთვე ამ საკითხთან მიმართებაში სპეციალიზირებული ორგანიზაციები)
- ცენტრალური ბანკები, რომელთაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავთ Forex-ის ჩამოყალიბებაში და პირდაპირ მოქმედებენ ვალუტის კურსზე.
- კომერციული ბანკები, რომელთაც არანაკლები როლი უჭირავთ Forex-ის ჩამოყალიბებაში და აგრეთვე მოქმედებენ ვალუტის კურსზე.
- საბროკერო კომპანიები - ისინი უშუალო ოპერირებენ Forex-ზე, რომელთა პლატფორმით ვსარგებლობთ ბაზარზე მუშაობის დროს.
- საპენსიო ფონდები.
- სადაზღვეო კომპანიები.
- სადილინგო კომპანიები

განვმარტოთ სადილინგო კომპანიის არსი:

სადილინგო კომპანია არის არასაბანკო ორგანიზაცია, რომელიც თავიანთი მარჟის ფარგლებში ტრეიდერებს აძლევს საშუალებას Forex-ზე განახორციელონ კონკრეტული გარიგებები.

სადილინგო კომპანიები კლიენტებთან ოპერაციებს ახორციელებენ თავიანთი სახელითა და სახსრებით, რაშიც ისინი ემსგავსებიან საფონდო ბაზრის დილერებს (შესაძლებელია შედარება/შეკითხვა საბირჟო ბროკერებსა და დილერებთან).

სადილინგო კომპანიები ტრეიდერებს გადაწყვეტილების მიღებაში დახმარების მიზნით სთავაზობენ სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებებს.

აგრეთვე ისინი მოიპოვებენ ინფორმაციებს და კვოტირებებს სხვადასხვა საინფორმაციო სისტემებიდან და ამ ინფორმაციის ფორმირების შემდეგ აწვდიან თავიანთ კლიენტებს. პრინციპულად ისინი დაინტერესებული არიან იმაში, რომ მათი ტრეიდერები დიდ ხანს ფუნქციონირებდნენ ბაზარზე.

მარკეტ-მეიკერები (market-maker) წარმოადგენენ იმ ფინანსურ სუბიექტებს, რომლებიც სისტემატიურად ახორციელებენ სხვადასხვა ვალუტის დიდი ოდენობით ყიდვა-გაყიდვას და შესაბამისად მნიშვნელოვანწილად აყალიბებენ კურსების კოტირებას.

მსოფლიოს უმსხვილესი ბანკების 20%-ის აქტივობის წილი Forex-ზე შეადგენს განხორციელებული გარიგებების საერთო მოცულობის 60%-ზე მეტს.

თავი 2. ძირითადი ტერმინები და განმარტებები.

ბალანსი – თანხა კლიენტის სავაჭრო (სადეპოზიტო) ანგარიშზე ბოლო ტრანზაქციის, თანხის ჩარიცხვის/გამოტანის და სავაჭრო ოპერაციის შესრულების შემდეგ;

გახსნილი პოზიცია – დაუხურავი გარიგებების (ორდერის) საბაზრო მოცულობა. ფასის ზრდაზე ვაჭრობის დროს პოზიციას უწოდებენ “გრძელს” (Long), ფასის შემცირებაზე ვაჭრობის დროს “მოკლეს” (Short);

გეპ (Gap) – სიტუაცია, როცა მიმდინარე ფასი წინა ფასისგან განსხვავდება სპრედის ზომაზე მეტად. იგივეა რაც ფასის ნახტომი, როცა მიმდინარე ფასს და წინა ფასს შორის წარმოიქმნება დიდი სხვაობა. შეიძლება წარმოიშვას როგორც ვაჭრობის პროცესში, როცა ბაზარზე ხდება დიდი რყევა, აგრეთვე დასვენების დღეების შემდეგ, ბაზრის გახსნისას; Gap - ინგლისური სიტყვაა და ქართულად ითარგმნება როგორც ნაპრალი, ქვემოთ მოყვანილ სურათს თუ დააკვირდებით მიხვდებით რატომ უწოდებენ ამ მოვლენას ნაპრალს.



რატომ ჩნდება გეპი?

გეპს ბაზარზე არსებული მკვეთრი ფასების ცვლილება იწვევს, მაშინ როდესაც გახსნის ფასი დახურვის ფასს შორის დიდი სხვაობაა. მისი დანახვა მხოლოდ იაპონური სანთლების ან ბარების გრაფიკის შემთხვევაშია შესაძლებელი.

ყველაზე ხშირად გეპს გამოსასვლელი დღეების შემდეგ ვხვდებით, შაბათ-კვირას ბაზარი არ მუშაობს, მაგრამ ბანკები და გადამცვლელები აგრძელებენ მუშაობას, შესაბამისად მათ სჭირდებათ ვალუტა რაც ფასზე ახდენს გავლენას და ორშაბათისთვის ფორმირდება ახალი ფასი, ეს ყველაფერი კი წარმოქმნის ნაპრალს ანუ გეპს.

გეპი ხშირად ჩნდება მნიშვნელოვანი ნიუსების შემდეგ, მაგალითად: ფორსმაჟორული გარემოებები, მკვეთრი ინფლაცია და განცხადებები საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვან ცვლილებებთან დაკავშირებით. გეპი შეიძლება 200 პუნქტსაც აღწევდეს.

ვალუტა - ეს არის ერთი რომელიმე ქვეყნის ან ქვეყნების ჯგუფის ნაციონალური ფულის ერთეული. დასავლეთ ევროპაში - ის წარმოდგენილია ევროს სახით (EUR), ამერიკის შეერთებულ შტატებში აშშ დოლარის სახით (USD), იაპონიაში იაპონური იენის სახით (JPY) და ა.შ.

სავალუტო წყვილები

ფორექსზე ვაჭრობა გულისხმობს ერთი სახეობის ვალუტის ყიდვას და იმავე მომენტში, მეორე სახეობის ვალუტის გაყიდვას. ფორექსის საშუალებით ფაქტიურად შესაძლებელია ნებისმიერი ვალუტით ვაჭრობა, თუ ისინი აკმაყოფილებენ საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს. ვალუტის აღსანიშნავად როგორც წესი იყენებენ სამ ლათინური ანბანის სიმბოლოს, რომელთაგან პირველი ორი შეესაბამება ხოლმე ქვეყანის დასახელებას, მესამე ვალუტის სახელს. ყველაზე პოპულარული ვალუტა ფორექსზე ვაჭრობისას არის აშშ დოლარი (USD), ევრო (EUR) იაპონური იენა (JPY) დიდი ბრიტანეთის ფუნტი (GBP) შვეიცარული ფრანკი (CHF) კანადური დოლარი (CAD) ავსტრალიური დოლარი (AUD). როდესაც ლაპარაკია რომელიმე ვალუტის კურსზე, აუცილებლად იგულისხმება კურსი რომელიმე მეორე ვალუტის მიმართ. ასე რომ, ვალუტით ყოველთვის ვაჭრობენ წყვილებში, და ეს წყვილები აღინიშნება შემდეგნაირად EUR/USD. თუ ჩვენ ვამბობთ რომ დოლარის კურსი მიდის ქვემოთ, უცილებლად ვგულისხმობთ ვალუტას, რომლის მიმართაც მიდის ეს კურსი ქვემოთ. EUR/USD წყვილში ეს გულისხმობს რომ დოლარის კურსი მიდის ქვემოთ ევროს მიმართ. ძირითადი სავალუტო წყვილები არის ოთხი: EUR/USD; USD/CHF; GBP/USD; USD/JPY

როგორც აკვირდებით ყველაში მონაწილეობს ამერიკული დოლარი. ამ ოთხი წყვილის გარდა ფორექსზე არის ნაწარმოები წყვილები და ეს ნაწარმოები წყვილები იმდენია რომ მოიცავს ბევრ ვალუტას, ისე რომ დააკმაყოფილოს უმრავლესობა ტრეიდერების მოთხოვნები. წყვილებს ხშირად ინსტრუმენტებსაც უწოდებენ. ყველა წყვილს აქვს თავისი თავისებურებები და ჩვენთვის საინტერესოა რა ახდენს გავლენას მათ მოძრაობაზე.

EUR/USD - დაახლოებით 27% დღიური ვაჭრობიდან მოდის ამ წყვილზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ყველაზე პოპულარული წყვილია ფორექსის ბაზარზე. იგი შესანიშნავი წყვილია როგორც ახალბედებისათვის, აგრეთვე გამოცდილებისათვის. ეს არის ძალიან აქტიური წყვილი ზომიერი ვოლატილობით (რყევის დიაპაზონით). ამ წყვილის მოძრაობა შედარებით მდორეა, ხოლო დღის განმავლობაში ვაჭრობა მიდის დიდი აქტიურობით, რაც საშუალებას აძლევს მოკლე პერიოდებზე მოვაჭრე ტრეიდერებს მიიღონ კარგი მოგება. EUR/USD ჩვეულებრივ არის უკუ კორელაციაში USD/CHF და პირდაპირში GBP/USD- თან. ეს ნიშნავს, რომ თუ EUR/USD მიდის ზევით, დიდი ალბათობით USD/CHF მიდის ქვევით. რეალურად, ეს კორელაცია ძალიან მჭიდროა. თუ თქვენ ვაჭრობთ ამ წყვილით თქვენთვის საინტერესო უნდა იყოს, როგორც ევროზონის ეკონომიკური სურათი, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების, და თვალყური ადევნოთ ამ ზონების ეკონომიკური მმართველების განცხადებებს ეკონომიკის და ეროვნული ვალუტის შესახებ.

USD/CHF - არის ყველაზე ნაკლებად პოპულარული წყვილი ძირითად ვალუტებს შორის. მისი სპრედი როგორც წესი, მეტია ვიდრე EUR/USD -სი, მაგრამ ეს არ არის მიზეზი რომ ამ წყვილით არ ვივაჭროთ. როგორც ავღნიშნეთ არის უკუ კორელაციაში EUR/USD -თან და ხშირად მას "მიყავს" EUR/USD. საერთოდ შვეიცარული ფრანკი, ბაზარზე ქაოსის დროს, სარგებლობს საიმედო ვალუტის იმიჯით. წყვილი ძლიერად არის დამოკიდებული აშშ-ს ეკონომიკურ ინფორმაციაზე, უფრო მეტად ვიდრე შვეიცარიის მოვლენებზე. უნდა ითქვას, რომ შვეიცარია ძალზე არის დამოკიდებული ექსპორტზე, ისევე როგორც ევროზონა და იაპონია.

GBP/USD - არის მესამე ყველაზე უფრო ლიკვიდური წყვილი. უჭირავს დღიური ვაჭრობის დაახლოებით 12%. ეს წყვილი აღსანიშნავია თავისი არაკონტროლირებადობით და დიდი ვოლატილობით. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ არ არის რეკომენდირებული დამწყებთათვის.

ფასის გარღვევები, როგორც წესი, არის მატყუარა და ახალბედები იოლად შედიან შეცდომაში. წყვილი ძირითადად მოძრაობს იგივე მიმართულებით საითაც EUR/USD, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ არის, რადგანაც ფუნტს ხშირად აქვს დიდი საპროცენტო განაკვეთი და ითვლება მაღალშემოსავლიან ვალუტად.

USD/JPY-ეს წყვილი იმყოფება მეორე ადგილზე პოპულარობით – 13%-ზე მეტი დღიური მოცულობით. განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობს ვაჭრობა ე.წ. აზიის სესიის დროს. ახასიათებს არც ისე დიდი სპრედი, მოძრაობს შედარებით მდორედ, წყვილი სწრაფად რეაგირებს ბაზარზე რისკების ზრდაზე. ასეთ დროს იენა როგორც წესი ძლიერდება სხვა ვალუტების მიმართ, რადგანაც ინვესტორები ამ დროს ხურავენ ე.წ. “Carry Trade” გარიგებებს. წყვილის მდგომარეობაზე მოქმედებს იაპონიის ცენტრალური ბანკი. რადგანაც იაპონია დამოკიდებულია ექსპორტზე, ბანკი დაინტერესებულია იენის დაბალ კურსში სხვა ვალუტებთან შეფარდებით.

ამრიგად, ტრეიდერისთვის მნიშვნელოვანია იცნობდეს სავალუტო წყვილების თავისებურებებს. შეიძლება აღმოაჩინოთ რომ ერთი წყვილი განსაკუთრებულად შეესაბამება თქვენს სტრატეგიას, ასეთ დროს კონცენტრირება გააკეთეთ მასზე. ასეულობით სავალუტო წყვილებში ყოველთვის მოინახება მისაღები სავალუტო წყვილი.

სავალუტო კურსი - წარმოადგენს ერთი ქვეყნის ფულადი ერთეულის ყიდვა-გაყიდვის გარიგების ფასს გამოსახულს სხვა ქვეყნის ფულად ერთეულში. ასეთი ფასი ყველა კონკრეტული ვალუტისათვის შესაძლებელია ჩამოყალიბდეს მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობიდან გამომდინარე, მხოლოდ თავისუფალი ბაზრის პირობებში, ანდა მიიღება მთავრობის მკაცრად რეგლამენტირებული გადაწყვეტილების შედეგად. (როგორც წესი ასეთ შემთხვევებში გადაწყვეტილების რეალიზაცია ხორციელდება ცენტრალური ბანკის, როგორც ქვეყნის უმაღლესი ფინანსური ორგანოს მიერ)

მაგალითისათვის აშშ დოლარის კურსი ამა-თუ იმ ქვეყნის ვალუტასთან მიმართებაში ყალიბდება მათი მოთხოვნისა და მიწოდების უშუალო თანაფარდობიდან გამომდინარე.

სულ სხვაგვარი სურათია გარკვეულ ქვეყნებთან მიმართებაში.

არსებობენ ისეთი ქვეყნები, სადაც ნაციონალური ვალუტის კურსის განსაზღვრა ხორციელდება ამავე ქვეყნის მთავრობის მიერ, მკაცრად რეგლამენტირებული გადაწყვეტილებით და ეს კურსი შენარჩუნებულია გარკვეული პერიოდის განმავლობაში. გასაგები მიზეზების გამო ასეთ ქვეყნებში ვალუტის თავისუფლად კონვერტირება ან აკრძალულია ან საგრძნობლად შეზღუდულია (შექმნილია სხვადასხვა სახის ბარიერები).

სავალუტო კურსების, როგორც ასეთის არსის გასაგებად ყველაზე უპრიანია მსყიდველობითი უნარის პარიტეტის (purchasing power parity - PPP) განმარტება.

ამ პარიტეტის განსაზღვრის დროს აპელირებენ ეგრეთ წოდებულ - ერთი ფასის კანონზე. რაც თავის თავში გულისხმობს იმას, რომ რაიმე საქონლის ფასი ერთ ქვეყანაში, უნდა უტოლდებოდეს ამავე საქონლის ფასს მეორე ქვეყანაში. რადგან არსებული ფასები გამოიხატება სხვადასხვა ვალუტაში, ფასთა ფარდობით გამოიხატება ერთი ვალუტის მეორეზე გაცვლის კურსიც. ეს ფასები წარმოადგენენ იმ ნაციონალური ვალუტების ოდენობებს, რომლებსაც იხდიან ერთ ერთეულ საქონელში ქვეყნის შიგნით და გარეთ. ამ ფასების თანაფარდობა იქნება გამოხატულება იმ კურსისა, რა კურსითაც გადაიცვლება ერთი ქვეყნის ნაციონალური ვალუტა მეორე ქვეყნის ნაციონალურ ვალუტაზე. სწორედ ეს კურსი იქნებოდა საზოგადოდ ამ ვალუტებს შორის, თუ ყველა გაცვლები დაკავშირებული იქნებოდნენ მხოლოდ ამ საქონელთან.

$$S = Pd/Pf$$

სადაც Pd - (domestic price) არის ფასი საქონელზე ქვეყნის შიგნით, ხოლო Pf - (foreign price) ფასი საქონელზე ქვეყნის გარეთ (სხვა ქვეყანაში).

გაცვლითი კურსის ოპტიმიზაციის მიზნით იყენებენ “მყიდველობითი უნარის პარიტეტის აბსოლუტური ვარიანტის” მეთოდს. რეალურად ამ მეთოდით “ერთი ფასის კანონი” ერთმანეთთან ადარებს ორი ქვეყნის ფასებს, გარკვეული ტიპის საქონლისა და მომსახურეობის ჩამონათვალზე. (მხედველობაშია ეგრეთწოდებული “სამომხმარებლო კალათა”). გაცვლითი კურსის გამოსათვლელი ფორმულა იგივე რჩება იმ განსხვავებით, რომ Pd-სა და Pf-ში იგულისხმება “სამომხმარებლო კალათით” გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურეობის გასაშუალოებული ფასები. ასეთ გაცვლის კურსს ეწოდება მყიდველობითი უნარის პარიტეტის აბსოლუტური ვარიანტი (absolute version of purchasing power parity).

ვალუტის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული გარიგების ხასიათისა და ვადის ხანგრძლივობიდან გამომდინარე განასხვავებენ სხვადასხვა ტიპის სავალუტო კურსებს.

კროს-კურსი - წარმოადგენს უცხო ქვეყნის ვალუტის ერთეულთა ოდენობს, გამოსახულს სხვა ქვეყნის ვალუტის ერთეულთა ოდენობაში. ამ შემთხვევაში აშშ დოლარი მართალია არა პირდაპირ, მაგრამ მაინც მონაწილეობს კურსის ჩამოყალიბებაში, რადგან სავალუტო წყვილის თანაფარდობა, თითოეული ვალუტის აშშ დოლართან თანაფარდობით გამოითვლება.

უმეტეს წილად მსოფლიო ბაზარზე განხორციელებულ ოპერაციებში გამოიყენება აშშ-დოლართან მიმართებაში არსებული კროს-კურსი, რადგან აშშ დოლარი არის არამარტო ძირითადი სარეზერვო ვალუტა, არამედ წარმოადგენს უმეტესი სავალუტო გარიგებების ვალუტას.

მაგალითად დოლარის კურსი იაპონურ იენასთან მიმართებაში USD/JPY

USD/JPY=106.00

USD - საბაზო ვალუტა

JPY - კოტირების ვალუტა

106.00 - კოტირების კურსი

მოცემული სიდიდე უტოლდება კოტირების ვალუტის ოდენობას, 1 ერთეულ საბაზო ვალუტასთან მიმართებაში. (მოცემულ შემთხვევაში 106.00 იაპონური იენი უტოლდება 1 აშშ დოლარს)

სპოტ-კურსი (SPOT) - ეს არის ერთი ქვეყნის ვალუტის ფასი, გამოხატული სხვა ქვეყნის ვალუტაში, რომელიც დადგინდა ორ კონტრაგენტ ბანკს შორის გარიგების დადების მომენტში, იმ პირობით, რომ სავალუტო გაცვლა ფაქტიურად განხორციელდება გარიგების დადებიდან მეორე სამუშაო დღის ჩათვლით. ვალუტის შესაბამის ანგარიშებზე ჩარიცვის თარიღს “ვალუტირების თარიღს” (ვალუე დატე) ეძახიან. ვალუტირების თარიღი შესაძლებელია იყოს:

- სავალუტო გარიგების დადების დღეს
- სავალუტო გარიგების დადების შემდგომ სამუშაო დღეს
- სავალუტო გარიგების დადებიდან მეორე სამუშაო დღეს - Spot;

უმეტესწილად ფორექსზე გარიგებები ხორციელდება ვალუტირების თარიღით Spot. ვალუტირების 2 დღიანი თარიღზე მცირე ვადით განხორციელებულ ყველა გარიგებას “საკასო საკონვერსიო ოპერაციებს” უწოდებენ.

ფორვარდ კურსი (Forward) - ფორვარდული გარიგება თავისი არსით სპოტურის მსგავსია, ოღონდ, იგი არის უფრო გრძელვადიანი. მისი სტანდარტული ვადებია: 1, 2, 3, 6, 12 თვე, თუმცა, შეიძლება იყოს სხვა ვადისაც. ფორვარდულ გარიგებებს ხშირად მიმართავენ კურსის


განუსაზღვრელი მიმართულებით მოძრაობისაგან თავის დასაცავად. ფორვარდული კურსი ასახავს ბაზრის მოლოდინს რა კურსი იქნება კონკრეტული ვადის შემდეგ. თუმცა, ეს მოლოდინი მიახლოებითია და ყოველთვის ზუსტი არის.

ფორვარდ კურსი – არის კურსის მაჩვენებელი, რომელსაც შეიძენს ვალუტა გარკვეული პერიოდის შემდეგ (სტანდარტული პერიოდებია 1, 3, 6 და 12 თვე).

$$\text{ფორვარდ კურსი} = \text{სპოტ კურსი} + \frac{\text{სპოტ-კურსი} \times \text{საპროცენტო ნიხრი} \times \text{დღეთა რაოდენობა}}{360^{100}}$$

სავალუტო ვაჭრობის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მოცულობებს. რაც უფრო დიდია მოცემული ვალუტით ვაჭრობის მოცულობა, მით უფრო რთულია ვაჭრობის ერთი მონაწილის ან მონაწილეთა ჯგუფის მხრიდან კურსით მანიპულირების შესაძლებლობა. თუნდაც ისეთ პოპულარულ წყვილებში, როგორცაა ევრო-დოლართან ასეთი მანიპულირების შესაძლებლობა წარმოუდგენელია გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც ბაზარზე შემოდიან სახელმწიფოს ცენტრალური (ნაციონალური) ბანკები. ეს გახლავთ ერთი მიზეზი, რატომაც ირჩევენ ტრეიდერების უმეტესობა ამ სავალუტო წყვილს. მეორე მიზეზი ამ სავალუტო წყვილზე არჩევანის გაჩერებისა გახლავთ ვაჭრობის დიდი მოცულობები, რაც თავის მხრივ იძლევა სხვადასხვა ტიპის ანალიზის გაკეთების ფართო შესაძლებლობას. ევრო-დოლარის სავალუტო წყვილის შემდეგ, რომლებიც მთლიანობაში ინაწილებენ ბაზრის 70%, ყველაზე პოპულარულ ინსტრუმენტებად ითვლებიან, იაპონური იენა (11%), ბრიტანული ფუნტი (8%), შვეიცარული ფრანკი (5%), და ბოლოს 6% ყველა სხვა დარჩენილ ვალუტაზე.

მეტნაკლებად ლიკვიდური ვალუტები




სვოპი (Swap) - იგი განისაზღვრება სხვადასხვა ქვეყნების სბაზისო საპროცენტო განაკვეთების სიდიდეებს შორის სხვაობით. მაგალითად იაპონიის ცენტრალური ბანკის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 0,5%, მაშინ როდესაც ავსტრალიის ცენტრალური ბანკის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 6,25%. ზემოხსენებულიდან ცხადია, რომ ფულის ავსტრალიურ ბანკში განთავსება უფრო მომგებიანია, ვიდრე იაპონურში. საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობები პირდაპირ დამოკიდებულებაშია ფორექსზე ვაჭრობასთან და გამოისახება სვოპით (Swap). სავაჭრო პოზიციის გახსნისას ხორციელდება ერთი ვალუტის გაყიდვა და იმავედროულად


მეორე ვალუტის შესყიდვა. თუ დავუბრუნდებით ავსტრალიისა და იაპონიის ნაციონალურ ვალუტებს (AUD/JPY) და განვიხილავთ კონკრეტულ მაგალითს, დავინახავთ, რომ გრძელი პოზიციის გახსნით ჩვენ მოგებას ვიღებთ სვოპით, ხოლო მოკლე პოზიციის გახსნით სვოპით ვაფიქსირებთ მცირე წაგებას. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ გრძელი პოზიციის გახსნის დროს რეალურად ხორციელდება ავსტრალიური დოლარის შესყიდვა, ხოლო მოკლე პოზიციის გახსნის დროს ხორციელდება იაპონური იენის შესყიდვა.

გახსნილი პოზიციების მიმართულებების მიხედვით პრაქტიკაში განასხვავებენ ორი ტიპის სვოპს. გრძელი სავაჭრო პოზიციის გახსნის დროს სვოპს გრძელი ეწოდება, ხოლო მოკლე პოზიციის გახსნის დროს, მოკლე სვოპი ეწოდება.

ოპერაცია სვოპი (Swap, რომელსაც მეორენაირად უწოდებენ Rollover, Overnight) სავალუტო ბაზარზე, თავისი შინაარსით წარმოადგენს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო გარიგების ერთდროულად დადებას, ვალუტირების სხვადასხვა თარიღებით, რომლის დროსაც ერთი მათგანი ხურავს უკვე გახსნილ პოზიციას, ხოლო მეორე იმავდროულად ხსნის მას. სვოპის კურსი და მისი ფასი განისაზღვრება გარიგების დადების მომენტში. როგორც წესი, ოპერაციის მიზანია გახსნილი პოზიციის გაგრძელება.



როდესაც, სავალუტო ბაზარზე საკრედიტო მხრის მეშვეობით მოვაჭრე ინდივიდუალური ინვესტორი ერთ სავაჭრო პოზიციას გახსნილად ტოვებს მეორე დღემდე, ღამით (გრინვიჩის დროით 00:00 სთ) ტრეიდერის დეპოზიტს დაემატება (ან გამოაკლდება) შესაბამისი ოდენობის თანხა, რომელიც წარმოადგენს სვოპ ოპერაციის შედეგს. ამ თანხის ოდენობა დამოკიდებულია იმ ქვეყნების საპროცენტო განაკვეთების ოდენობებზე, რომელთა ვალუტების ყიდვა გაყიდვაც ხორციელდება კონკრეტულ ოპერაციაში. საპროცენტო განაკვეთები დგინდება შესაბამისი ქვეყნის ცენტრალური ბანკების მიერ. როგორც წესი, მაღალი საპროცენტო განაკვეთის მქონე ვალუტის მიმართ გახსნილი გრძელი პოზიციის დროს სვოპი დადებითია (მოგება მოაქვს ტრეიდერისათვის). ხოლო მოკლე პოზიციის გახსნის დროს სვოპი უარყოფითია (წამგებიანია ტრეიდერისათვის).



მაგალითისათვის, როცა USD/CHF სავალუტო წყვილით ხსნით 1 ლოტის ოდენობის (100 000 ერთეული საბაზო ვალუტა) გრძელ პოზიციას 1,2100 კურსის პირობებში, ნიშნავს, რომ თქვენ ყიდულობთ 100 000 USD, 121 000 CHF-ის გაყიდვით. რეალურად თქვენ არ გაგაჩნიათ თანხა მფლობელობაში, ამიტომ თქვენმა ბროკერმა ეს თანხა უნდა მოიპოვოს ბანკთაშორისი კრედიტის სახით. ცხადია, არსებულ კრედიტზე ხორციელდება პროცენტის გადახდა, ანუ თქვენს აღებულ თანხაზე, იმ ვალუტით, რომლითაც თქვენ გახსენით გრძელი პოზიცია, დაგერიცხებათ შესაბამისი პროცენტი. დადებითი სვოპის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ აღებული კრედიტის მომსახურებაზე უნდა გამოიყენოთ დაბალი საკრედიტო განაკვეთი, ხოლო არსებული თანხა უნდა დააბანდოთ უფრო მაღალი საკრედიტო განაკვეთით. ამავდროულად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მხოლოდ დადებითი სვოპის არსებობა არ შეიძლება აღვიქვათ საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების ერთმნიშვნელოვან კრიტერიუმად.

მარჟირებული ვაჭრობა (Margin trading) თავისი ბუნებით წარმოადგენს სპეკულაციურ გარიგებას (ოპერაციას), სადაც ფული ან საქონელი გამყიდველს გადაეცემა კრედიტით, წინასწარ შეთანხმებული სათავდებო თანხის (მარჟის) საფუძველზე.

ჩვეულებრივი კრედიტისაგან მარჟირებული ვაჭრობის სისტემა იმით განსხვავდება, რომ გარიგების მონაწილეს ეძლევა საშუალება მისავე კუთვნილებაში არსებულ კაპიტალზე გაცილებით მაღალ თანხებზე დადოს კონტრაქტები.

მართალია სხვადასხვა პლათფორმა სხვადასხვა პირობებს გვთავაზობს, მაგრამ უფრო გასაგები რომ იყოს მაგალითით ავხსნათ:

100 000 აშშ დოლარის ყიდვა/გაყიდვაზე (დაშვების) უფლებამოსილების მინიჭებისათვის, როგორც წესი ბროკერი სათავდებოდ ითხოვს მხოლოდ 1000 დოლარს. ასეთი პირობა ტრეიდერს აძლევს საშუალებას გარიგებების გაზრდილი ოდენობის საფუძველზე განახორციელოს კონკრეტული ოპერაცია. აგრეთვე შესაძლებელია კრედიტში აღებული საქონლის გაყიდვა, შემდგომში ანალოგიური საქონლის შესყიდვის შესაძლებლობით და ამავე საქონლით კრედიტის დაფარვა.

ბოლო 10 წელია ინდივიდუალური სავაჭრო საქმიანობა საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე ერთობ პოპულარული ხდება. ამის მიზეზი იმ ფინანსური მომსახურეობის გამოყენება გახლავთ, რომელსაც მარჟირებული ვაჭრობა ეწოდება. ასეთ პირობებში, ბროკერისადმი წარდგენილი მცირე გარანტიით ნებისმიერ მსურველს შეუძლია ფორექსზე დიდი მოცულობებით ვაჭრობა.

იმისათვის, რომ ტრეიდერმა განახორციელოს ოპერაცია ფორექსზე, მას სჭირდება ამა-თუ იმ ვალუტის 100 000 ერთეული. ხშირ შემთხვევაში ასეთი თანხა მიუწვდომელია ინდივიდუალური ტრეიდერების უმრავლესობისათვის. მაგრამ ეგრეთ წოდებული “მხრის” (ბერკეტი) წყალობით ბაზრის მონაწილეებს ეძლევათ საშუალება ბაზარზე ოპერირებისა, იმაზე ნაკლები თანხებით ვიდრე ეს რეალურად არის შესაძლებელი საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე ფორექს-სპოტ ვაჭრობის დროს. მცნება “საკრედიტო ბერკეტს” სხვაგვარად უწოდებენ “ლევერიჯ” (Leverage), “მარჟა” (Margin), “საკრედიტო მხარი”.

რას წარმოადგენს “საკრედიტო მხარის” ეფექტი და როგორ ხდება მისი უზრუნველყოფა? როგორც წესი ბროკერი სთავაზობს თავის კლიენტებს გარკვეულ საკრედიტო მხარს, რის საფუძველზედაც ინდივიდუალური ტრეიდერები ღებულობენ წვდომის შესაძლებლობას ფორექს ბაზარზე. თუ ბროკერი გვთავაზობს საკრედიტო მხარს კოეფიციენტით 1:100(ან 1%), ეს ნიშნავს რომ ტრეიდერს შეუძლია ფორექსზე შევიდეს ასჯერ უფრო პატარა თანხით, ვიდრე ეს არის შესაძლებელი საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე რეალურად ვაჭრობის შემთხვევაში. მაგალითისათვის, თუ ტრეიდერი 1:100 საკრედიტო მხრის პირობებით, საკუთარი 1000\$-ით დებს გარიგებას, ეს ნიშნავს, რომ რეალურად იგი ვაჭრობს 100 000\$-ით.

უფრო მარტივად საკრედიტო მხარი (Leverag) ეს არის სათავდებო თანხასა და არსებული მარჟით გამოყოფილ თანხას შორის თანაფარდობა.

მარჟირების გამოყენებით Forex- ზე ვაჭრობას, როგორც ბიზნესის სახეობას გააჩნია რიგი სპეციფიური თავისებურებები, რომლებიც მას ერთობ მიმზიდველს ხდის:

- არ საჭიროებს დიდ სასტარტო კაპიტალს.
- არ არსებობენ “უფროსები” და “ქვეშემოდომები”.
- არ არის კონკურენცია მომწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის.
- სახეზეა ტიპური ოპერაციები, რომლებიც არ საჭიროებენ დამატებით კვალიფიკაციას.
- სახეზეა რისკებთან შედარებით გაცილებით დიდი შემოსავლის პოტენციალი.

ამაში დასარწმუნებლად საკმარისია სადემონსტრაციო-სასწავლო ანუ დემო პროგრამებში ჩაერთოთ, რომელიც თითქმის ყველა პლატფორმას გააჩნია, სადაც ეგრედ წოდებული ვირტუალური თანხით შეგეძლება “ონლაინ” რეჟიმში განახორციელოთ გარიგებები.

მაგრამ მიღებულ “შედეგებს” უნდა მოვეპყრათ თვითკრიტიკულად და ამავდროულად დიდი სიფრთხილით.

ახალბედა ტრეიდერების უმრავლესობა ამ პერიოდში მოვლენებს აღიქვამს არა, როგორც რეალურ გარემოებას, არამედ იმას რისი დანახვაც მას სურს.

ძირითადად ეს არის არსებული თანხის სწრაფად და უმტკივნეულოდ გაზრდის ილუზია.

წარუმატებლობები სწრაფად ეძლევა დავიწყებას (ეს ხომ ვირტუალური ფულია), ხოლო წარმატებები ამხნევენ ახალბედებს.

საბოლოო ჯამში იბადება ილუზია, თითქოს შესაძლებელია თუნდაც ხვალ რეალური თანხით მუშაობა, ამიტომ დაბეჯითებით გთხოვთ, რომ განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდოთ ამ ეტაპს.

პიპს (Pips) - ეს გახლავთ ერთგვარი საბაზრო ტერმინი და ნიშნავს – “ერთ პუნქტს” (Pips). პიპსი ფასის ყველაზე მცირე ცვლილების აღმნიშვნელია სავალუტო კოტირების დროს. მაგალითად, თუ USD/CHF სავალუტო წყვილს შორის კურსი შეადგენს 1.2212, ხოლო კურსის აწევის შემდეგ შადგინა 1.2213, ნიშნავს, რომ კურსი შეიცვალა ერთი პიპს-ით (0.0001). ყოველი გარიგების წაგება და მოგების ბალანსი განისაზღვრება პიპსების ოდენობით, რომლებიც გაიარა ფასმა სავაჭრო პოზიციის გახსნის მომენტიდან დახურვამდე. ამასთან ერთად შედეგის სრული ფასი განისაზღვრება კონკრეტულ გარიგებაში ჩადებული თანხის ოდენობის მიხედვით. სხვადასხვა სავალუტო წყვილებში ერთი პუნქტის ფასი სხვადასხვაა.

EUR/USD და GBP/USD ტოლია 10\$, ხოლო სხვა სავალუტო წყვილებისათვის გამოითვლება შემდეგი ფორმულით: (130ინტ/ბიდ)*100 000.00

მაგალითად: EUR/USD წყვილისათვის (0.01/87.7)*100 000=11.40, რაც ნიშნავს, რომ ამ წყვილისათვის ერთი პუნქტი შეადგენს 11.40\$

სავალუტო ბაზარზე ბანკები ვალუტის კოტირებას ასახავენ ორი პოზიციით:

ბიდ (bid)- ყიდვის კურსი	ასკ (ask)- გაყიდვის კურსი
-------------------------	---------------------------

საგაზეთო კოტირების კურსები ან ვალუტის გაცვლის პუნქტების აბრევიატურა ხშირად გამოისახება შემდეგნაირად:

USD/JPY	106.10	106.20
---------	--------	--------

იგივე, რაც
USD/JPY=106.10/20

106.10 ბიდ (bid)- არის საბაზო ვალუტის (USD) ყიდვის კურსი

106.20 ასკ (ask)- არის საბაზო ვალუტის (USD) გაყიდვის კურსი

იგივე მაგალითი

USD/CHF = 1.7050/60

ეს ნიშნავს, რომ ტრეიდერს შეუძლია შეისყიდოს ამერიკული დოლარი, შვეიცარულ ფრანკად კურსით - 1.7060, ხოლო გაყიდოს დოლარი შვეიცარულ ფრანკზე კურსით 1.7050.

1.7050 – ბიდ (bid); 1.7060 – ასკ (ask)

ტრენდი (TREND)

ტერმინ ტრენდში იგულისხმება ბაზრის მიმართულების მოძრაობა. ძირითადად განასხვავებენ ორი ტიპის ტრენდს ადმავალ და დადმავალს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ფასები უმნიშვნელო ცვლილებებს განიცდიან, ითვლება, რომ ბაზარი იმყოფება რეინჯში (Range), ანუ ფლეთში (Flat).

ადმავალ ტრენდზე შეინიშნება ამორჩეულ ფინანსურ ინსტრუმენტზე ფასის ზრდა, ხოლო დადმავალ ტრენდზე, პირიქით შეინიშნება ფასთა ვარდნა. უმეტეს წილად ამ დასახელებების ნაცვლად ტრენდებს ახასიათებენ დათვისებური და ხარისებური ტერმინებით. ადმავალ ტრენდს ეწოდება ხარისებური (bullish), ხოლო დადმავალ ტრენდს ეწოდება დათვისებური (bearish).

მუშაობის სტილის, ინდივიდუალური ფსიქოლოგიური მიდგომისა და გახსნილი პოზიციების სტატისტიკის მიხედვით ტრეიდერები შეგვიძლია პირობითად დავყოთ სხვადასხვა ტიპის ორ ძირითად კატეგორიებად:

- ხარები – ისინი ძირითადად კურსის გამყარებაზე (ადმავალ) მუშაობენ და ქმნიან ადმავალ ტრენდს. ასე ვთქვათ ხარები თავიანთ მოწინააღმდეგეებს რქებით მალა აგდებენ.
- დათვები – ისინი ძირითადად ელოდებიან კურსის დაცემას (დადმავალ) და ქმნიან დადმავალ ტრენდს. დათვები ცდილობენ თავიანთი მოწინააღმდეგეები ტორებით ძირს დასცენ.

ამასთან ერთად შეინიშნება, ცხვრები – ძალზედ დიდ ხანს ორჭოფობენ, რის შედეგადაც გარიგებაში მონაწილეობის მიღებას მაშინ გადაწყვეტენ, როდესაც სხვა ტრეიდერები უკვე ხურავენ თავიანთ პოზიციებს. აგრეთვე ღორები – ძალზედ ხარბი ტრეიდერები, რომელთაც უჭირთ პოზიციების დროულად დახურვა, მაშინაც კი, როდესაც ტენდენციის გაგრძელების არანაირი წინაპირობა არ შეინიშნება.

იმედია ამ კატეგორიებს არ გავიგებთ ისე, თითქოს ყოველივე ზემოთმოყვანილი სტილი ამა-თუ იმ ტრეიდერის მუდმივი მახასიათებელია. რასაკვირველია ერთი და იგივე ტრეიდერი შესაძლებელია მოგვევლინოს, როგორც ხარისებური, აგრეთვე დათვისებური სახით.

სპრედს (Spread) - ყიდვა-გაყიდვას კურსებს შორის სხვაობა.

თუ 1.7050 – ბიდ (bid); 1.7060 – ასკ (ask)

$1.7060 - 1.7050 = 10 \text{ pips}$

მოკლე და გრძელი პოზიციები

გრძელი პოზიცია (Long) – ინსტრუმენტის ყიდვა, მომავალში ფასის მომატების იმედით;

მოკლე პოზიცია (Short) – ინსტრუმენტის გაყიდვა, მომავალში ფასის დაცემის იმედით;

მოკლე პოზიციაში (Short) იგულისხმება მოცემული ფინანსური აქტივის გაყიდვა (ამასთან ერთად შესაძლებელია ეს აქტივი არავის არ ეკუთვნოდეს), ხოლო გრძელ (Long) პოზიციაში იგულისხმება აქტივის შესყიდვა. მოკლე პოზიციის გახსნის დროს, ბუნებრივია წარმოიშობა კითხვა, როგორ შეიძლება გაყიდოს რაიმე, რომელიც არავის არ ეკუთვნის. წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული სქემა შემდეგში მდგომარეობს: ტრეიდერი სესხულობს თავისი ბროკერისაგან მოცემულ ფინანსურ აქტივს, ყიდის მას და იმის შემდეგ, რაც ფასი დაბლა იწევს, ახორციელებს მის უკანვე გამოსყიდვას. მხოლოდ ამის შემდეგ უბრუნებს ბროკერს ნასესხებ აქტივს, ამასთან ერთად იტოვებს მოგებას, რომლის რეალიზაციაც შეძლო. უფრო გასაგები, რომ იყოს განვიხილოთ იდეალური ვარიანტი საკრედიტო მხრისა და სპრედის არსებობის გარეშე. მაგალითისათვის განვიხილოთ სიტუაცია, როდესაც ტრეიდერმა მიიღო გადაწყვეტილება მოკლე პოზიციის გახსნაზე ძვირფას ლითონთან (ოქროსთან) მიმართებაში. ოქროს ფასი იმ კონკრეტული მომენტისათვის

შეადგენს 680\$ ერთ უნციაზე. ამ პოზიციის რეალიზაციის მიზნით ტრეიდერი მიმართავს თავის ბროკერს, რათა მან გარკვეული საგარანტიო თანხის საფუძველზე მისცეს მას სესხად ერთი უნციის ღირებულების შესაბამისი თანხა. ტრეიდერი ყიდის ერთ უნცია ოქროს 680\$. მთელი ამ დროის განმავლობაში მას თავისი ბროკერის მართებს ერთი უნცია ოქრო. დავუშვათ, რომ გარკვეული დროის შემდეგ ერთ უნცია ოქროზე ფასმა დაიწია 20\$ და შეადგინა 660\$. თუ ტრეიდერს ამ მომენტში სურს მოგების დაფიქსირება, იგი ახორციელებს ერთი უნცია ოქროს შესყიდვას 660\$ და უბრუნებს მას თავისივე ბროკერს. ამ მეთოდით მას რჩება მოგება 20\$ ოდენობით, ხოლო ბროკერი თავის მხრივ უბრუნებს მას საგარანტიო თანხას. რა თქმა უნდა მოკლე პოზიციების რეალიზაცია შესაძლებელია არა მხოლოდ ოქროსთან მიმართებაში, არამედ სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებაშიც, როგორებიცაა სავალუტო წყვილები, კონტრაქტების ფასთა სხვაობები (Contracts for Difference), სასაქონლო ფიუჩერსები (Futures) და ა.შ.

დივერგენცია – ორი გრაფიკის მიერ ერთმანეთისგან განსხვავებული მაქსიმუმების ან მინიმუმების ფორმირება, იმ დროს როცა თითოეული მათგანის აგების ლოგიკიდან გამომდინარე ეს განსხვავება არ უნდა წარმოქმნილიყო. მაგალითისთვის, ინდიკატორმა, რომელიც ფასის ახალ მაქსიმუმებზე, წესისამებრ აფორმირებს თავის ახალ მაქსიმუმებს, შიძლება მოხდეს რომ, ფასის ახალ მაქსიმუმს არ შეესაბამებოდეს ინდიკატორის ახალი მაქსიმუმი. ანალოგიურად ფასის ახალ მინიმუმზე, ინდიკატორმა, არ დააფორმიროს ახალი მინიმუმს. ბევრ ინდიკატორში დივერგენცია ითვლება ძლიერ სიგნალად.

ინსტრუმენტი – FForex- თან მიმართებაში კონკრეტული სავალუტო წყვილი, რომელზეც შესაძლებელია ოპერაციების ჩატარება;

კლიენტის ტერმინალი – პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის საშუალებითაც კლიენტს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია ბაზრის შესახებ რეალურ დროში, გაუკეთოს ანალიზი ბაზარს, შეასრულოს სავაჭრო ოპერაციები, გახსნას, შეცვალოს და დახუროს გარიგებები. ასევე მიიღოს შეტყობინებები თავისი ბროკერისგან;

კოტირება – ინფორმაცია ინსტრუმენტის მიმდინარე კურსის შესახებ გამოსახული (ბიდ და ასკ) მიწოდების და მოთხოვნის ფასებით;

პირდაპირი კოტირება – პირდაპირ კოტირებასთან (გამოსახვა) საქმე გვაქვს მაშინ, როცა უცხოური ვალუტის ერთი ერთეული (აშშ დოლარი) გამოისახება ადგილობრივი ვალუტის მიხედვით. მაგალითად, კურსი USD/CHF = 1.2922 პირდაპირი კოტირებაა, ვინაიდან, გვიჩვენებს რამდენი შვეიცარული ფრანკი ღირს ერთი დოლარი. პირდაპირი კოტირებაა ასევე USD/JPY = 111.12 – რამდენი იენა ღირს ერთი დოლარი. სიმარტივისა და უნიფიცირებისათვის მსოფლიო სავალუტო ბაზარზე გამოიყენება პირდაპირი კოტირებები.

არაპირდაპირი კოტირება – ადგილობრივი ვალუტის ერთი ერთეული გამოისახება უცხოური ვალუტის მიხედვით. მაგალითად, კურსი GBP/USD = 1.7625 არაპირდაპირი კოტირების მაგალითია, რომელიც გვიჩვენებს რამდენი დოლარი ღირს ერთი ფუნტი. Forex-ზე ძირითადად გვხვდება შემდეგი არაპირდაპირი კოტირებები: EUR/USD, GBP/USD, AUD/USD (ავსტრალიური დოლარი). ნებისმიერი კოტირების დროს ვალუტას, რომელიც სავალუტო წყვილში პირველი იწერება, საბაზისო ვალუტა ეწოდება. მაგალითად, EUR/USD-ში EUR საბაზისო ვალუტაა, USD/CHF-ის შემთხვევაში საბაზისო ვალუტაა აშშ დოლარი.

ლოქირებული პოზიცია – კლიენტის მიერ, დროში ერთდროულად გახსნილი შემხვედრი (ყიდვის და გაყიდვის) გარიგება ერთ და იგივე ინსტრუმენტზე, ერთი და იგივე სავაჭრო ანგარიშიდან;

საბაზო ვალუტა – ფულის ერთეული, რომელშიც არის ნომინირებული და გათვლილი ქვეანგარიში, ყველა ბალანსი, საკომისიო თანხები და გადახდები;

სახსრები (აქტივები) – თანხა კლიენტის ანგარიშზე გახსნილი პოზიციების გათვალისწინებით, გაითვლება: ბალანსი + გახსნილი პოზიციების მიმდინარე მოგება/წაგება +/- სვოპი;

ASK - მიწოდების ფასი, რომელშიც შესაძლებელია ვალუტის ყიდვა;

BID - მოთხოვნის ფასი, რომელშიც შესაძლებელია ვალუტის გაყიდვა;

COMMISSION - საკომისიო, ბროკერის სარგებელი, რომელსაც ის ახდევინებს კლიენტს, ოპერაციის შესრულების სანაცვლოდ;

FLAT (SQUARE) - (დახურული) ნეიტრალური მდგომარეობა, როცა ყველა პოზიცია დახურულია;

LIMIT ORDER - (ლიმიტირებული გარიგება) მითითება ბროკერს, გარკვეული ინსტრუმენტის და გარკვეული მოცულობის ლოტის შესყიდვაზე, მითითებული ფასით ან ამ ფასზე დაბალი ფასით, ან გაყიდვაზე მითითებული ფასით ან ამ ფასზე მაღალი ფასით. მითითებულ ფასს უწოდებენ ლიმიტირებულ ფასს (Limit Price);

LOSS - (წაგება, დანაკარგი) საინვესტიციო აქტივების მოცულობის შემცირება ოპერაციის შესრულების შედეგად, ან ოპერაციიდან მიღებულ მოგებაზე ხარჯების გადაჭარბებით;

LOT - ოპერაციისთვის გამოყოფილი აქტივების მოცულობა;

MARGIN - აქტივების მოცულობა, რომელიც ინვესტორმა უნდა გააჩეროს გირაოს სახით ბროკერთან ოპერაციის შესასრულებლად;

MARGIN CALL - მოთხოვნა დამატებითი სახსრების შეტანის შესახებ. მოთხოვნა წარმოიშობა მაშინ როცა მარჯის თანხა ხდება ნაკლები კონკრეტული ბროკერის მიერ დადგენილ თანხაზე;

MARKET ORDER - (საბაზრო შეკვეთა) მითითება გარკვეული რაოდენობის ლოტის გაყიდვაზე ან ყიდვაზე მოცემული ინსტრუმენტისთვის, რომელიც ბროკერმა უნდა შეასრულოს მითითების მიღების მომენტში ყველაზე ხელსაყრელი ფასით;

MARKET PRICE - (საბაზრო ფასი) გახსნილი (მუშა) ბაზრის პირობებში გამყიდველების და მყიდველების დინამიურად ცვლადი ფასი. ბირჟის შემთხვევაში ბოლო გამოცხადებული ფასი;

OFFER - ფასის შეთავაზება გამყიდველის მიერ;

OPENED POSITION (TRADE) - (გახსნილი პოზიცია) დაუხურავი გარიგებების საბაზრო მოცულობა. ფასის ზრდაზე ვაჭრობის დროს პოზიციას უწოდებენ “გრძელს” (Long), ფასის შემცირებაზე ვაჭრობის დროს “მოკლეს” (Short);

ORDER –(შეკვეთა, გარიგება) მითითება ბროკერს გაყიდოს ან იყიდოს გარკვეული ინსტრუმენტის გარკვეული მოცულობა მითითებულ ფასად;

PIPS (POINT) –(ფიფსი, ფონთი) კოტირების მინიმალური ერთეული (0.0001 = 1 ფიფსი);

PROFIT (GAIN) –(მოგება, პროფიტი) ოპერაციიდან დადებითი რეზულტატი, ყველა ხარჯების გამოკლების შემდეგ;

REALIZED PROFIT/LOSS —მოგება/წაგება დახურული (რეალიზებული) პოზიციებიდან;

RESISTANCE –(წინააღმდეგობა) ფასის დონე, რომელზეც აქტიური გაყიდვები აბრუნებს ფასის ქვემოთ სვლის ტენდენციას აღმასვლისკენ;

SPREAD –სხვაობა მიწოდების და მოთხოვნის ფასს შორის;

STOP-LIMIT ORDER –(სტოპ-ლიმიტ გარიგება) მითითება ყიდვაზე ან გაყიდვაზე მხოლოდ გარკვეული ფასის მიღწევის შემთხვევაში;

STOP-LOSS ORDER –(სტოპ-ლოსს გარიგება) მითითება ყიდვაზე ან გაყიდვაზე ფიქსირებული ფასით ან ფასზე უარესი ფასის შემთხვევაში. ეს გარიგება ხდება დანაკარგების შესაზღვრად თუ ფასი დაიძრა არასასურველი მიმართულებით;

SUPPORT –(უზრუნველყოფა) ფასის დონე, რომელზეც აქტიური შესყიდვები აბრუნებს ფასის ზემოთ სვლის ტენდენციას დაღმასვლისკენ;

SWAP (სვოპი) – თანხა, რომელიც აკლდება ან ემატება კლიენტის ანგარიშს გახსნილი პოზიციების ერთი სამუშაო დღიდან მეორეში გადატანისთვის. როდესაც სამუშაო დღე მთავრდება და იხსნება ახალი სამუშაო დღე, კლიენტის ანგარიშს ემატება ან აკლდება პატარა პროცენტი, იმის მიხედვით, რომელი პოზიციები აქვს გახსნილი, გრძელი თუ მოკლე;

TREND –გარკვეული საბაზრო ფაქტორების ზემოქმედებით წარმოქმნილი ფასის მიმართული მოძრაობა;

UNREALIZED (FLOATING) PROFIT/LOSS –დაუფიქსირებელი მოგება/წაგების ოდენობა, არარეალიზებული მანამ სანამ არ იქნება პოზიციები დახურული, ან დარეგულირებული, ანუ გადახურული საწინააღმდეგო გარიგებებით;


USEABLE MARGIN –სხვაობა აქტივებსა და გახსნილ პოზიციებზე დაბლოკილ მარჯას შორის;

USED MARGIN –გახსნილი პოზიციების უზრუნველყოფისთვის დაბლოკილი თანხების ჯამი;

თავი 3. გრაფიკების სახეობები.

თავისი ბუნებით გრაფიკები გამოხატავენ ფინანსური ინსტრუმენტების ფასთა ცვლილებებს. პრაქტიკულად გრაფიკული გამოსახვა ყველაზე გავრცელებული მეთოდია ფასთა კოტირების ვიზუალიზაციისათვის. შესაბამისად ტექნიკური ანალიზის ყველა ელემენტი ბაზირებულია გრაფიკების გამოყენებაზე. ფასის გრაფიკული გამოსახულების მიღების მეთოდების მიხედვით გამოირჩევა სამი სახის გრაფიკი (ტრენდი). წრფივი ტრენდი, ბარ ტრენდი და იაპონური სანთლების ტრენდი. თავსთავად ტრენდი არ გახლავთ სავაჭრო პოზიციის (ორდერის) გახსნის მიზეზი, აუცილებელია ტრენდის მონაცემების, ტექნიკური ანალიზის ინდიკატორების მონაცემებთან კომბინირება და სინქრონიზაცია.

წრფივი ტრენდი აბრევიატურით (Line) ეს არის მონაცემთა წრფივი გრაფიკული გამოსახულების ტრენდი, სადაც აბცისაც ღერძზე ასახულია თარიღის (დროის) მონაცემები, ხოლო ორდინატას ღერძზე ასახულია ფასის მონაცემები. ამ მონაცემების გადაკვეთის წერტილების შეერთებით ვღებულობთ ფასის მოძრაობის გრაფიკულ გამოსახულებას. თუ დავაკვირდებით წრფივ ტრენდს დავინახავთ, რომ იგი ფასთა ცვლილებებზე იძლევა ხაზოვან, გასაშუალოებულ ანუ, შედარებით მწირ ინფორმაციას.




ბარ ტრენდი (Bar).

ტრენდისაგან მეტი ინფორმაციის მიღების მიზნით, როგორც წესი მათ გამოსახევენ დროის ცალკეული მონაკვეთების ერთობლიობის სახით, ანუ “სავაჭრო სესიების” სახით. მაგალითად თუ ტრენდი გამოსახულია 1 საათიანი სეგმენტების (ჩვენს მიერ არჩეული პირობითი მონაკვეთების) სახით ეს ნიშნავს რომ 1 სავაჭრო სესია მოიცავს ფასთა მოძრაობას ერთი საათიან მონაკვეთს, თუ ტრენდი გამოსახულია 4 საათიანი სეგმენტების სახით 1 სავაჭრო სესია მოიცავს ფასთა მოძრაობის 4 საათიან მონაკვეთს და ა.შ.

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, ხშირ შემთხვევაში ტრეიდერისათვის საკმარისი არ არის წრფივი ტრენდით ასახული გრაფიკული ინფორმაცია. მას სჭირდება ფასთა მოძრაობის პარამეტრები დროის გარკვეულ მონაკვეთში (სავაჭრო სესიის პერიოდში), რაც მდგომარეობს ფასების მოძრაობის მონაცემების ასახვაში სავაჭრო სესიის გახსნიდან მისი დახურვის ჩათვლით. ასეთ შემთხვევაში სარგებლობენ ბარ ტრენდით, რომელიც ფასთა ცვლილებას გამოხატავს სავაჭრო სესიის მიმდინარეობის კონკრეტულ მომენტებთან შესაბამისობაში. უფრო ზუსტად ბარ ტრენდი გამოხატავს ფასთა ცვლილებებს სავაჭრო სესიის გახსნის ფასის, სავაჭრო სესიის მიმდინარეობის პერიოდში დაფიქსირებული უმცირესი ფასის, სავაჭრო სესიის მიმდინარეობის პერიოდში დაფიქსირებული უმაღლესი ფასისა და სავაჭრო სესიის დახურვის ფასების ჩვენებით.

თვალსაჩინოებისათვის სქემაზე მოცემულია აღმავალი ანუ - ხარისებური ბარისა და დაღმავალი ანუ დათვისებური ბარის თითო სავაჭრო სესიით გამოსახული ტრენდი და მათი პარამეტრების დაწვრილებით განმარტება.




იაპონური სანთლები (Candlestick)

იპონური სანთლები დიდი პოპულარობით სარგებლობს პროფესიონალ ტრეიდერებს შორის და განეკუთვნება ტექნიკური ანალიზის ერთ-ერთ უძველეს მეთოდთა რიცხვს. იგი XVI საუკუნიდან გამოიყენებოდა იაპონიაში ბრინჯით ვაჭრობის პარამეტრების განსასაზღვრავად. კერძოდ, სავაჭრო ფასების მაქსიმუმისა და მინიმუმის, ვაჭრობის მოცულობების, აგრეთვე ვაჭრობის საწყისი და საბოლოო ფასების განსასაზღვრავად.

იაპონური სანთლების ტრენდი თავისი არსით იგივე ინფორმაციის მატარებელია, როგორც ბარ ტრენდი, იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში ტრენდის მიმართულებები გამოსახება სხვადასხვა ფერის სანთლებით. ხარისებური ანუ აღმავალი სანთელი, როგორც წესი თეთრი ფერისაა, ხოლო დათვისებური ანუ დაღმავალი სანთელი შავი ფერის (იხილეთ ნახ.2). მანძილს ხარისებური სანთლის დახურვის ფასსა და უმაღლეს ფასს შორის ეწოდება ზედა ჩრდილი, ხოლო მანძილს გახსნის ფასსა და უმცირეს ფასს შორის ეწოდება ქვედა ჩრდილი. ანალოგიური სიტუაცია შეინიშნება დათვისებურ სანთელშიც, ოღონდ პირიქით. როდესაც ვსაუბრობთ იაპონურ სანთლებზე, უნდა გვახსოვდეს, რომ არსებულ ტრენდსაც ახასიათებს გეპი.

იპონური სანთლებით გამოსახული ტრენდი, როგორც ბარ ტრენდი ხასიათდება ფასთა დაჯგუფების 4 ტიპით, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ რა ნიშნულიც აღმავალი ანუ ხარისებრი ტრენდის შემთხვევაში გამოსახება გახსნით ან დახურვის ფასით, იგივე დაღმავალი ტრენდისათვის გამოსახება პირიქით, დახურვითა და გახსნის ფასებით.





(ნახ.2)

გამომდინარე იქიდან, რომ ტრეიდერების უმრავლესობა თავიანთი მუშაობის პერიოდში პრიორიტეტს ანიჭებს იაპონური სანთლებით გამოსახულ ტრენდს, შემდგომში უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ამ გრაფიკული გამოსახულების თავისებურებებს.


როგორც ავღნიშნეთ სავალუტო ბაზარზე მომუშავე ტრეიდერების უმრავლესობა პრიორიტეტს ანიჭებს იაპონური სანთლებით გამოსახულ ტრენდს. ამის მიზეზად ფასთა დინამიკის სრული და თვალსაჩინო გამოხატულება შეიძლება ჩაითვალოს. ამ თავში ჩვენ განვიხილავთ იაპონური სანთლებით გამოსახული ტრენდის რამოდენიმე ძირითად ფიგურას, რომელთა ცოდნა კარგ დახმარებას გაგიწევთ ბაზრის გაანალიზების საქმეში.


1. ჩვეულებრივი სანთლები


<p>1.1 თეთრი სანთელი</p> 	<p>ჩვეულებრივი სანთელი ორივე ჩრდილითა და ტანით ეს სანთელი ტიპიურია ხარისებური ტრენდის ტენდენციისათვის</p>
--	---


<p>1.2 შავი სანთელი</p> 	<p>ეს სანთელი ტიპიურია დათვისებური ტრენდის ტენდენციისათვის</p>
---	--


2. სარტყელში შებოჭვა


<p>2.1. ხარისებური სარტყელში შებოჭვა</p> 	<p>ეს სანთელი ძირითადად ხარისებურ ტრენდზე გვხვდება. თუ ასეთი სანთელი გამოიხატა დათვისებურ ტრენდზე, იგი შესაძლებელია გახდეს ტრენდის შემობრუნების მაუწყებელი. რაც უფრო პატარაა ზედა ჩრდილი და რაც უფრო დიდია ტანი, მით უფრო მკვეთრად არის გამოსახული ხარისებური ტენდენცია.</p>
---	--


<p>2.2. დათვისებური სარტყელში შებოჭვა</p> 	<p>ეს სანთელი ძირითადად დათვისებურ ტრენდზე გვხვდება. თუ ასეთი სანთელი გამოიხატა ხარისებურ ტრენდზე იგი შესაძლებელია გახდეს ტრენდის შემობრუნების მაუწყებელი. რაც უფრო პატარაა ქვედა ჩრდილი და რაც უფრო დიდია ტანი მით უფრო მკვეთრადაა გამოსახული დათვისებური ტენდენცია.</p>
---	---


<p>2.3. გრძელი თეთრი სანთელი</p> 	<p>მოცემული სანთელი წარმოადგენს ხარისებური ტრენდის მკვეთრ გამოსახულებას. რაც უფრო მცირეა ჩრდილების სიდიდე (ან საერთოდ არ არიან გამოსახული) და დიდია ტანი, მით უფრო ძლიერადაა გამოხატული სანთლის ხარისებური ხასიათი.</p>
--	---




<p>2.4. გრძელი შავი სანთელი</p> 	<p>მოცემული სანთელი წარმოადგენს დათვისებური ტრენდის მკვეთრ გამოსახულებას. რაც უფრო მცირეა ჩრდილების სიდიდე (ან საერთოდ არ არიან გამოსახული) და დიდია ტანი, მით უფრო ძლიერადაა გამოხატული სანთლის დათვისებური ხასიათი.</p>
---	---

3. ურო და ჩამოხჩობილი (Hummer & Hanging man)	
<p>3.1. თეთრი ურო და ჩამოხჩობილი</p> 	<p>გამომდინარე იქიდან, თუ ბაზრის რა მონაკვეთშია წარმოდგენილი ეს სანთელი, შესაძლებელია იყოს როგორც დათვისებური, ასევე ხარისებური ხასიათის მატარებელი. უმეტეს შემთხვევაში იგი ტრენდის შემობრუნების მაუწყებელია. ხარისებურ ტრენდზე გამოჩენისას მას უწოდებენ “უროს”, ხოლო დათვისებურ ტრენდზე გამოჩენისას “ჩამოხჩობილს”. ქვედა ჩრდილი სიდიდით ორჯერ უნდა აღემატებოდეს ტანის სიდიდეს, ხოლო ზედა ჩრდილი უნდა იყოს ან ძალზედ მცირე ან საერთოდ არ გააჩნდეს. რაც უფრო დიდია სხვაობა ჩრდილებს შორის, მით უფრო დიდია ტრენდის შემობრუნების პოტენციალი.</p>

<p>3.2. შავი ურო და ჩამოხჩობილი</p> 	<p>მოქმედებს “თეთრი ურო და ჩამოხჩობილისათვის” დამახასიათებელი ყველა პარამეტრი.</p>
--	--

4. ბზრიალა (Spinning tops)	
<p>4.1. თეთრი ბზრიალა</p> 	<p>წარმოდგენილ სანთელს გააჩნია პატარა ტანი და იგი ვერ უზრუნველყოფს რომელიმე ტენდენციისაკენ მიდრეკას. ბზრიალას ტიპის სანთლები ძირითადად გვხვდება ბაზრის კონსოლიდაციის მომენტში და განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს სიტუაციური გარემომეგობიდან გამომდინარე.</p>

<p>4.2. შავი ბზრიალა</p> 	<p>მოქმედებს “თეთრი ბზრიალასათვის” დამახასიათებელი ყველა პარამეტრი.</p>
--	---

5. დოჯი (Doji)	
<p>5.1. დოჯი</p> 	<p>დოჯის შემთხვევაში სესიის გახსნისა და დახურვის ფასები ტოლია ან თითქმის ტოლია.</p> <p>ეს სანთელი რაღაცით გავს “ზზრიალას”, მაგრამ არ გააჩნია ტანი. მიდგომა რა საკვირველია ინდივიდუალურია, მაგრამ სიტუაციიდან გამომდინარე, ჩემი აზრით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიგნალია ტრენდის შემობრუნებისა</p>
<p>5.2 გრძელი დოჯი და რიკმა</p> 	<p>არსებული სანთელი სხვა დოჯისაგან განსხვავდება ორივე გრძელი ჩრდილით. გახსნისა და დახურვის ერთი და იგივე ფასი მეტყველებს ბაზრის იმ მდგომარეობაზე, როდესაც არ არის გადაწყვეტილი ფასების ამა-თუ იმ მიმართულებით წასვლის ტენდენციის არჩევა. თუ სესიის გახსნისა და დახურვის ფასების ნიშნული სანთლის შუა ნაწილშია, ასეთ სანთელს “რიკმა” ეწოდება.</p> <p>როგორც წესი, ძლიერ ტრენდზე შემობრუნების მანიშნებელია.</p>
<p>5.2. საფლავის დოჯი</p> 	<p>“საფლავის დოჯს” ექვედა ჩრდილი არ გააჩნია ან ძალზედ მცირე აქვს, ხოლო სესიის გახსნისა და დახურვის ფასები განთავსებულია მინიმუმზე.</p> <p>“საფლავის დოჯი”, როგორც წესი, წარმოადგენს დათვისებურ სანთელს და ყურადსაღებია ხარისხური ტრენდის მნიშვნელოვან პერიოდებში. რაც უფრო მაღალია ზედა ჩრდილი, მით უფრო მნიშვნელოვანია სანთლის სიგნალი.</p>

თავი 4. შემობრუნების მოდელები

როგორც სახელწოდებიდან ჩანს, სანთლების ან სანთლების ჯგუფით მსჯელობენ, ფასის მოძრაობის ტენდენციის ანუ ტრენდის შეწყვეტის ან შემობრუნების შესაძლებლობაზე.

მოვლენებს გავასწრებთ და ვიტყვით რომ, შემდეგი ჯგუფი მოდელებისა იქნება გაგრძელების მოდელები, იგულისხმება ისეთი მოდელები, რომლებიც ამბობენ, რომ ტრენდი შენედა ან პატარაზე უკან დაიხია, მაგრამ ისევ გაგრძელდება.

თვალსაჩინოებისათვის ჩამოგივლით შემობრუნების მოდელების ზოგიერთ დასახელებებს.

- ურო
- ჩამოხრჩობილი;
- შთანთქმა;
- ბნელი ღრუბლების ფარდა
- გამონათება ღრუბლებში
- ცისკრის (დილის) ვარსკვლავი
- მწუხრის (საღამოს) ვარსკვლავი
- დილის დოჟი-ვარსკვლავი და საღამოს დოჟი-ვარსკვლავი;
- პინცეტი
- სამი ვარსკვლავი
- გადამკვეთი ხაზები
- ხარამი;
- ხარამი ჯვარი;
- სამი შავი/თეთრი მეზრძოლი
- სამმაგი დარტყმა
- ტასუკის აღმა/დაღმა გარღვევა
- მომიჯნავე სანთლები
- გადამბრუნებული ურო და ჩამოვარდნილი ვარსკვლავი;
- გამჭოლი ვარსკვლავი;
- დოჟი-ვარსკვლავი;
- მიტოვებული ჩვილი;
- ორი აფრენილი ყვავი;
- სარტყელში ჩაჭიდება;
- განსაკუთრებული “სამი მდინარის” ღრმული;
- მოგერიებული შეტევა;
- სამი ერთნაირი ყვავი;
- ორი ყვავი;
- სამი დღე შიგნიდან ზემოთ და სამი დღე შიგნიდან ქვემოთ;
- სამი სამხრეთის ვარსკვლავი;
- მაღალი ნახტომი;
- საფეხურებიანი ფსკერი;
- დამთხვევა ქვედა დონეზე;

რაოდენობამ არ შეგაშინოთ, როგორც განხილვის დროს აღმოაჩენთ, ყველაფერი გაცილებით მარტივია შესასწავლადაც და დასამახსოვრებლადაც. ისე კი მოდელების სახელებით თუ ვიმსჯელებთ სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ იაპონელებს კარგი ფანტაზია აქვთ.

განვიხილოთ და შინაარსობრივად გავანალიზოთ შემობრუნების მოდელების რამოდენიმე ვარიანტი:

შემობრუნების მოდელი ურო (*Hammer, Bullish Reversal*)




ურო წარმოიშობა დაღმავალი ტრენდის ბოლოს, სახელი კი გულისხმობს ე.წ. ფსკერის ანუ ძირის გამოჭედვას უროთი, ანუ დაღმავალი ტრენდი დამთავრდა და ახლოს ვართ ძირთან. დადასტურებად შეიძლება გამოდგეს ამ სანთლის მომდევნო სანთელის გახსნა უფრო მაღალ ფასში.



შემობრუნების მოდელი ჩამოხრჩობილი (*Hanging man, Bearish Reversal*)

პირიქით წარმოიშობა აღმავალი ტრენდის მწვერვალზე, აღმავალი ტრენდი დამთავრდა და ახლოს ვართ წვერთან. დადასტურებად შეიძლება გამოდგეს ამ სანთლის მომდევნო სანთელის გახსნა უფრო დაბალ ფასში.



ამ ფიგურის ამოცნობის წესი შემდეგია:

- სხეული მდებარეობს სანთლის სულ ზედა ნაწილში;
- სხეულის ფერს მნიშვნელობა არ აქვს;
- ქვედა ჩრდილი მინიმუმ ორჯერ მეტია სხეულზე;
- ზედა ჩრდილი არ არსებობს ან არის ძალიან მოკლე;



როგორც სხვა ერთი სანთლისგან შემდგარ ფიგურებში, აქაც კარგი არის დადასტურების მიღება მომდევნო სანთლის გახსნის ფასით, და კიდევ უკეთესი დახურვის ფასით.

შემობრუნების მოდელი შთანთქმა (Engulfing Pattern)

შთანთქმა წარმოიშობა, როცა არსებობს გამოკვეთილი ტრენდი, პირველი დღის სანთელი ემთხვევა ტრენდის მიმართულებას და მეორე დღის სანთელი მთლიანად შთანთქმავს წინა დღის სანთელს და მათი მიმართულებები ურთიერთსაწინააღმდეგოა. ორი სანთლის სხეულების ქვედა ან ზედა წერტილები შეიძლება, რომ ერთმანეთს ემთხვეოდეს, მაგრამ არცერთ შემთხვევაში არ უნდა ემთხვეოდეს ქვედაც და ზედაც.

ხარისხბური შთანთქმა




დათვისებური შთანთქმა



ფსიქოლოგია ასეთია: ტრენდი გაგრძელდა შედარებით მოკლე ტანხანი სანთლით და ვაჭრობის პატარა მოცულობით. მომდევნო დღეს ფასი გაიხსნა, იგივე მიმართულებით მიაღწია ახალ ექსტრემუმს, მაგრამ მობრუნდა, მთლიანად გადაფარა წინა დღის სანთელი და დაიხურა საწინააღმდეგო მხარეს ვაჭრობის მაღალი მოცულობებით. ამრიგად, მომდევნო დღის გახსნა დახურვის დიაპაზონმა შთანთქმა წინა დღის სანთელი. ემოციური თვალსაზრისით ტრენდის მიმდინარეობა დარღვეულია, თუ მომდევნო მესამე დღის სანთელის გახსნა დაადასტურებს მეორე სანთლის მიმართულებას, ანუ გაიხსნება უფრო მაღლა დაღმავალი ტრენდის დროს, ან დაბლა აღმავალი ტრენდის დროს, ითვლება რომ დადგა შემობრუნების მომენტი.

ამ მოდელის ძალა იზრდება, თუ მეორე სანთელი შთანთქმავს პირველის ტანსაც და ჩრდილებსაც. აუცილებელი პირობაა, რომ პირველი სანთლის ფერი ემთხვევოდეს ტრენდის მიმართულებას, მეორე კი იყოს მისი საწინააღმდეგო მიმართულების.

შთანთქმის ორი სანთელის ჯამური სანთელი იქნება ასეთი:




ანუ ორი სანთელის ჯამური სანთელი იქნება ურო და ჩამოვარდნილი ვარსკვალავი, რომლებიც თავისი ხასიათით მთლიანად ადასტურებს შთანთქმის მოდელიში ჩადებულ იდეას.




გრაფიკებზე მოყვანილია შთანთქმის შემობრუნების ფიგურის მაგალითი.

შემობრუნების მოდელი "ზნელი ღრუბლების ბადე" (*Dark-Cloud Cover, Bearish Reversal*)




ეს მოდელი აღმავალი ტრენდის დროს შეინიშნება. შემობრუნების სანთელი მის წინამორბედთან მიმართებაში იხსნება გეპით, მაგრამ იხურება ძალზედ დაბლა, ამავდროულად შემობრუნებამდე იგი ფარავს წინამორბედი ხარისებური სანთლის ნახევარს.




შემობრუნების მოდელი "გამონათება ღრუბლებში" (*Piercing Pattern, Bullish Reversal*)



ეს მოდელი დაღმავალი ტრენდის დროს შეინიშნება. შემობრუნების სანთელი იხსნება გვიტო, მაგრამ როგორც წესი იხურება წინამორბედი დათვისებული სანთლის ნახევარის გადახურვით.




შემობრუნების მოდელი "ცისკრის ვარსკვლავი" (*Morning Star, Bullish Reversal*)




ცისკრის მოდელი დაღმავალი ტრენდის დროს შეინიშნება. შემობრუნების სანთელი ყალიბდება გეპით, მისი შემდგომი სანთელიც გეპით ყალიბდება. შემობრუნების სანთელი გამოსახულია დოჟის ან ხარისებური ფიგურით.



შემობრუნების მოდელი "მწუხრის ვარსკვლავი" (*Morning Star, Bullish Reversal*)



მწუხრის მოდელი აღმავალი ტრენდიდან დაღმავალი ტრენდზე გადასვლის დროს შეინიშნება. შემობრუნების სანთელი წინამორბედთან მიმართებაში ყალიბდება გეპით და მისი შემდგომი სანთელიც გეპით ყალიბდება. შემობრუნების სანთელი გამოსახულია დათვისებული ან დოჟის ფიგურით.




შემობრუნების მოდელი "პინცეტი" (Pincers)

დათვისებური შემობრუნება



ხარისებური შემობრუნება




პინცეტის მოდელი შეინიშნება ორი ან მეტი ერთი და იგივე სიდიდის ჩრდილის მქონე სანთლის ჩამოყალიბების დროს: დაბლა მყოფი ჩრდილები დათვისებური ტრენდიდან ხარისებურ ტრენდზე გადასვლის დროს და მაღლა მიმართული ჩრდილები ხარისებური ტრენდიდან დათვისებურ ტრენდზე გადასვლის დროს. სანთლების ფერს, ჩრდილებსა და მათ შორის მანძილს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. შესაძლებელია მათ შორის იყოს ერთი ან ორი სანთელი.




შემობრუნების მოდელი "სამი ვარსკვლავი" (Tri Stars, Bullish and Bearish Reversal)


ღათვისებული შემობრუნება



ხარისებული შემობრუნება




სამი ვარსკვლავის ფიგურის ჩამოყალიბება ტრენდის შემობრუნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მინიშნებაა. ამავდროულად აუცილებლობას არ წარმოადგენს სამივე დოჟის ფიგურის ერთ დონეზე განთავსება, დასშვებია მათი გეპით განთავსებაც.



შემობრუნების მოდელი "გადამკვეთი ხაზები" (*Meeting Lines, Bullish and Bearish Reversal*)

დათვისებური შემობრუნება



ხარისებური შემობრუნება



ასეთ შემთხვევაში სანთელი ყალიბდება გეპით, მაგრამ სწრაფად აღწევს წინამდებარე სანთლის დონეს. შემდეგი სანთელი იგივე ფერისაა, როგორც წინამდებარე და ტრენდი იცვლის თავის მიმართულებას.




შემობრუნების მოდელი "ხარამი" (Haramii, Bullish and Bearish Reversal)

ხარამი წარმოიშობა ორი სანთლისგან, შთანთქმის საწინააღმდეგო სურათით. ხარამი იაკონურად ნიშნავს ფეხმძიმეს ან ჩვილს, რომელიც იმყოფება მუცელში.

დათვისებული შთანთქმა



ხარისებული შთანთქმა




ხარამის აღმოსაჩენად მსჯელობენ მხოლოდ სანთლის სხეულით ჩრდილების გარეშე. მომდევნო დღის სანთელი მთლიანად თავსდება წინა დღის სანთლის გახსნის და დახურვის დიაპაზონში და ფერი აქვს საწინააღმდეგო, პირველი სანთელი კი თავისი ფერით არის ტრენდის მიმართულების, თუმცა ზოგიერთი თეორიით მის ფერს მნიშვნელობა არ აქვს.


როგორც შთანთქმის შემთხვევაში, აქაც შესაძლებელია, რომ ორი სანთლის სხეულების ქვედა ან ზედა წერტილები ერთმანეთს ემთხვეოდეს, მაგრამ არცერთ შემთხვევაში არ უნდა ემთხვეოდეს ქვედაც და ზედაც.

ფიგურის ფსიქოლოგია ასეთია: ტრენდი გრძელდება დამაჯერებელი გრძელი სანთლით, მაგრამ მომდევნო დღეს სანთელი იხსნება საწინააღმდეგო მიმართულებით, თვითდაჯერებულობა რომ ტრენდი მყარია, ქრება და ბევრი პოზიცია იხურება. ეს კი თავის მხრივ იწვევს ფასის კიდევ უფრო სწრაფ მოძრაობას ტრენდის საწინააღმდეგოდ. ტრენდის ერთსულოვნება დარღვეულია. ახლოს არის შემობრუნების წერტილი.

ორი სანთლის ჯამური სანთელი იქნება ასეთი:



ანუ ორი სანთლის ჯამური სანთელი იქნება ურო და ჩამოვარდნილი ვარსკვალავი, რომელიც თავისი ხასიათით მთლიანად ადასტურებს ხარამის მოდელში ჩადებულ იდეას.




8

გრაფიკებზე მოყვანილია ხარამის მოდელის მაგალითი.

ხარამი ჯვარი


თუ გავიხსენებთ, რომ დოჟის წარმოშობა ნიშნავს ბაზრის გაურკვეველობას და მერყეობას, თუ საით წავიდეს, მაშინ ხარამი რომელშიც მეორე სანთელი არის დოჟი სწორად ჯდება შემდეგ წარმოდგენაში:

ტრენდი გრძელდება დამაჯერებელი გრძელი სანთლით, მაგრამ მომდევნო დღეს სანთელი იხსნება საწინააღმდეგო მიმართულებით. თვითდაჯერებულობა, რომ ტრენდი მყარია, ქრება და ბევრი პოზიცია იხურება. ეს კი თავის მხრივ იწვევს ფასის კიდევ უფრო სწრაფ მოძრაობას ტრენდის საწინააღმდეგოდ. შემდეგ ისევ მოძრაობს იგივე მიმართულება და ხურავს გახსნის ფასში (დოჟი). ტრენდის ერთსულოვნება დარღვეულია.



ნახ 3.9.

ახლოს არის შემობრუნების წერტილი. ყველაფერს ამყარებს ის ფაქტი რომ მოდელიში მონაწილეობს დოჟი, რომელიც ცალკე აღებული თავად არის იგივე ხასიათის დამადასტურებელი.




გრაფიკებზე მოყვანილია ხარამი ჯვარის ფიგურის მაგალითები.


თავი 5. ტრენდის გაგრძელების ფიგურები.

ტრენდის გაგრძელების მოდელი "სამი შავი(თეთრი) მებრძოლი" (Three Black Crows):

სამი თეთრი მებრძოლი



სამი შავი მებრძოლი



სამი ერთმანეთის მიყოლებით გამოსახული ერთი ფერის სანთლების წარმოშობა ტრენდის ტენდენციის გაგრძელების მანიშნებელ წინაპირობას წარმოადგენს. აღმავალი ტრენდის დროს ერთმანეთის მიყოლებით წარმოშობილ სამ თეთრ სანთელს "სამ თეთრ მეომარს" (Three White Warriors) უწოდებენ, ხოლო დაღმავალი ტრენდის დროს ერთმანეთის მიყოლებით წარმოშობილ სამ შავ სანთელს "სამ შავ მეომარს" (Three Black Crows) უწოდებენ.



ტრენდის გაგრძელების მოდელი "სამმაგი დარტყმა" (Three Line Strike):

ტრენდის მიმართულებით ჩამოყალიბებული რამოდენიმე სანთელი, რომელთა ფერებიც არ ემთხვევა ტრენდის ფერს, აკვირდებიან მომდევნო სანთელის ჩამოყალიბებას. თუ ის თავისი ფერით გააგრძელებს ტრენდის მიმართულებს, ეს ტრენდის მიმართულების გაგრძელების ძლიერ ფაქტორედ აღიქმება, თუ არა, სახეზე გვაქვს ტრენდის შემობრუნების ძლიერი სიგნალი.


სამმაგი დარტყმა




ტრენდის გაგრძელების მოდელი "ტასუკის აღმა/დაღმა გარღვევა" (Upside Tasuki):

თუ ტრენდის მიმართულებით განხორციელებული გეპის შემდეგ გამოსახული სანთელი გარღვევას (გეპს), მაგრამ ვერ ავსებს მას, ეს ტრენდის მიმართულების გაგრძელების ფაქტორედ აღიქმება.

ტასუკის აღმა გარღვევა





ტასუკის დაღმა გარღვევა



ტრენდის გაგრძელების მოდელი "მომიჯნავე სანთლები" (Side By Side):

ტრენდის საწინააღმდეგო მიმართულებით ორი ერთი და იგივე ტანისა და ფერის მომიჯნავე სანთლების წარმოშობა ტრენდის მიმართულების გაგრძელების ფაქტორედ აღიქმება.



როგორც ხვდებით სხვადასხვა ფიგურების განხილვის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. იმისათვის, რომ ამა-თუ იმ მოდელიმ ეფექტურად იმუშაოს, აუცილებელია კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის ბაზრის დინამიკის საფუძვლიანი შესწავლა. ჩვენს მიერ გაანალიზებული ფიგურები ფართო გამოყენებას ჰპოვებს თვითმასწავლებელი წიგნის შემდეგ თავებში, ხოლო მიღებული ცოდნა ფასდაუდებელ სამსახურს გაგვიწევს ბაზარზე სწორად შესვლის გადაწყვეტილების მიღების დროს.

თავი 6; ფუნდამენტალური ანალიზი

ბაზრის თუნდაც ზედაპირული ანალიზი გვარწმუნებს იმაში, რომ სამყაროში განვითარებული რიგი მოვლენები ერთმნიშვნელოვნად მოქმედებენ ვალუტის კურსებზე.

მაგალითად იაპონიაში (კობე) მომხდარი ძლიერი მიწოდების შემდეგ სულ რამოდენიმე წუთში 100 იაპონური იენის ფასი 13 ამერიკული ცენტით ეცემა.

ისლანდიაში ამოფრქვეული ვულკანური მტვერი ევროს ვარდნას მიზეზი ხდება.

ამერიკაში, უმუშევრობის დონის გაზრდასთან დაკავშირებული ინფორმაციის (ინდექსის) გამოქვეყნებიდან დაუყოვნებლივ ეცემა აშშ დოლარის კურსი.

ამერიკელები და ინგლისელები ბომბავენ ერთს, ხოლო ამავე ქვეყნების ვალუტაზე მოთხოვნა იზრდება. ეს მოვლენა გავს სინდრომს, როცა საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე პირველ რიგში ასანთი და მარილი ქრება დახლებიდან. წესით პირიქით უნდა მომხდარიყო მაგრამ ერთს ნავთობჭაბურღილების დაბომბვამ მსოფლიო ბაზარზე შავი ოქროს ფასი გააძვირა, რამაც ინგლისისა და ამერიკის, როგორც ნავთობის ჩრდილოეთ შეღწევი მომპოვებელი ქვეყნების ვალუტა გააძვირა.

როგორც ვხედავთ სახეზეა შედეგები, შესაბამისად უნდა არსებობდეს მიზეზებიც. ხოლო თუ არსებობს მიზეზი შესაძლებელია მისი პროგნოზირება. ფინანსურ ბაზრებთან მიმართებაში პროგნოზირება ხორციელდება ორი ერთმანეთისაგან შინაარსობრივად განსხვავებული მეთოდით, რომლებიცაა:

- ფუნდამენტალური ანალიზი
- ტექნიკური ანალიზი

ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება ფუნდამენტალურ და ტექნიკურ ანალიზს შორის შემდეგში მდგომარეობს:

- ფუნდამენტალური ანალიზი სწავლობს ბაზრის ცვლილებების მიზეზებს.
- ტექნიკური ანალიზი სწავლობს ბაზრის ცვლილებების შედეგებს.

როგორც ფუნდამენტალური, აგრეთვე ტექნიკური ანალიზი წარმოადგენს ბაზრების სტატისტიკას, მაგრამ ფუნდამენტალური ანალიზი ბაზარს სწავლობს საპირისპირო მხრიდან, ვიდრე ტექნიკური ანალიზი.

რამდენადაც გლობალური არ უნდა იყოს Forex-ი იგი მაინც ჩვენი სამყაროს ნაწილია და ბუნებრივია, რომ ამ სამყაროში განვითარებული მოვლენები გარკვეულწილად აისახება სავალუტო კურსებზე.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ტრეიდერები თავიანთ გადაწყვეტილებების მიღებისას ხელმძღვანელობენ Forex-თან მიმართებაში არსებული მნიშვნელოვანი ინფორმაციების გადამუშავების (ანალიზის) შემდეგ.

ფუნდამენტალური ანალიზი თავისივე სახელწოდებიდან გამომდინარე გახლავთ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სეგმენტი და საფუძველი სავალუტო ბაზარზე წარმატებული საქმიანობისა.

უფრო მეტიც, Forex-ის ისტორიასა და ლიტერატურაში არსებობენ ისეთი წარმატებული ტრეიდერები, რომლებიც თავიანთ სტრატეგიას აგებენ მხოლოდ და მხოლოდ ფუნდამენტალურ ანალიზზე დაყრდნობით. მაგალითად გამოდგება იგივე ჯორჯ სოროსის, როგორც ლეგენდარული ტრეიდერის უნარი, შექმნილი სიტუაციის შეფასებისა და მოვლენების წინჭვრეტასთან

დაკავშირებით (მილიარდი, რომელიც მან გამოიმუშავა ინგლისურ ფუნტთან მიმართებაში ევროპის ევროზე გადასვლის დროს).

უფრო მოკლედ ფუნდამენტური ანალიზი წარმოადგენს მასალას, რომელიც სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის სახით ხელმისაწვდომია ტრეიდერისათვის და გადაწყვეტილების მიღებისას ერთობ მნიშვნელოვანია.

ფუნდამენტური ანალიზი თავის თავში მოიცავს 4 ტიპის ძირითად ფაქტორს, რომლებიც თავის მხრივ მოქმედებენ სავალუტო კურსზე:

- ❖ ფინანსური ფაქტორები;
- ❖ ეკონომიკური ფაქტორები;
- ❖ პოლიტიკური ფაქტორები;
- ❖ ბუნებრივი კატაკლიზმები და ეკოლოგიური კატასტროფები;

სათითაოდ განვიხილოთ ფუნდამენტალური ანალიზის თვითოეული ფაქტორი

❖ ფინანსური ფაქტორი (საპროცენტო ნიხრები და ინფლაცია)

ეს გახლავთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კატეგორია, რომლის ფაქტორული მდგენელები მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ვალუტით ვაჭრობაზე.

ცენტრალური ბანკი ნებისმიერ ქვეყანაში წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო ინსტიტუტს. ევროკავშირში ამ საკითხებს “ევროპის ცენტრალური ბანკი” (European Central Bank), ამერიკაში “ფედერალური სარეზერვო სისტემა”, იაპონიაში “იაპონიის ცენტრალური ბანკი” (Bank of Japan), დიდ ბრიტანეთში “ინგლისის ცენტრალური ბანკი” (Bank of England), შვეიცარიაში “შვეიცარიის ნაციონალური ბანკი” (Swiss National Bank) და ა.შ.

ჩვენს ამოცანას ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს და ვერც განვახორციელებთ ცენტრალური ბანკის საქმიანობის ყველა სფეროს განხილვას, ამიტომ გავამახვილოთ ყურადღება იმ მიმართულებებზე, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ ნაციონალური ვალუტის კურსის ფორმირებასთან.

კლასიკურ ვარიანტში ცენტრალური ბანკი სხვა მრავალ ფუნქციებთან ერთად მეთვალყურეობას უწევს ქვეყანაში ინფლაციის დონესა და ნაციონალური ვალუტის კურსს. მათ დარეგულირებას ბანკი ახორციელებს სამი ძირითადი საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრით:

1. ცენტრალური ბანკის მიერ კომერციულ ბანკების დაკრედიტების საპროცენტო განაკვეთი – Discount rate.

ასეთი განაკვეთები სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ოდენობით განისაზღვრება და გარკვეულ მიზეზთა გამო პერიოდულად იცვლება.

მაღალ საპროცენტო განაკვეთს მივყავართ კრედიტის გაძვირებისკენ და ამავდროულად ინფლაციის შეჩერების საშუალებაცაა.

დაბალ საპროცენტო განაკვეთს მივყავართ ფულის გაუფასურებისკენ, კაპიტალის ქვეყნიდან გადინებისკენ და ნაციონალური ვალუტის კურსის ვარდნისკენ. საზოგადოდ იდეალური ვარიანტის ფორმულა შემდეგია: საპროცენტო ნიხრის % > ინფლაციის %.

2. ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი საპროცენტო განაკვეთი რომელიც გამოიყენება კომერციულ ბანკებსა და სხვა საკრედიტო ინსტიტუტებთან განხორციელებული ოპერაციების დროს სახელმწიფო საბაზინო ვალდებულებების შესყიდვისას – Repo rate.

კარგად რომ გავიგოთ, ეს რეგულატორი, შეგახსენებთ სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების შესყიდვის შინაარსს. სახაზინო ვალდებულება, ეს არის სახელმწიფოს მიერ ემიტირებული მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდი, რომელსაც ეროვნული ბანკი (ცენტრალური ბანკი) იყენებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეგულირების ერთ-ერთ ინსტრუმენტად.

ფასიანი ქაღალდების გამოშვება საპროცენტო განაკვეთის ოდენობის გათვალისწინებით, მიმზიდველი და სარფიანია ბანკებისათვის მაშინ, როცა ბანკებს ჭარბი ლიკვიდობა გააჩნიათ.

3. სალომბარდე განაკვეთი – Lombard rate.

ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ცენტრალური ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე უძრავი ქონებისა და ძვირფასი ლითონების თავდებობით გაცემული კრედიტების დროს.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ საპროცენტო განაკვეთების შემცირების დროს იზრდება საქმიანი აქტივობა და მაღლა იწევს ინფლაციის დონე. შესაბამისად საპროცენტო განაკვეთების დაბლა დაწევა იწვევს ნაციონალური ვალუტის გაუფასურებას.

საპროცენტო განაკვეთების გაზრდის დროს მცირდება საქმიანი აქტივობა და მცირდება ინფლაციის დონე, შესაბამისად იწვევს ნაციონალური ვალუტის გამყარებას.

თანამედროვე პირობებში ნაციონალურ ვალუტაზე ზემოქმედების ძლიერ საშუალებად რჩება ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის პრაქტიკა, რომელსაც შემოკლებით სავალუტო ინტერვენციის სახითაა ცნობილი.

ზემოხსენებული განაკვეთების საპროცენტო მაჩვენებლების განსაზღვრა როგორც მოგახსენეთ ცენტრალური ბანკების პრეროგატივაა და სხვადასხვა ქვეყნებში ხორციელდება სხვადასხვა ინტენსივობით:

USA – FED (Federal Reserve System) – თვენახევარში ერთხელ

Great Britain – BOE (Bank of England) - თვეში ერთხელ.

Switzerland – SNB (Swiss National Bank) – ყოველ ხუთშაბათს

საზოგადოდ სავალუტო კურსებზე ზემოქმედებს თითქმის ყველაფერი ამინდის პროგნოზიც კი (მაგალითად, იტალიაში კარგი ამინდის პროგნოზი ტურისტების დიდ ნაკადს ნიშნავს და ა.შ.), მაგრამ ჩვენ უნდა შევაჩეროთ ყურადღება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის იმ ნიუანსებზე, რომლებიც უფრო მკვეთრად მოქმედებენ სავალუტო კურსზე.

სავალუტო ბაზარზე კარგად მუშაობს პრინციპი – “იყიდე ინფორმაციით გაყიდე ფაქტობრივად”.

ყველაზე გავრცელებული მოლოდინი საფონდო და სავალუტო ბაზრებზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებს შეეხება.

თუ საპროცენტო განაკვეთი მაღლა იწევს ეს საფონდო ბაზარზე ფასთა ვარდნის მანიშნებელია, ხოლო სავალუტო ბაზარზე ნაციონალურ ვალუტის კურსის ზრდას იწვევს.

ამ ინფორმაციებზე მომუშავე ტრეიდერებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია ინფორმაციული მოლოდინის დადასტურების ან უარყოფის ზუსტი მომენტი, რადგან ასეთ შემთხვევებში როგორც წესი წარმოიშობა სავალუტო კურსების მკვეთრი ცვლილებები. აქ მთავარია ყურადღება და კონცენტრაცია.

❖ ეკონომიკური ფაქტორები

ეკონომიკური ინფორმაცია თავის თავში მოიცავს ერთობ მრავალმხრივ და დიდი მოცულობის იფორმაციებს, რომელთა გაუთვალისწინებლობა წარმოუდგენელია სავალუტო ბაზარზე მუშაობის დროს.

ეკონომიკური ინფორმაცია მოიცავს 3 ტიპის ძირითად მაჩვენებლებს:

ა) საერთაშორისო ეკონომიკური მაჩვენებლები.

ბ) საერთაშორისო საფონდო ინდექსები.

გ) ქვეყნის შიდა ეკონომიკური მაჩვენებლები (ინდექსები)

მოკლედ განვიხილოთ თვითოეული მათგანი:

ა) საერთაშორისო ეკონომიკური მაჩვენებლები

რომლებიც ძირითად ზეგავლენას ახდენენ აშშ დოლარზე.

1. ნავთობის ფასი - ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და საყურადღებო ფაქტორი, რომელის ფასის ცვლილება მყისიერად აისახება სავალუტო ბაზარზე.

2. ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ფასები - საყურადღებო ფაქტორი, რომელთა ფასების ცვლილება აგრეთვე აისახება სავალუტო ბაზარზე.

3. სხვა ენერგომატარებლებზე ფასები - ფაქტორი, რომელთა ფასების ცვლილება, არა ისეთს, როგორც ნავთობის ფასის ცვლილება, მაგრამ გარკვეულ ასახვას მაინც ჰპოვებს სავალუტო ბაზარზე.

4. ხორბლის ფასები (საზოგადოდ ფასები ძირითად საკვებ პროდუქტებზე) - ფაქტორი, რომელიც შედარებით სუსტად, მაგრამ მაინც მოქმედებს სავალუტო ბაზრის ფორმირებაზე.

ბ) საერთაშორისო საფონდო ინდექსები.

ბოლო წლებში აშკარად გამოიხატა საფონდო ბირჟების მკვეთრი ზეგავლენა სავალუტო კურსებზე. ამიტომ აუცილებელია წარმოგიდგინოთ ის მაჩვენებლები ანუ ინდექსები, რომელთა ცნობა და გამოყენება სავალდებულოა ყველა ტრეიდერისათვის. საზოგადოდ მათი რაოდენობა საკმაოდ ბევრია მაგრამ წარმოგიდგენთ რამოდენიმე მათგანს.

ყველასთვის ცნობილი დოუ-ჯონსის საფონდო ინდექსი - (DJI) იგი წარმოადგენს ამერიკული უმსხვილესი კორპორაციების ინდექსს და შედგენილია 3 ძირითადი მაჩვენებლისგან:

- დოუ-ჯონსის სამრეწველო ინდექსი - (DJIA) /*The Dow Jones Industrial Average*/
დოუ-ჯონსის სამრეწველო ინდექსი საფონდო ბაზრის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და გავრცელებული მაჩვენებელია. იგი წარმოადგენს 30 უმსხვილესი სამრეწველო კომპანიის აქციების გასაშუალოებულ მაჩვენებელს.
- დოუ-ჯონსის სატრანსპორტო ინდექსი - (DJTA) /*The Dow Jones Transportation Average*/
იგი წარმოადგენს 20 უმსხვილესი სატრანსპორტო კომპანიების აქციებზე ფასთა მოძრაობის მაჩვენებლებს.
- დოუ-ჯონსის კომუნალური ინდექსი - (DJUA) /*The Dow Jones Utiliti Average*/
იგი წარმოადგენს 15 გაზითა და ელექტროენერჯის მომწოდებელი კომპანიების აქციებზე ფასთა მოძრაობის გასაშუალოებულ მაჩვენებელს.

დოუ-ჯონსის შედგენილი ინდექსი - (DJCA) /*The Dow Jones Composite Average*/
იგი წარმოადგენს ზემოთმოყვანილი სამი ინდექსის მდგენელს და იცვლება ყოველდღიურად (მყისიერად).

ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის ინდექსი _ (NYSE).

• ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის ინდექსი წარმოადგენს ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებული უმსხვილესი კომპანიების აქციების კურსების მაჩვენებლების საბაზრო ღირებულების შეწონილ ინდექსს.

არასაბირჟო ბრუნვის ინდექსი _ (NASDAQ).

• ნაზდაკის ინდექსი მთელ რიგ სხვა ინდექსებთან ერთად გამოითვლება საფონდო დილერების ნაციონალური ასოციაციის მიერ და წარმოადგენს – ბირჟებზე არ დარეგისტრირებული 3500 უმსხვილესი კომპანიის აქციების მაჩვენებლებლების საბაზრო ღირებულების შეწონილ ინდექსს.

გერმანიის საფონდო ინდექსი

• რომელთანაც მნიშვნელოვნ ბმაშია ევროს საერთო პარამეტრები.

დიდი ბრიტანეთის საფონდო ინდექსი _ (FTSE 100).

• რომელზეც ირიბად მაგრამ მაინც მოქმედებს ინგლისური ფუნტის საერთო პარამეტრებზე.

იაპონიის ძირითადი საფონდო ინდექსი _ (Nikkei 225).

• ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე იენის გაუფასურება ექსპორტის ზრდას იწვევს, რაც თავის მხრივ იაპონური კომპანიების აქციებზე ფასის ზრას იწვევს.

ყურადსაღებია, რომ ამ ინდექსების ცვლილებები უშუალოდ მოქმედებენ ვალუტის კურსზე, ანუ საფონდო ინდექსების ვარდნა იწვევს ნაციონალური ვალუტის კურსის ვარდნას.

გ) ქვეყნის შიდა ეკონომიკური მაჩვენებლები (ინდექსები):

ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად მოქმედებენ სავალუტო კურსებზე ძალზედ ბევრია. უდავოა, რომ შიდა ეროვნული პროდუქტის ინდექსი ყველაზე მნიშვნელოვანია მათ შორის

$$GDP = C + I + G + T,$$

სადაც *GDP* – *Gross Domestic Product* (შიდა ეროვნული პროდუქტი);

C – *Consumption* (მოხმარება);

I – *Investments* (ინვესტიციები);

G – *Government Expense* (სამთავრო ხარჯები);

T – *Trade Balance* (სავაჭრო ბალანსი).

სავაჭრო ბალანსი ტოლია ქვეყანაში ექსპორტისა და იმპორტის სხვაობისა

$$T = \text{Export} - \text{Import}$$

შიდა ეროვნული პროდუქტის ინდექსის ზრდა ნიშნავს წარმოების, მოხმარების, კაპიტალბრუნვისა და ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლის ზრდას, რაც თავის მხრივ ზრდის მოთხოვნას ნაციონალურ ვალუტაზე. ყოველივე ეს ამყარებს ამ ქვეყნის ვალუტის პოზიციას სხვა ქვეყნის ვალუტებთან მიმართებაში და პირიქით შიდა ეროვნული პროდუქტის ინდექსის კლება ნეგატიურად მოქმედებს ქვეყნის ვალუტაზე.

ქვემოთ მოვიყვანო ქვეყნის შიდა ეკონომიკური მაჩვენებლების ინდექსებს, რომელთაგან 3 მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაა დამახასიათებელი.

#	ინდექსის დასახელება	წყარო	პერიოდი	კატეგორია
1	სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების გაყიდვების ინდექსი	კომერციის დეპარტამენტი	თვის 1-3 დღის განმავლობაში	სუსტი
2	მშენებლობის ხარჯების ინდექსი	კომერციის დეპარტამენტის მიმოწერის ბიურო	15 რიცხვამდე	სუსტი
3	არარეალიზებული სავაჭრო მარაგის ინდექსი	კომერციის დეპარტამენტის მიმოწერის ბიურო	თვის 1 სამუშაო დღეს	სუსტი
4	მომხმარებლის ნდობის ინდექსი	მართვის საბჭო	თვის ბოლო სამშაბათი	სუსტი
5	სამომხმარებლო კრედიტის ინდექსი	ფედერალური ბანკი	თვის მე-5 სამუშაო დღე	სუსტი
6	ხანგძლივი მოხმარების საქონელზე შეკვეთების ინდექსი	აღწერის დეპარტამენტის მიმოწერის ბიურო	თვის მე-4 კვირა	სუსტი
7	დასაქმების დონის შესახებ ანგარიში	შრომის დეპარტამენტი	თვის მესამე კვირა	ძლიერი
8	ახალი სახლების მშენებლობა და მათზე ნებართვები	კომერციის დეპარტამენტის აღწერის ბიურო	თვის მესამე კვირა	სუსტი
9	გაყიდული სახლების რაოდენობის ინდექსი	რელიტერთა ეროვნული ასოციაცია	თვის მეორე კვირა	სუსტი
10	ახალი სახლების გაყიდვების ინდექსი	კომერციის დეპარტამენტის აღწერის ბიურო	თვის მეოთხე კვირა	სუსტი
11	მუშა ძალის ღირებულების ინდექსი	შრომის დეპარტამენტი	კვარტლის პირველი თვის მეოთხე კვირა	სუსტი
12	სამრეწველო წარმოების ინდექსი	კომერციის დეპარტამენტის მიმოწერის ბიურო	თვის 15 რიცხვი	სუსტი

13	საერთაშორისო ვაჭრობა (ექსპორტ-იმპორტის ინდექსი)	კომერციის დეპარ. ეკონომიკური ანალიზის ბიურო	თვის 20 რიცხვი	ძლიერი
14	უმუშევართა შემწეობის პირველადი მაჩვენებლის ინდექსი	შრომის დეპარტამენტი	ყოველ სამშაბათს	სუსტი
15	წამყვანი ეკონომიკური მაჩვენებლების ინდექსი	მართვის საბჭო	თვის პირველი რიცხვი	სუსტი
16	პერსონალური შემოსავლებისა და მოხმარების ინდექსი	კომერციის დეპარ. ეკონომიკური ანალიზის ბიურო	თვის პირველი რიცხვი	სუსტი
17	რეგიონალური წარმოების ინდექსი	ფედერალური სარეზერვო სისტემა	თვის მესამე კვირა	სუსტი
18	საცალო ვაჭრობის ინდექსი	კომერციის დეპარტამენტის აღწერის ბიურო	თვის მეორე კვირა	სუსტი
19	საბითუმო ვაჭრობის ინდექსი	კომერციის დეპარტამენტის აღწერის ბიურო	თვის მეორე კვირა	სუსტი
20	სახაზინო ბიუჯეტის ინდექსი (მნიშვნელოვანია ანგარიშების წარდგენისას აპრილის თვეში)	სახაზინო დეპარტამენტი	თვის მეორე კვირა	სუსტი
21	სამეწარმეო საქმიანობის ინდექსი	კომერციის დეპარ. ეკონომიკური ანალიზის ბიურო	თვის 1-5 დღე	ძლიერი
22	მთლიანი შიდა პროდუქტის ინდექსი	კომერციის დეპარ. ეკონომიკური ანალიზის ბიურო	თვის მესამე ან მეოთხე კვირა	ძლიერი
23	სამომხმარებლო ფასების ინდექსი	შრომის დეპარტამენტი	თვის მეორე კვირა	ძლიერი
24	საწარმოო ფასების ინდექსი	შრომის დეპარტამენტი	თვის მეორე კვირა	ძლიერი
25	მიჩიგანის უნივერსიტეტის მომხმარებ- ელთა განწყობის ინდექსი (მნიშვნე- ლოვანია რყევის მიზეზი 1-3%)	მიჩიგანის უნივერსიტეტი	თვის მეორე კვირის პარასკევი	სუსტი


26	ჩიკაგოში მენეჯერთა აქტიურობის ინდექსი	მენეჯერთა ეროვნული ასოციაცია	თვის ბოლო სამშაბათი	სუსტი
27	მენეჯერთა ეროვნული ასოციაციის ინდექსი (მთელი ქვეყნის გაყიდვების მენეჯერების მონაცემები)	მენეჯერთა ეროვნული ასოციაცია	თვის ბოლო სამუშაო დღე	ძლიერი
28	M ₂ ფულადი აგრეგატის ინდექსი (სწრაფად რეალიზებადი ფულადი აგრეგატი)	შრომის დეპარტამენტი	კვარტლის პირველი თვის მეოთხე კვირა	ძლიერი
M ₁ = ბრუნვაში მყოფი ნაღდი ფული (ბანკნოტები და მონეტები) M ₂ = M ₁ + ფული საბანკო ანგარიშებზე, სამგზავრო ჩეკები. M ₃ = M ₂ + ვადიანი ანაზრები (დეპოზიტები) M ₄ = M ₂ + სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები				

❖ **პოლიტიკური ფაქტორი; ინფორმაციები და მათი გავლენა.**


პოლიტიკური სტაბილურობა მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ვალუტის კურსის გამყარებასთან მიმართებაში. როგორც წესი ტრენდის მოძრაობაში რხევა (ციმციმი) შეიმჩნევა საპრეზიდენტო ან საპარლამენტო არჩევნების დროს. ტრეიდერთა უმეტესობა ხურავს თავიანთ პოზიციებს და ცდილობს დაელოდოს მოვლენათა შემდგომი განვითარებას. საზოგადოდ არასტებილური პოლიტიკური სიტუაცია მომაკვდინებლად მოქმედებს ამავე ქვეყნის ვალუტაზე და გაუფასურებამდე მიყავს იგი.

პოლიტიკური ინფორმაციის შინაარსობრივი დატვირთვის გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ინფორმაციის განმცხადებლის რანგს, ცნუსა და საინფორმაციო საშუალებების ავტორიტეტულობას.


მეტწილად ფუნდამენტალური სიახლეები (ცნობები) ტრენდზე მცირე რხევებით აღინიშნება. ამ დროს ინფორმაციით აჭიტირებული ტრეიდერები მოგების მიზნით აქტიურდებიან, მაგრამ, იმის გამო, რომ სავალუტო ბაზარი უფრო მამუტაბურ ფაქტორებზეა დამოკიდებული, ზემოხსენებული ინფორმაცია ვარ ახერხებს ტრენდის შემობრუნებას და იგი უბრუნდება თავის პირვანდელ მიმართულებას.



სხვა მაგალითად გამოდგება ფლექტში მყოფი ტრენდი. ახალი ინფორმაცია ფასის მკვეთრ ცვლილებას, მხოლოდ დროის მცირე მონაკვეთში იწვევს, რის შემდეგაც ბაზარი კვლავ უბრუნდება საწყის დონეს და გაწონასწორებულ მდგომარეობაში (ფლექტში) გადადის.



ამ მაგალითში განხილულია ის გარემოება, რცა ტრენდი ფლექტში იმყოფება. ახალი ინფორმაციის გამოქვეყნება იწვევს ფასის ვარდნას (აწევას), რის შემდეგაც ბაზარი კვლავ იძენს წონასწორობას, აგრძელებს გვერდით (განივ) მოძრაობას ფლექტში, მაგრამ სხვა ნიშნულზე. ასეთ გარემოებას “ინერციულ ბიძგს” უწოდებენ.



❖ **ბუნებრივი კატაკლიზმები და ეკოლოგიური კატასტროფები (ფორსმაჟორული გარემოებები);**

თავის მხრივ ფორს მაჟორული შემთხვევები მრავალფეროვანია, მაგრამ ჩვენ შევჩერდეთ იმ მოვლენებზე რომლებიც მოქმედებს Forex –ის ფორმირებაზე.

- დიდი მაშტაბის სტიქიური უბედურებები:

ძლიერი მიწისძვრა, ცუნამი იაპონიაში; ქარიშხალი კატრინა ამერიკაში; ვულკანური ფერფლის დიდი ოდენობით ამოტყორცნა ისლანდიაში.

- მაშტაბური საომარი მოქმედებები:

კუვიტში ერაყის შეჭრასთან დაკავშირებული საომარი მოქმედებები; ერაყის საომარი კომპანია; არაბული გაზაფხულით გამოწვეული საომარი მოქმედებები.

- პოლიტიკური გადაწყვეტილებები და საკანონმდებლო ცვლილებები:

რეგიონალური ემბარგოს დაწესება ან მოხსნა; ექსპორტ-იმპორტის აკრძალვა ან შეზღუდვა (რუსეთ უკრაინის გაზის ომი)

- განსაკუთრებული მნიშვნელობის ტერაქტები:

ამერიკაში, მანჰეტენზე მდებარე “ტყუპებზე” განხორციელებული ტერორისტული აქტი.

- ეპიდემიები ან პანდემიები.

ეგრეთწოდებული ქათმისა და ღორის გრიპები (მინიჭებული კატეგორიების გათვალისწინებით).

ფორსმაჟორული მოვლენები იშვიათი გამონაკლისის გარდა (მაგ. “ტყუპების” განადგურება), თავისი ხასიათისა და მაშტაბების მიხედვით რეალურ ასახვას საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე ჰპოვებენ 7-14 დღის განმავლობაში.

თავი 4 ტექნიკური ანალიზი

ძირითადი დებულებები

როგორც წინა თავში ავლნიშნეთ ტექნიკური ანალიზი ფუნდამენტალური ანალიზისაგან განსხვავებით სწავლობს ბაზრის ცვლილებების შედეგებს.

ტექნიკური ანალიზი იძლევა საშუალებას, მათემატიკური და არა ეკონომიკური კვლევების დახმარებით განახორციელოს ფასების ზრდის ან კლების პროგნოზირება. ტექნიკური ანალიზის ყველა მეთოდი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იქმნებოდა და მხოლოდ 70-იან წლებში მოხდა მათი გაერთიანება ერთ თეორიად, ერთიანი ფილოსოფიითა და ძირითადი პრინციპებით.

ტექნიკური ანალიზი წარმოადგენს ფასების პროგნოზირების მეთოდს, რომელიც ეყრდნობა ბაზრის მოძრაობის გრაფიკებს, დროის განვლილ პერიოდში.

ტექნიკური ანალიზის პრაქტიკაში გამოყენება თავის მხრივ გულისხმობს გარკვეული წესების - დაშვებების არსებობას:

წესი 1. ბაზრის დინამიკა მოიცავს ყველაფერს (ფასები მოიცავენ ყველაფერს)

ყველა ფაქტორი, რომლებიც მოქმედებენ ფასზე – ეკონომიკური, პოლიტიკური თუ ფსიქოლოგიური წინასწარ არის გათვალისწინებული და ასახული ბაზრის მოძრაობის ამსახველ გრაფიკებზე.

წესი 2. ფასები მოძრაობენ მიზანმიმართულად

ტექნიკური ანალიზის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ფასების მიმართულებების განსაზღვრა, ანუ ტრენდის ტენდენციების განსაზღვრა.

როგორც უკვე ავლნიშნეთ არსებობს სამი ტენდენცია (ტრენდი):

აღმავალი ანუ ხარისებური ტენდენცია, როდესაც ყოველი მომდევნო ნიშნული მაღალია მის წინამორბედზე.

დაღმავალი ანუ დათვისებური ტენდენცია, როდესაც ყოველი მომდევნო ნიშნული დაბალია მის წინამორბედზე.

გვერდითი (განივი) ტენდენცია, როდესაც ფასი პრაქტიკულად არ იცვლება

წესი 3. ბაზარზე ისტორია მეორდება

ანალიტიკოსები თვლიან, რომ, თუ გარკვეული ტიპის ანალიზი მუშაობს გასული პერიოდთან მიმართებაში, ის ადეკვატურად იმუშავებს მომავალი პერიოდის პროგნოზირებისას, რადგან ეს მოსაზრება ემყარება მდგრად ადამიანურ ფსიქოლოგიას.

მთლიანობაში ტექნიკური ანალიზი წარმოდგენილია ორი მეთოდის სახით:

- 1. გრაფიკული მეთოდი**
- 2. მათემატიკური – ციფრული ანალიზი.**

გრაფიკული ანალიზის მდგენელს წარმოადგენს ფასთა ცვლილების დაფიქსირება გარკვეული დროის შუალედებში.

დროის შუალედური ინტერვალები შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. მონაცემთა ყოველთვიური დაჯგუფება;
2. მონაცემთა ყოველკვირეული დაჯგუფება;
3. მონაცემთა ყოველდღიური დაჯგუფება;
4. მონაცემთა შიდადღიური დაჯგუფება;
5. მონაცემთა საათობრივი დაჯგუფება;
6. მონაცემთა ნახევარ საათობრივი დაჯგუფება;
7. მონაცემთა 15 წუთობრივი დაჯგუფება;
8. მონაცემთა 5 წუთობრივი დაჯგუფება.

ჩარლზ დოუს ექვსი პოსტულატი

1. ფასები მოიცავს ყოველივეს.

დოუს თეორიის მიხედვით, ნებისმიერ ფაქტორზე, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ მოთხოვნასა და მიწოდებაზე, მიუხედავად მათი არაპროგნოზირებადი ხასიათისა ბაზარი მყისიერად რეაგირებს.

2. ბაზარზე არსებობს სამი ტიპის ტრენდი:

პირველადი (ძირითადი, 1 ან რამოდენიმე წელი გრძელდება),
მეორადი (მაკორექტირებელი, გრძელდება 1 თვემდე)
მცირე (მოკლევადიანი, გრძელდება 2-3 კვირა).

აღმავალი ტენდენციისას, ყოველი შემდგომი პიკი და ყოველი შემდგომი ვარდნა წინამორბედზე მაღალია. შესაბამისად, დაღმავალი ტენდენციისას ყოველი შემდგომი პიკი და ყოველი შემდგომი ვარდნა წინამორბედზე მცირეა.

3. მთავარ ტენდენციას გააჩნია სამი პოზიცია:

- პირველი ფაზა ანუ დაგროვების ფაზა, როდესაც ყველაზე ინფორმირებული და შორსმჭვრეტელი ტრეიდერები იწყებენ ოპერირებას (ყიდვას ან გაყიდვას).
- მეორე ფაზა ანუ მონაწილეობის ფაზა. ამ დროს ძირითადად აქტივირდებიან ის მონაწილეები, რომლებიც სარგებლობენ ტექნიკური ანალიზის საშუალებებით.
- მესამე ფაზა ანუ რალიზაციის ფაზა, როდესაც მოძრაობაში შედის ფართო აუდიტორია და საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით იწყება აჟიოტაჟი. მეტად ინფორმირებული და შორსმჭვრეტელი ტრეიდერები იწყებენ თავიანთი პოზიციების დახურვას.

4. ინდექსები უნდა ადასტურებდნენ ერთმანეთს.

დოუ თვლიდა, რომ ნებისმიერი ცვლილება უნდა იდენტიფიცირდეს რამოდენიმე ინდექსის მნიშვნელობების ცვლილებასთან.

5. ვაჭრობის მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს ტენდენციის ხასიათს.

დოუ თვლიდა, რომ ვაჭრობის მოცულობები უნდა შეესაბამებოდეს ტენდენციის მიმართულების ზრდას.

6. ტენდენცია გრძელდება მისი შემცვლელი მკვეთრი სიგნალის მიღებამდე.

ასეთი სიგნალის გამოჩენის პროგნოზირება და გაანალიზება არც თუ ისე იოლია, მაგრამ განვლილი კურსი და მუდმივად საკუთარ თავზე მუშაობა დაგეხმარებათ ამ და სხვა ტექნიკური საშუალებებით ტრენდის ტენდენციების გარდატეხის ან შემობრუნების დანახვაში.

გრაფიკული ანალიზი


გრაფიკულ ანალიზს მეორენიერად კლასიკურ ანალიზსაც უწოდებენ. იგი ტექნიკური ანალიზის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს წარმოადგენს და ნებისმიერი სტრატეგიის შედგენისას მისი გამოყენება პირველ რიგშია რეკომენდირებული.

კლასიკური ტექნიკური ანალიზის ობიექტს კოტირების გრაფიკები წარმოადგენს. გრაფიკულად გამოსახულ ფასების მოძვლებს ფიგურებს უწოდებენ. ფიგურები ასახავენ ბაზარზე ფასთა მოძრაობის მოდელებს და ორიენტირებული არიან მისი მიმართულების პროგნოზირებაზე.

ხარები და დათვები

გრაფიკების ფორმირებას ახორციელებს ბაზრის ორი ძირითადი მონაწილე მხარე – მყიდველები (ხარები) და გამყიდველები (დათვები).

ამ მხარეების ურთიერთმოქმედების შედეგი განსაზღვრავს ფინანსური ინსტრუმენტის გრაფიკის ფორმის ზრდას, წვეროებისკენ (სიმაღლე) და ვარდნას ძირისკენ (ფსკერი) (ნახ.1).




(ნახ.1)

ზრდა შეინიშნება მაშინ, როცა ხარები შესამჩნევად ძლიერდებიან და მათ მიერ გახსნილი სავაჭრო ოპერაციების მოცულობა გადალახავს დათვების წინააღმდეგობას. ფასის ზრის შემდეგ ყალიბდება წვერო (სიმაღლე, პიკი), რომლის დროსაც მყიდველები კარგავენ ძალას, ხოლო გაყიდვების დინამიკა იზრდება. შესაბამისად, წვეროს ნიშნულის მიღწევის შემდეგ მოსალოდნელია ვარდნა, რაც დათვების გაძლიერების მიანიშნებს, რომლებიც გაყიდვების ხარჯზე ამარცხებენ თავიანთი კონკურენტების – ხარების პოზიციებს. ვარდნის ხარჯზე წარმოიქმნება ძირი (ფსკერი, ფუძე), რაც იმის ნიშანია, რომ გამყიდველების ძალები შესუსტდა, ხოლო მყიდველები თანდათან ძლიერდებიან. ეს ოთხი ძირითადი ელემენტი წარმოადგენს გრაფიკული ანალიზის კვლევის საგანს.

ტრენდის ანალიზი

წინა თავში უკვე განვიხილეთ ოთხი ძირითადი გრაფიკული ელემენტი. თვითოეულ მათგანზე აპელირებისას ჩვენ მხოლოდ დროის კონკრეტულ მომენტზე ვღებულობთ ინფორმაციას და გვიჭირს პასუხის გაცემა, თუ რა ხდებოდა ამ მომენტამდე ან რა განვითარებას ჰპოვებს სიტუაცია შემდგომში. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ ამ ელემენტებს აღვიქვამთ ერთიანობაში, შეწონილად და მათ გავაანალიზებთ, რეოგორც ერთ უწყვეტ თანამიმდევრობას.

მაგალითისათვის განვიხილოთ გრაფიკი (ნახ.2), რომელზედაც სხვადასხვა დროსა და ფასის ნიშნულებზე ოთხივე ელემენტია გამოსახული გარკვეული თანმიმდევრობით. გრაფიკზე შეინიშნება, რომ მოცემული ფინანსური ინსტრუმენტის გაძვირებისას ყოველი მომდევნო წვეროს ან ძირის ნიშნული მის წინამორბედზე მაღალ ნიშნულზე ფიქსირდება. ასეთივე მოდელი შეგვიძლია შევქმნათ დადამავალი ტრენდის შემთხვევაში.




(ნახ.2)

თუ გრაფიკზე ძირის ნიშნულებს შევაერთებთ მივიღებთ აღმავალ ტრენდს, ხოლო ამ შემაერთებელ ხაზს “ტრენდის ხაზი” ეწოდება. როდესაც საქმე გვაქვს ფინანსური ინსტრუმენტის

აღმავალი ტენდენციის გაგრძელებასთან, ტრენდის ხაზი გრაფიკის “ძირის” (ფსკერის) ნიშნულზე გავლით გამოისახება და პირიქით თუ სახეზეა დაღმავალი ტენდენცია, მაშინ ტრენდის ხაზი გრაფიკის “წვერების” (სმაღლეების, პიკების) ნიშნულზე გავლით გამოისახება.


ტრენდის ხაზის მნიშვნელოვან პარამეტრს წარმოადგენს მისი დახრილობის კუთხე. კუთხის სიდიდის შესაბამისად განასხვავებენ სამი სახის ტრენდს.

თუ ტრენდის კუთხე ჰორიზონტალურ ღერძთან მიმართებაში მახვილია, მაშინ სახეზეა აღმავალი ტენდენცია სადაც დომინანტად ხარები გვევლინებიან. ასეთ ტრენდს ხარისებური ტრენდი ეწოდება (ნახ.3). ამასთან ერთად ტრენდის ხაზი გრაფიკის “ძირის” ნიშნულზე (ყველა ცალკეულ პერიოდში მინიმალური ფასის ნიშნული) გავლით გამოისახება.




(ნახ.3)

თუ ტრენდის კუთხე ჰორიზონტალურ ღერძთან მიმართებაში 90°-ზე მეტია, მაშინ სახეზეა დაღმავალი ტენდენცია სადაც დომინანტად დათვები გვევლინებიან. ასეთ ტრენდს დათვისებური ტრენდი ეწოდება (ნახ.4). ამასთან ერთად ტრენდის ხაზი გრაფიკის “წვერის” ნიშნულზე (ყველა ცალკეულ პერიოდში მაქსიმალური ფასის ნიშნული) გავლით გამოისახება.



(ნახ.4)

თუ ტრენდის კუთხე ჰორიზონტალურ ღერძთან მიმართებაში თითქმის 00, ანუ ტრენდის ხაზი დროის შკალასთან მიმართებაში პარალელურია, მაშინ ვამბობთ, რომ ბაზარი იმყოფება გვერდით (განივი, თანხვედრი) ტრენდში (side trend) ანუ ფლექტში (ნახ.5). ფლექტის დროს ფასი არ მიისწრაფის რომელიმე მიმართულებით, პირიქით იგი ირხევა მცირე დიაპაზონში. ბაზრის მოქმედების დაახლოვებით 70% ფლექტში მიმდინარეობს. ეს მდგომარეობა იმით არის საინტერესო, რომ რაც უფრო დიდ ხანს იმყოფება ბაზარი დროის შკალასთან თანხვედრ წონასწორობაში, მით უფრო მკვეთრი იქნება ტრენდის გარღვევა.



(ნახ.5)

მხარდაჭერისა (Support) და წინააღობის დონეები (Resistance)

გამყიდველებისა და მყიდველების ურთიერთქმედებით ფორმირდება, ეგრეთ წოდებული მხარდაჭერისა და წინააღობის დონეები (ველი). ტრენდის ხაზები და ფასთა მოძრაობის მოდელები სხვა არაფერია, თუ არა მხარდაჭერისა და წინააღობის დონეების კომბინაცია. ეს დონეები ტექნიკური პროგნოზირების საფუძველს და გრაფიკული ანალიზის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მხარდაჭერისა და წინააღობის დონეები ორი სახისაა –სტატიკური და დინამიური. სტატიკურში იგულისხმება მხარდაჭერის ან წინააღობის ის დონეები, რომლებიც ბაზარზე ხანგრძლივი დროის დიაპაზონში მოქმედებენ კონკრეტულად განსაზღვრული ფასით. დინამიურ დონეებში იგულისხმება მხარდაჭერის ან წინააღობის ფასები ცვალებადია. როცა ტრენდის ხაზი აღმავალია ვლებულობით ძირის ნიშნულებზე გავლებულ მხარდაჭერის ხაზს (ნახ.3). თუ ტრენდის ხაზი დაღმავალია ვლებულობით წვეროების ნიშნულებზე გავლებულ წინააღობის ხაზს (ნახ.4).


წინააღობა წარმოიქმნება მაშინ, როცა მყიდველები აღარ ყიდულობენ მოცემულ ვალუტას მომატებულ ფასად. ამავდროულად მომატებული ფასის პირობებში იზრდება გამყიდველთა რაოდენობა. მათი ქმედება ემყარება იმ გარემოებას, რომ ვალუტამ საკმარისად მოიმატა ფასში და მოგების დასაფიქსირებლად საჭიროა მისი გაყიდვა. თავის მხრივ, გაყიდვების ოდენობის გაზრდა ხელს უწყობს ფასების დაღმავალ მიმართულების გამყარებას.

წინააღობის ხაზის განსაზღვრულ დონეზე მისვლის შემდეგ ფასთა ზრდის ტენდენცია შენელებად, რაც მყიდველებსა და გამყიდველებს შორის წარმატებისათვის ბრძოლის ახალი ეტაპის მანიშნებელია. იმის მიხედვით, თუ რომელი ჯგუფი უფრო გაძლიერდება შესაძლებელია მოვლენების ორგვარი განვითარება.

1. მყიდველები იგებენ, რსაც მოყვება წინააღობის ხაზის გარღვევა. გარღვევას ტრენდის ტრანსფორმაცია მოყვება და წინააღობის ხაზი გარდაიქმნება მხარდაჭერის ახალ ხაზად.
 2. გამყიდველები აღწევენ წარმატებას: წინააღობის ხაზი ინარჩუნებს ტენდენციას, ბაზარი აირეკლავს მისგან და აგრძელებს დაღმავალი მიმართულებით სვლას.
- ანალოგიური სიტუაცია შეინიშნება მხარდაჭერის დონის ფორმირების შემთხვევაშიც.

ძლიერი დონეები (Strong levels)

ძლიერ დონეებად აღიქმება მხარდაჭერისა და წინააღობის სტატიკური დონეები, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახორციელებენ ბაზრის მოძრაობის მიმართულებაზე. ეს ფასების ის დონეებია რომლებმაც გასულ პერიოდში (წარსულში) მოახდინეს მყიდველებისა და გამყიდველების გააქტიურების პროვოცირება. თუ გასულ პერიოდში ამ დონეებზე მიღწევამ გამოიწვია ტრენდის ცვლილება, შემდგომში, როცა ბაზარი კვლავ მიაღწევს ზემოხსენებულ დონეს, ბაზრის მონაწილეებისაგან იგივე რეაქციას უნდა ველოდეთ.



(ნახ.6)

ნახ.6-ზე ასახულია USD/CHF სავალუტო წყვილის დღიური გრაფიკის ტრენდის ხაზები 2006 წლი დეკემბრიდან 2007 წლის სექტემბრამდე. როგორც ხედავთ ტრენდის ხაზებს შეუძლიათ ზეგავლენა იქონიონ ფასებზე და მათი გარღვევის შემდეგ გარკვეულწილად განსაზღვრონ ბაზრის დინამიკა.

პრაქტიკული რჩევები.

ტრენდის ხაზების ზუსტი გამოსახვა, მხარდაჭერისა და წინაღობის დონეების სწორად განსაზღვრა თქვენი ანალიზის წარმატების გადამწყვეტ მომენტებს შეადგენს. ამ პარამეტრების კორექტულად შერჩევისათვის აუცილებელია დავიცვათ რამოდენიმე წესი:

1. იმისათვის რომ გამოვსახოთ ტრენდის ხაზი, აუცილებელია ის გავავლოთ წინაღობის ან მხარდაჭერის არანაკლებ ორ წერტილზე. შესაბამისად ტრენდის ხაზი გაივლის წინაღობის ან მხარდაჭერის 2 სტატიკურ დონეზე. თუ ხაზი გადის სამ ან უფრო მეტ წერტილზე მას დამოწმებულ (დადასტურებულ) ტრენდის ხაზს უწოდებენ.

2. რაც უფრო მეტია წერტილების რაოდენობა რომლებზედაც გადის ტრენდის ხაზი, მით უფრო ძლიერად ზემოქმედებს იგი ბაზარზე. ხაზის ყოველი წერტილი თავის მხრივ ხარებისა და დათვების ბრძოლის ველს წარმოადგენს. ამავდროულად აუცილებლობას არ წარმოადგენს მხოლოდ პიკური წერტილების თანმიმდევრობით შეერთება, მთავარია ხაზმა მოიცვას რაც შეიძლება უფრო მეტი ნიშნული.

3. რაც უფრო დიდ ხანს რჩება ტრენდის ხაზი უცვლელად, მით უფრო მნიშვნელოვანია წინაღობის ან მხარდაჭერის დონეები.

4. ერთხელ გარღვეული მხარდაჭერის ან წინაღობის დონე ინარჩუნებს ბაზარზე თავის გავლენას, იგი ტრანსფორმირებს მხარდაჭერის დონიდან წინაღობის დონეზე და პირიქით.

5. ხშირად, მხარდაჭერის ან წინაღობის გარღვევის შემდეგ ბაზარი ახორციელებს კორექტირებას ტრანსფორმირების ნიშნულამდე, მხოლოდ ამის შემდეგ აირეკლავს და აგრძელებს მოძრაობას გარღვევის მიმართულებით.

6. გარღვევის ხაზის მნიშვნელობა განისაზღვრება დახრის კუთხის მეშვეობით. 45° – ყველაზე მდგრადია. რაც უფრო მკვეთრია ხაზის მიმართულება, მით უფრო მცირდება ბაზარზე მისი ზემოქმედება ხანგძლივმოქმედ პერსპექტივაში.

7. ტრენდის ხაზზე, ბაზრის დაბრუნება ყოველთვის გამყიდველების ინტერესების პროვოცირებას იწვევს (დადმავალი ტრენდის დროს), ან ააქტიურებს მყიდველებს (აღმავალი ტრენდის დროს).

8. არ შეხვიდეთ ბაზარზე გადავადებული ორდერით მხარდაჭერისა ან წინაღობის დონეებზე. გადავადებული ორდერი ყოველთვის დააფიქსირეთ მხარდაჭერის დონეზე ოდნავ დაბალ ნიშნულზე (როცა შესყიდვაზე გაქვთ გახსნილი პოზიცია) ან ოდნავ მაღალ ნიშნულზე (როცა გაყიდვაზე გაქვთ გახსნილი პოზიცია).

ფასთა მოდელები

ეს მოდელები გამოიყენება ფინანსური ინსტრუმენტებზე ფასთა მოძრაობის მიმართულებების პროგნოზირებისათვის. აგრეთვე მათი მეშვეობით შესაძლებელია სავაჭრო გადაწყვეტილების ოპტიმიზაცია, რადგან სწორი ანალიზის შემთხვევაში განგვისაზღვრავს ფასთა დონეებს, რომლების მიხედვით, ორდერის გახსნის დროს ვაყენებთ Stop loss და Take Profit.

იმის მიხედვით, თუ ტრენდის რა ნაწილში გამოისახება მოდელი, განასხვავებენ ძირითადი ტიპის ორ სახეობას.

- შემობრუნების მოდელები: ამ დროს ბაზარი მკვეთრად იცვლის მიმართულებას ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეს.
- გაგრძელების მოდელები: ბაზარი აგრძელებს სვლას იგივე მიმართულებით რა მიმართულებითაც მიდიოდა ამ მოდელის ფორმირებამდე. ისინი იძლევიან ინფორმაციას ბაზრის პაუზის შესახებ, რომლის შემდეგაც ტრენდი გააგრძელებს იგივე მიმართულებით სვლას.

სხვადასხვა მოდელების განხილვის დროს ჩვენ შევეცდებით მათ კლასიფიცირებას ფასთა შესაძლო წვდომის მნიშვნელობიდან გამომდინარე. შედეგები ბაზირებულია თითქმის ყველა ტიპის ბაზრის მოდელების შესწავლაზე, როგორებიცაა: საერთაშორისო სავალუტო (Forex), საფონდო (Stocks), სასაქონლო ფიუჩერსული (Commodity Futures) და ა.შ.

ტრენდის შემობრუნების მოდელები

ეს ის მოდელია რომლის დროსაც ბაზარი მკვეთრად იცვლის მიმართულებას ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეს. იგი ფიქსირდება მიმართული მოძრაობის დამაგვირგვინებელ ფაზაში ტრენდის წვეროს ან ძირის წერტილებში.


სანამ შევუდგებით კონკრეტული მოდელების განხილვას, გავცნოთ შემობრუნების მოდელების ჩამოყალიბებისათვის დამახასიათებელ საერთო წესებს.

- მოდელის ჩამოყალიბებას წინ უნდა უსწრებდეს მკვეთრად გამოხატული მოძრაობა. მოდელი უნდა ფიქსირდებოდეს მიმართული მოძრაობის დამაგვირგვინებელ ფაზაში ფასის ზრდის ან ვარდნის წერტილებში.
- მოდელის მაშტაბი თანხვედრაში უნდა იყოს მოძრაობის მიმართულებასთან. ყოველი მოდელი უნდა შეადგენდეს საერთო მოძრაობის ნაწილს და არა მთლიანად მოძრაობას. მოდელის განსაზღვრული ზომა მოძრაობასთან მიმართებაში არ არსებობს, მაგრამ პრაქტიკიდან გამომდინარე საერთო მოცულობის 1/2 დან 1/3-მდე ოპტიმალურ ოდენობად არის მიჩნეული.
- რაც უფრო მაშტაბურია მოდელი, მით უფრო მნიშვნელოვანია მოძრაობა მის მშემდგომ.

- მოდელის სიმაღლე ფასთა ცვლილების სისწრაფეს გამოხატავს, ხოლო მისი სიგანე, მოდელის ჩამოყალიბებისათვის საჭირო დროს.
- რაც უფრო ხანგრძლივია მოდელის ჩამოყალიბება, მით უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს იგი შემობრუნებისას.
- ტრენდის წვეროში გამოსახული მოდელები ფასის ცვლილების სისწრაფის გამოხატველია, და უფრო მოკლეა ვიდრე ტრენდის ძირში გამოხატული მოდელები.
- ვაჭრობის მოცულობები უნდა ადასტურებდეს ტრენდის მოძრაობას.
- შემობრუნების პირველ სიგნალად აღიქმება მნიშვნელოვანი (დამოწმებული, დადასტურებული) ტრენდის ხაზის გარღვევა.
- შემობრუნების მოდელის ფორმირება უფრო მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე გაგრძელების მოდელისა.
- მოდელების გაანალიზებით განსაზღვრული ფასთა სამიზნეები ყოველთვის არ მიიღწევა (შესაძლებელი ფასი მიზნის მიღწევამდე შემობრუნდეს).
- პრაქტიკა აჩვენებს, რომ უფრო ზუსტ სიგნალებს იმ მოდელების გაანალიზებით ვღებულობთ, რომლებიც 4, ან 4 საათიან პერიოდზე მეტ დიაპაზონშია განხილული.
- შემობრუნების მოდელების დამადასტურებელ ფაქტორად აღიქმება თანმდევი დივერგენციის დაფიქსირება ისეთი ინდიკატორებით, როგორებიც არიან RSI და MACD (ამ ინდიკატორების მახასიათებლებს შემდეგ თავებში განვიხილავთ)


შემობრუნების “ფიგურა თავი და მხრები” (*Head & Shoulders, H&S*)

Head & Shoulders ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემობრუნების ფიგურაა, რომელიც ფორმირდება, როგორც წვეროებზე აგრეთვე ძირებზეც. იგი წარმოადგენს სამ წვეროს (ან სამ ძირს), რომლებიდანაც შუა წვერო მის წინა და მომდევნო წვეროზე მაღალია.



კისრის ხაზის გარღვევა ნიშნავს ბაზრის მძლავრად გააქტიურებისა წინამორბედ ტენდენციის საწინააღმდეგოდ.


შემობრუნების ფიგურა “ორმაგი სიმაღლე” (ორმაგი ფსკერი) (Double Top)



პირველი ფსკერი მეორე ფსკერი ყელის ხაზი


შემობრუნების ფიგურა “სამმაგი სიმაღლე” (სამმაგი ფსკერი) Triple top (bottom)

პირველი მეორე მესამე ყელის
სიმაღლე სიმაღლე სიმაღლე ხაზი




ტენდენციის გაგრძელების ფიგურები (დროშა, ვიშპელი, სოლი, სამკუთხედი)


დროშა



ვიშპელი



სოლი



სამკუთხედი



H – ფასების დიაპაზონი

ფასები არ გადიან H დიაპაზონიდან და სამკუთხედში აისახებიან 4 ტალღით.

ელიოტის ტალღისებური თეორია

დღეისათვის არსებობს ერთი, მთლიანად ფორმალიზებული თეორია, რომელიც აღწერს ფინანსური ბაზრების ქცევებს, ეს გახლავთ ელიოტის ტალღების თეორია. ამას ადასტურებენ სამყაროს უდიდესი ექსპერტები.

სავალუტო კურსის პროგნოზი არ შეიძლება იყოს აბსოლუტური ჭეშმარიტება, იგი მხოლოდ ერთ-ერთი ვარაუდთაგანია, რომელიც ამ შემთხვევაში კეთდება ბაზრის ექსპერტთა მიერ რაღაც ნელსონ ელიოტის ტალღური თეორიის საფუძველზე.


1900 წლიდან ცნობილია მხოლოდ ერთი შემთხვევა, როდესაც ამ პროგნოზმა არ გაამართლა და ეს შემთხვევა დღემდე მეცნიერთა კამათის საგანია. ამ თეორიით იყო ნაწინასწარმეტყველები დიდი დეპრესია, საბჭოთა კავშირის დაშლა და ა.შ.. ეს თეორია თქვენც გეყნებათ მოსმენილი, თუ როდესმე ყური დაგიგდიათ ზღვის ტალღების ციკლისათვის, ზღვის ტალღებიც ამავე რიტმით იცვლებიან: 3 აღმავალი, 2 დაღმავალი (ან პირიქით).

თეორია ეფუძნება მოვლენათა განვითარების ელემენტარულ ციკლს, რომელსაც ბუნებაში ვაკვირდებით ყველგან: “სამი ნაბიჯი წინ, ორი უკან (ან პირიქით)”. ელემენტარულად ტალღა, ამ თეორიაში წარმოადგენს ფრაქტალს (შიდა ტალღები იყოფა ასეთივე ტალღებად).

ამას გარდა, დაზუსტებითაა ცნობილი, რომ მოვლენებში (პოლიტიკა, ფორექს ბაზარი, ეკონომიკა, სოციოლოგია, ...) აღმავალი მესამე ტალღა ხშირად აღემატება სხვა ტალღებს. ამ ნიშნით მას წინასწარ ამოიცნობენ, ეს კი ექსპერტებს დიდად ეხმარება შემდგომი შედეგების პროგნოზირებაში.

ელიოტმა გამოყო რვა ტალღა, რომლების სისტემატიურად მეორდებიან (ხუთი მაღლა და სამი დაბლა)

მამომრავებელი: 1-2-3-4-5 მაკორექცირებელი: A-B-C.	ან	იმპულსური: 1-3-5- A-C. მაკორექცირებელი: 2-4-B.
---	----	---



ელიოტის თეორიის მრუდი იმპულსურ და მაკორექცირებელ ტალღებს ყოფს ხუთ პირველად და სამ მეორად სახის რხევად. ჯამურად რვა სახის რხევა შეადგენს ტალღის სრულ ციკლს. შესაბამისად კორექცია არ შეიძლება შედგებოდეს 5 ტალღისაგან.

ტალღა 1.

პირველი ტალღების თითქმის ნახევრის ჩასახვა ხდება ბაზრის საწყისში და წარმოადგენს ყველაზე დაბალი დონიდან ანარეკლს.

1 ტალღა როგორც წესი ყველაზე პატარა ტალღაა 5 დანარჩენიდან.

ტალღა 2

მეორე ტალღა როგორც წესი თითქმის იგივე მანძილს გადის, როგორც 1, მაგრამ 1 ტალღის დასაწყისზე მაღალ პოზიციას იკავებს.

ტალღა 3

უმეტესწილად ყველაზე გრძელი და დინამიური იმპულსური ტალღაა. მესამე ტალღის მიერ 1 ტალღის პიკის გადაკვეთა კლასიკური ნიშანია გარღვევისა და ხანგძლივი პოზიციების გახსნის ურყევ წინაპირობას წარმოადგენს. ამ ტალღაზე შეინიშნება ვაჭრობის ოდენობის მკვეთრი ზრდა.

3 ტალღა არასოდეს არ შეიძლება იყოს მოკლე.

ტალღა 4

ამ ტალღას რთული არქიტექტურა გააჩნია, ის მე-2 ტალღის მსგავსად წარმოადგენს მაკორექცირებელ ან მაკონსოლიდირებელ ფაზას. ხშირად გამოისახება სამკუთხედები.

მე-4 ტალღის საწყისი არსდროს არ გადაფარავს 1 ტალღის პიკს.

ტალღა 5

გაცილებით უფრო ნაკლებად დინამიურია ვიდრე მე-3 ტალღა, ამ ტალღის დროს უმეტესი ინდიკატორები (ოსცილატორები) ჩამორჩებიან ფასების მოძრაობას. წარმოიშობა უარყოფითი განშტოებები (დივირგენცია), რომლებიც ბაზრის პიკის მოახლოების მანიშნებელია.

ტალღა (6) A

არსებული ტალღის ყველაზე უტყუარი ნიშანია ამ მონაკვეთის ხუთ მცირე ტალღად დაყოფა, ამავდროულად მოცულობის გაზრდა ეთანადება ფასის დაწევას.

ტალღა (7) B

ეს ტალღა ასახავს ფასების ანარეკლს ზევით დაღმავალი ტენდენციის დროს. მას ახასიათებს მცირე მოცულობა. წარმოიშობა ორი სიმაღლე და ხშირად გადაფარავს მე-5 ტალღის სიმაღლეს.

ტალღა (8) C

ხშირად ეშვება (6) A ტალღის დასაწყისზე დაბლა. თუ მე-4 და (6) A ტალღის ძირებში თუ წრფეს გავავლებთ, მივიღებთ “თვისა და მხრების” გრაფიკულ გამოსახულებას.

თავად ელიოტი აღიარებდა, რომ თავისი ნამუშევრის, “ზუნების კანონების”, მათემატიკური თეორიის საფუძვლად გამოიყენა ციფრთა ის თანმიმდევრობა, რომელიც XIII საუკუნეში აღმოაჩინა (უფრო სწორად წარმოაჩინა) იტალიელმა მოაზროვნემ –ლეონარდო ფიბონაჩიმ.

ელიოტის ტალღური თეორია ფიბონაჩის პროპორციებთან ერთად არის ნებისმიერი ბაზრის (და არა მარტო ბაზრის) ანალიზისა და პროგნოზირების უძლიერესი იარაღი. ფიბო ნაჩის პროპორციები ჯორჯ სოროსს იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ მის ყველა ორგანიზაციის, ფონდისა თუ რომელიმე სხვა პროექტის ემბლემებში ჩასმულია ამ პროპორციის სპირალი.

ეს პროპორცია გვხვდება სამყაროს უმრავლეს ნიუანსებში. მას იყენებდნენ ლეონარდო დავინჩი და სხვა შუასაუკუნეების დიდი შემოქმედები.

ლეონარდო ფიბონაჩი

ცოტა ადამიანმა თუ იცის, რომ ათობითი სისტემა, იმ ფორმით როგორაც მას ჩვენ ვიყენებთ, შექმნა ლეონარდო ფიბონაჩი. ათობითი სისტემასთან ერთად ფიბონაჩიმ შექმნა კიდევ ერთი სისტემა რომელსაც მოგვიანებით ფიბონაჩის რიცხვების თანამიმდევრობა ეწოდა. ეს არის განსაცვიფრებელი ადამიანი და ეს არის განსაცვიფრებელი სისტემა.

რა კავშირია ფიბონაჩის რიცხვების თანამიმდევრობას და ფორექსს შორის? აქ საკმარისი იქნება იმის თქმა, რომ ბაზარს აქვს თვისება მიყვეს ფიბონაჩის რიცხვების პროპორციებს ფასების მოძრაობის დროს. ერთი შეხედვით პარადოქსული ჩანს, როგორ შეიძლება ბაზარი მიყვებოდეს დადგენილი რიცხვების თანამიმდევრობას ან პროპორციებს, მაგრამ როცა ამ ინფორმაციას გაეცნობით, მიხვდებით რომ ეს პროპორციები ბუნებრივი ჰარმონიის ნაწილია და ფასს, როგორც ადამიანების ჯგუფის კოლექტიურ გადაწყვეტილებას, აქვს თვისება მიყვეს ამ ჰარმონიას.

მეცამეტე საუკუნის დასაწყისში ფიბონაჩიმ გამოსცა ცნობილი ე.წ. **“გამოთვლების წიგნი“ (Liber Abacci)**, ჩვენთვის, ყველასთვის ცნობილი ათობითი სისტემის შესახებ, რომელიც პირველ ციფრად ამ სისტემაში განიხილავდა 0-ს. ეს სისტემა ახლა გამოიყენება საყოველთაოდ, ეწოდება ინდუს-არაბული სისტემა და შედგება ცნობილი სიმბოლოებისგან 0, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 და 9. სისტემა დაფუძნებულია სიმბოლოების რიცხვით მნიშვნელობაზე და სიმბოლოების ადგილზე, რომელსაც ეს სიმბოლოები იკავებენ რიცხვში. სიმბოლოს ადგილმგებარეობაზე დამყარებული სისტემა გამოგონებული იყო გაცილებით ადრე ბაბილონში და მაიას ტომებში, მაგრამ მათი მეთოდები იყო მოუქნელი და მნელად გამოსაყენებელი. ათობითმა სისტემამ მაქსიმალურად გამოდევნა ხმარებიდან რომაული სისტემა და დასაბამი მისცა დიდ ევოლუციას მათემატიკაში და მასთან დაკავშირებულ მეცნიერებებში.



დროთა განმავლობაში ფიბონაჩის პიროვნება კაცობრიობამ ნელნელა დაკარგა მხედველობის არიდან. არსებობს ერთადერთი ძეგლი, იტალიაში, პიზის კოშკის პირდაპირ, მდინარის გაღმა, რომელიც ეძღვნება ლეონარდო ფიბონაჩის.

ფიბონაჩის რიცხვების თანამიმდევრობა

იმავე წიგნში ფიბონაჩიმ აღწერა რიცხვების მეორე თანამიმდევრობა:

0, 1, 2, 3, 5, 8, 13, 21, 34, 55, 89, 144 და ა.შ. უსასრულობამდე.

ამ თანამიმდევრობაში ყოველი შემდეგი რიცხვი ნულისა და ერთის ჯამის გარდა არის მის წინ მდებარე ორი რიცხვის ჯამის ტოლი.

რამდენი წყვილი კურდღელი შეიძლება გაჩნდეს დახურულ გალიაში, ერთი წლის განმავლობაში, ერთი წყვილი კურდღლებისგან, თუ თითოეული წყვილი შობს კიდევ ერთ ახალ წყვილს? თავს ნუ გადაიტვირთავთ ანგარიშით. რაოდენობის ზრდა ხდება ფიბონაჩის რიცხვების მიხედვით.

თუ იგივე კურდღლებს იგივე თანმიმდევრობით გამრავლების საშუალებას მივცემთ ათი წლის განმავლობაში, მაშინ შემდეგი მსოფლიო ომი იქნება ადამიანებს და კურდღლებს შორის, ამ უკანასკნელთა რაოდენობა 100 თვეში მიაღწევს 354 224 848 179 261 915 075 წყვილს. ეს გრძელი რიცხვიც ფიბონაჩის რიცხვების თანმიმდევრობის წევრია.

ოქროს პროპორცია

ფიბონაჩის რიცხვების თანმიმდევრობის ყოველი რიცხვის ფარდობა მის შემდგომ რიცხვთან დიდი მიახლოებით ტოლია 0.618-ის, ხოლო ყოველი რიცხვის ფარდობა მის წინა რიცხვთან დიდი მიახლოებით ტოლია 1.618-ის ანუ 0.618-ის ინვერსიის. რაც უფრო იზრდება რიცხვები მით უფრო ზუსტად უახლოვდება ფარდობა 0.618034...-ს რიცხვს რომელსაც ვუწოდებთ ϕ -ს (ფი).

ერთის გამოტოვებით რიცხვების ფარდობა ტოლია 0.382 და პირიქით ფარდობა 2.618 ანუ 0.382 ის ინვერსიას. და ა.შ.

ϕ -არის ერთადერთი რიცხვი რომელიც ერთთან მიმატების შემდეგ იძლევა თავის ინვერსიას

$$0.618 + 1 = 1 : 0.618$$

საინტერესოა რომ:

$$0.618 \text{ მეორე ხარისხში} = 1 - 0.618,$$

$$0.618 \text{ მესამე ხარისხში} = 0.618 - (0.618 \text{ მეორე ხარისხში}),$$

$$0.618 \text{ მეოთხე ხარისხში} = 0.6182 - (0.618 \text{ მესამე ხარისხში}),$$

$$0.618 \text{ მეხუთე ხარისხში} = 0.6183 - (0.618 \text{ მეოთხე ხარისხში}), \text{ და ა.შ.}$$

ან პირიქით ფარდობა:

$$1.618 \text{ მეორე ხარისხში} = 1 + 1.618,$$

$$1.618 \text{ მესამე ხარისხში} = 1.618 + (1.618 \text{ მეორე ხარისხში}),$$

$$1.618 \text{ მეოთხე ხარისხში} = 1.6182 + (1.618 \text{ მესამე ხარისხში}),$$

$$1.618 \text{ მეხუთე ხარისხში} = 1.6183 + (1.618 \text{ მეოთხე ხარისხში}), \text{ და ა.შ.}$$

კიდევ რამდენიმე საინტერესო არითმეტიკა ფიბონაჩის რიცხვებით:

$$1) 1.618 - 0.618 = 1,$$

$$2) 1.618 * 0.618 = 1,$$

$$3) 1 - 0.618 = 0.382,$$

$$4) 0.618 * 0.618 = 0.382,$$

$$5) 2.618 - 1.618 = 1,$$

$$6) 2.618 * 0.382 = 1,$$

$$7) 2.618 * 0.618 = 1.618,$$

$$8) 1.618 * 1.618 = 2.618.$$

1-ის და 2-ის გარდა ფიბონაჩის ნებისმიერი რიცხვი გამრავლებული 4-ზე და დამატებული ნებისმიერი ფიბონაჩის რიცხვი, გვაძლევს ისევ ფიბონაჩის რიცხვს.

$$3 * 4 = 12; + 1 = 13,$$

$$5 * 4 = 20; + 1 = 21,$$

$$8 * 4 = 32; + 2 = 34,$$

$$13 * 4 = 52; + 3 = 55,$$

$$21 * 4 = 84; + 5 = 89, \text{ და ა.შ.}$$

0.618 (ან 1.618) ცნობილია როგორც ოქროს პროპორცია. მისი გეომეტრია სასიამოვნოა თვალისთვის, მიღებულია კაცობრიობის მიერ და ადამიანებისთვის ჰარმონიულობის ნაწილს შეადგენს. ამ პროპორციას ემორჩილება უამრავი რამ ჩვენს ირგვლივ მუსიკა, არქიტექტურა, ბიოლოგია, მზესუმზირა, ლოკოკინას ნიჟარა, ლამბაქი, სპირალური გალაქტიკა და ა.შ. ამავე კანონს მიყვება ძალიან ხშირად ფასის მოძრაობა ბაზარზე.

მველმა ბერძნებმა ამ თანაფარდობას “**ოქროს შუალედი**” უწოდეს.

საკმარისი იქნება იმის თქმა რომ ეგვიპტელები, 5000 წლის წინ, ამ რიცხვის მიხედვით აგებდნენ პირამიდებს (სიგანის და სიმალის ფარდობა უდრიდა ϕ -ს).


ეს რიცხვები უდაოდ არიან ბუნებრივი ჰარმონიის ნაწილი რომელიც სასიამოვნოდ გაიზარება, სასიამოვნოა დასანახად და თქვენ წარმოიდგინეთ, სასიამოვნოდ ჟღერს. მუსიკა, მაგალითად, დამყარებულია 8 ოქტავაზე. 8 თეთრი და 5 შავი კლავიშით -სულ 13. მაგალითისთვის ნოტი “მი” ისმის როგორც თანაფარდობა 0.625 ნოტთან “დო”. ყურის ნიჟარის მოყვანილობა, რომელიც განიშლება სპირალურად, ფიბონაჩის რიცხვების პროპორციით, ჰარმონიულად აღიქვამს ნოტების ოქროს პროპორციაზე დამოკიდებულებას.

განუწყვეტელი მაგალითები ბუნების დამოკიდებულებისა ამ რიცხვებზე ხსნის იმ ფაქტს რომ ხელოვნებაში ეს თანაფარდობა მიღებული და მიმზიდველია. ადამიანი, ცხოვრების გამოსახვას ხელოვნების საშუალებით, ხედავს ოქროს პროპორციაზე დაყრდნობით.

ატომის სტრუქტურები, დნმ-ის ჯაჭვი, მცენარეთა აგებულება, ტვინის ხვეულები, პლანეტების ორბიტები, გალაქტიკები, ბუნება ყველგან იყენებს ოქროს პროპორციას.


ფიბონაჩის გეომეტრია

ნებისმიერი მონაკვეთი შეიძლება გაიყოს ისე, რომ გაყოფილიდან, პატარა ნაწილის ფარდობა დიდთან ტოლი იყოს დიდი ნაწილის ფარდობის მთლიან მონაკვეთთან. და რას უდრის ყველა ეს ფარდობა ასეთი გაყოფის შემდეგ? მართალია ϕ -ს, **0.618-ს**




ოქროს სამკუთხედი


ოქროს სამკუთხედის გვერდების ფარდობა ტოლია 1.618-ს. რომ ავაგოთ ოქროს სამკუთხედი კვადრატის კუთხიდან დაუშვით მონაკვეთი გვერდის შუა წერტილამდე.




ძალიან რომ არ გადავიტვირთოთ, შემდეგი ნახაზი აჩვენებს როგორ მივიღოთ ოქროს მართკუთხედი.



შემდეგი ნახაზზე ნაჩვენებია ოქროს მართკუთხედების საშუალებით მიღებული ოქროს სპირალი:



შემდეგ ნახაზზე კი ჩანს, პუნქტირით ნაჩვენები ოქროს სპირალის ზომები ერთმანეთთან თანაფარდობაშიც იძლევა ფ-ს, 0.618-ს.



$$\frac{r_2}{r_1} = \frac{r_3}{r_2} = \frac{r_4}{r_3} = \dots = \frac{r_n}{r_{n-1}} = 1.618$$

$$\frac{d_2}{d_1} = \frac{d_3}{d_2} = \dots = \frac{d_n}{d_{n-1}} = 1.618$$


(where $d_1 = r_1 + r_3$, $d_2 = r_2 + r_4$, etc.)

$$\frac{\text{arcXY}}{\text{arcWX}} = \frac{\text{arcYZ}}{\text{arcXY}}, \text{ etc.} = \frac{\text{arcXZ}}{\text{arcWY}} = 1.618$$

$$\frac{\text{arcWY}}{\text{diam. (WY)}} = \frac{\text{arcXZ}}{\text{diam. (XZ)}}, \text{ etc.} = 1.618$$

ოქროს სპირალს საზღვარი არ აქვს და იზღევა უსასრულოდ. სპირალის ნებისმიერ წერტილში მისი რკალის სიგრძის ფარდობა დიამეტრთან ტოლია 1.618-ის. ამ სპირალის კანონით მრავლდებიან ბაქტერიები, ახვევს თავის ბუდეს ობობა, ახვევს კუდს კომეტა, დედამიწასთან შეჯახებისას მეტეორიოტები ქმნიან ღრმულს ამ სპირალის შესაბამისად, ამ

სპირალის შესაბამისად ფორმირდება ჩვეულებრივი გირჩის აგებულება, ახვევს ნიჟარას ლოკოკინა, ეხვევა ზღვის ტალღა, ეხვევა ცხოველების რქები, განლაგდება ყვავილის ფოთლები და მზესუმზირას მარცვლები, ეხვევა ქარბორბალა და გალაქტიკური მოძრაობები.






ფორექსზე, და არა მარტო ფორექსზე, ტექნიკური ანალიზის საშუალებები ფართოდ იყენებს ფიბონაჩის თანმიმდევრობას და პროპორციას ანალიზისთვის. ელიოტის ტალღური ანალიზის ერთერთ საყრდენს ფიბონაჩის რიცხვების თანმიმდევრობა წარმოადგენს. ასევე, სავაჭრო ტერმინალებში, ანალიზის გასაიოლებლად, დამატებულია ფიბონაჩის რიცხვების მიხედვით შექმნილი ხაზები და რკალები. დაიტანეთ ეს ხაზები გრაფიკზე და აღმოაჩინეთ საოცარ დამთხვევას ფასის ტალღური მოძრაობის ხასიათს და ფიბონაჩის რიცხვებს შორის.

პროპორციული ანალიზი.

პროპორციული ანალიზი ვითარდება ფასთა თანაფარდობაში და მისი ათვისება რეკომენდირებულია ყველა ტრეიდერისათვის. როდესაც ჩვენ ვახორციელებთ რაიმე ტიპის გარიგებას, უნად ვიცოდეთ ტრენდის არამარტო შემდგომი მოძრაობის მიმართულება, არამედ ამ მოძრაობის საზღვრებიც. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ მივიღებთ ოპტიმალურ მოგებას, უფრო მეტიც, შესაძლებელია გამოგვეპაროს ბაზრიდან გამოსვლის მომენტი, რაც უარყოფითად აისახე ჩვენს ბალანსზე.


ოპტიმალური დონეების განსაზღვრის მეთოდები მრავალია, მაგრამ მათგან, ჩვენ შევისწავლოთ და გავაანალიზოთ ყველაზე ეფექტური და გამოყენებადი.

საუკუნეზე მეტია, რაც საფონდო ბირჟის ბროკერებმა აღმოაჩინეს გამეორების (Retracement) კანონზომიერება. მათ შენიშნეს, რომ როდესაც ბაზარი ახორციელებდა ძლიერ მოძრაობას რომელიმე მიმართულებით, როგორც წესი, შემდგომი ეტაპის საწინააღმდეგო მიმართულება (კორექცია) ჩერდებოდა მისი წინამორბედი მოძრაობის სიგრძის 1/3 ან 2/3 -ის ტოლ ნიშნულებზე. როდესაც ანალიტიკოსებმა უფრო საფუძვლიანად გამოიკვლიეს არსებული თანაფარდობა, მივიდნენ იმ დასკვნამდე უფრო ზუსტ მნიშვნელობას წარმოადგენს 0,618 ან 0,32, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ ეგრეთ წოდებულ "ოროს კვეთას". მაშინ მათ მიმართეს იტალიელი მათემატიკოსის ლეონარდო ფიბონაჩის სწავლებას "ოქროს კვეთის" წესთან მიმართებაში.



ფინანსურ ბაზარზე ფასთა მოძრაობის სიდიდეები უცილობლად იმეორებენ ფიბონაჩის ციფრთა თანამიმდევრობებს.


როგორ იზომება და გამოიყენება ფიბონაჩის დონეები?



(ნახ.2) პოტენციალური რევერსული დონეები

უმეტესწილად გამოიყენება მომდევნო ტალღის გაზომვა ("შიდა ფიბო") და პროგნოზირება, რომელიც ვითარდება წინამორბედი ტალღის საწინააღმდეგო მიმართულებით. ფასის ტალღად უნდა აღვიქვათ ფასის მოძრაობა წვეროდან ძირამდე ან პირიქით (ეს ტერმინი როგორც ზემოთ ტალღურ თეორიაში გავეცანით დანერგა ჩარლზ დოუმ და ელიოტმა). დაახლოვებით მაშინ როდესაც სრულდება ერთი დაღმავალი ტალღა და იწყება აღმავალი მოძრაობა ჩვენ სიგრძის ერთეულად ვიღებთ ამ ტალღის სიდიდეს და მისი პროექციდან ვაპროექტებთ ფიბონაჩის დონეებს (ნახ 2). ერთის მხრივ ეს დონეები განსაზღვრავენ აღმავალი მოძრაობის სამიზნეებს, იმავედროულად წარმოადგენენ ტრენდის წინაღობისა და მხარდაჭერის დონეების ნიშნულებს.

ნახ.3 -ზე მოყვანილ მაგალითზე ჩანს, რომ AB ტალღის დასრულების შემდეგ იგი მომდევნო BC ტალღის პროექციის საზომი ერთეული ხდება. BC ტალღის კორექცია შეადგენს AB ტალღის სიგრძის 0,618 ნიშნულს. შემდგომში ერთეულად ვიჩვენებ BC ტალღას, რათა დავაპროექტოთ პოტენციალური დონე D წერტილში.



(ნახ.3)

CD ტალღის სიგრძე BC ტალღის სიგრძესთან მიმართებაში შეადგენს 1.68. გარდა ამისა BC ტალღიდან ვაპროექტებთ 2.618 დონეს F წერტილში. DE ტალღა კორექტირდება 0,328 ნიშნულზე CD ტალღასთან მიმართებაში, ამავედროულად E წერტილის დონე ემთხვევა B წერტილის დონეს, რაც ადასტურებს წესს: გარღვეული წინაღობა ყოველთვის ტრანსფორმირდება მხარდაჭერაში. DE ტალღის სიგრძიდან ვაპროექტებთ 2,618 სამიზნეს, სადაც სრულდება EF ტალღა. როგორც ვხედავთ F წერტილის ნიშნული პროგნოზირება ხორციელდება ორი ტალღით: $2,618 \cdot BC$ და $2,618 \cdot DE$. როცა სხვადასხვა ტალღებით პროექტირებული ორი ან მეტი ფიზო-პროექცია თანხვედრია, უმეტესწილად ამ დონის ნიშნული გახდება რევერსრების წერტილი. სწორად პროექტირებული ფიზონაჩის დონეები მაგნიტივით იზიდავს საბაზრო ფასებს.

უნდა არინიშნოს, რომ ფასის სამიზნესთან მიახლოებისას დასაშვებია 4-5%-იანი გადახრა. აქედან გამომდინარე ტრენდის 100 პუნქტით (პიპს) მოძრაობის დროს, ფასის სამიზნეს გადააშორებს ან ვერ მიაღწევს 4-5 პუნქტის ოდენობით.

ფიბონაჩის დონეების კორექცია.

არსებული მეთოდი რეგულარულად გამოიყენება როგორც მაკორექტირებელი (ძირითადი ტრენდის საწინააღმდეგო მიმართულება) აგრეთვე იმპულსური (ტრენდის მიმართულების გამგრძელებელი) ტალღების სიდიდის პროგნოზირების დროს.



ნახ.4 ფიბონაჩის დონეების კორექცია.

ნახ.4-ზე ნაჩვენებია კორექციის მაგალითი EUR/JPY სავალუტო წყვილთან მიმართებაში. 19 აპრილიდან 3 მაისამდე კურსი საგრძნობლად გაიზარდა (გრაფიკზე აღმავალი ხაზით არის აღნიშნული), რაც შემდგომი ფასის შემდგომი ვარდნის ორიენტირ იძლევა. როდესაც იწყება დაღმავალი ტენდენცია, ფასი აღმავალ ტალღასთან მიმართებაში პირველად ჩერდება 0.382 დონეზე, შემდეგ მცირეოდენი ხნით აირეკლება და აღწევს 0.618, ანუ ამის შემდეგ ფასი შებრუნდება და მიდის მაღლა. ეს კორექციის ტიპური შემთხვევაა.

ასეთი გზით პროექტირებული დონეები გარკვეული დროის განმავლობაში მოქმედებენ, როგორც წინაღობისა და მხარდაჭერის ხაზები და ბაზრის მონაწილეების მხრიდან გამოიყენება მოგების ფიქსაციისათვის (Take Profit). თუ განხორციელდა ერთი დონის გარღვევა, როგორც წესი განხორციელდება მეორე დონის გარღვევაც. მოყვანილ (ნახ.5) მაგალითში დაღმავალი ტალღა ქმნის ბაზას, რომლიდანაც ჩვენ ვაპროექტებთ აღმა სვლის შემდგომ მიზნებს. გამყარების დროს, კურსი დროებით, მაგრამ თანმიმდევრულად ჩერდება 0,382; 0,618; 0,764; 1,618 და 2 დონეებზე. როცა ხორციელდება ერთი დონის გარღვევა, ფასი მიემართება შემდეგი დონისაკენ.



(ნახ.5) ფასის მიზნების პროექტირება

ფიბონაჩის დონეების განსაზღვრის ტექნიკური ინდიკატორი "ზიგ-ზაგ"-ის (ZigZag),

ფიბონაჩის დონეების განსაზღვრის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ტექნიკური ინდიკატორი "ზიგ-ზაგ"-ის (ZigZag), რომელიც სავაჭრო ტერმინალ MetaTrader 4-ის სამომხმარებლო ინდიკატორების ძირითად პაკეტში არის წარმოდგენილი (ნახ.6). აღნიშნული ინდიკატორი, ფასის მოძრაობის დროს იგნორირებას უკეთებს ბაზრის "ხმაურს" (უმნიშვნელო ციმციმს) და აღნიშნავს ყველა მნიშვნელოვან ტალღას.



(ნახ.6) ინდიკატორი "ზიგ-ზაგ"-ის (ZigZag) გამოყენების მაგალითი.

ფიბონაჩის ინდიკატორი ZigZag Fibo Beta

არსებობს ამავე ინდიკატორის ნაირსახეობა ZigZag Fibo Beta, რომელიც აგრეთვე იძლევა ფიბონაჩის დონეებს(ეს დონეები იწყობა ავტომატურად, ბოლო ზიგ-ზაგის მიხედვით).


USD/CHF სავალუტო წყვილის ოთხსაათიანი გრაფიკის (ნახ.7) მაგალითზე ტექნიკური ინდიკატორი ZigZag Fibo Beta აგებს ფიბონაჩის დონეებს დაღმავალი ტალღის მიხედვით. ბოლო აღმავალი ტრენდის დროს ჩვენ ვხედავთ, რომ ფასი ჩერდება 38.2% დონეზე.



(ნახ.7) ინდიკატორი ZigZag Fibo Beta-ს გამოყენების მაგალითი.

ინდიკატორი "ფიბონაჩის მარაო"


ინდიკატორი "ფიბონაჩის მარაო" (ნახ.8) ანალოგიურად იძლევა ფიბონაჩის კორექციის დონეებს წინამდებარე მძლავრ წვეროს ან ძირზე ბაზირებით. მარაოს დონეები იგივე, რაც წინალობის და მხარდაჭერის ხაზი.



(ნახ.8) ინდიკატორი ფიბონაჩის მარაოს გამოყენების მაგალითი.

ფიბონაჩის მრუდები.

ფიბონაჩის მრუდების გამოყენების სპეციფიკა იგივე, რაც ფიბონაჩის მარაოსი, მაგრამ მრუდებს აქვს ერთი უპირატესობა: ისინი ითვალისწინებენ დროის ფაქტორს. განსაკუთრებით ეფექტურია მათი გამოყენება, როცა ძლიერი ტალღის შემდეგ იწყება სუსტი კორექცია, რომელიც ხანგძლივი დროის განმავლობაში ფასის მცირე ცვლილებით გრძელდება.



(ნახ. 9) ინდიკატორი "ფიბონაჩის მრუდების" გამოყენების მაგალითი.

ფიბონაჩის გაფართოება.


ეს მეთოდი ასახავს ეგრეთ წოდებულ "გარე ფიბოს". ფასის სამიზნეებისა და ფასთა შეზღუდვების პროექტირება ხორციელდება უკვე არსებული მიმართულების ბოლო ტალღის პარამეტრებზე დაყრდნობით. ნახ.11 მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, რომ AB ტალღის სიგრძეს ვიღებთ ზომის ერთეულად და ვაპროექტებთ ამ სიგრძეს C წერტილში. ეს მეთოდი გამოიყენება მაშინ, როცა ველოდებით, რომ მიმდინარე ტალღა სიგრძეში გადააჭარბებს ბოლო ტალღას, ოღონდ საწინააღმდეგო მიმართულებით ($CD > BC$). ძალიან ხშირად, როცა შეინიშნება იმპულსური ტალღა (AB), რომლის შემდეგაც ვითადება კორექცია (BC), მაშინ შემდეგი (CD) ტალღა გარკვეულ თანაფარდობაში შევა პირველ იმპულსურ ტალღასთან. მაგალითად, $CD = 0,618$ (ან 1, ან 1,618) AB დან. ეს მეთოდი ცნობილია, როგორც "ჯო დინაპოლის სამიზნეები".



(ნახ.11)

ფიბონაჩის არხები

როგორ იწყობა ფიბონაჩის არხები? - ახალი ტრენდის მიმართულებით განხორციელებული პირველი ციკლის მიხედვით. პირველი ციკლი თავის თავში მოიცავს "ძირი - წვერო - ძირი" (1-2-3 ნახ.12), როცა სახეზეა ადმავალი ტრენდი, ან "წვერო - ძირი - წვერო" დადმავალი ტრენდის დროს. ფიბონაჩის არხები წარმოადგენენ წინალობისა და მხარდაჭერის მნიშვნელოვან ხაზებს.




(ნახ.12)

უილიამ ჰანი (1878-1955)

როდესაც საუბარია პროპორციულ ანალიზზე, არ შეიძლება არ მოვიგონოთ ფინანსური ბაზრების ერთ-ერთი წარმატებული ტრეიდერი დოქტორი უილიამ ჰანი. მან ჩამოაყალიბა ძალზედ საინტერესო თეორია, რომელშიც ფასთა მოძრაობა გააერთიანა დროსთან. ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ძირითად პრინციპებს და ორ ინტრუმენტს, რომელიც მოცემულია MetaTrader 4-ის სტანდარტულ პაკეტში. ჰანის თეორიის მიხედვით ფასთა ოპტიმალური მოძრაობა ვითარდება 45⁰-იანი კუთხით. მოძრაობის გომეტრია და კუთხეები, რომლის მიხედვითაც ვითარდება საბაზრო ფასები, წარმოადგენენ იმ მინიშნებებს, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელია მომავალი მოძრაობის პროგნოზირება.

ჰანის მარაო.

ჰანის მარაო შედგება ცხრა ხაზისაგან, რომლებიც წარმოადგენენ მხარდაჭერისა და წინაღობის სახვადასხვა კუთხით მოწყობილ ხაზებს. ცენტრალური კუთხე შეადგენს 45⁰ გრაფიკის ჰორიზონტალურ ღერძთან მიმართებაში (ნახ.13).




ნახ.13


”ჰანის მარაოს” გამოსაყენებლად ვირჩევთ ბოლო წვეროს და ვშლით ”მარაოს” შემდგომ 45⁰-იანი კუთხით განვითარებული ტალღის მიმართულებით. ამ სახით გამოსახული მარაოს სხივები წარმოადგენენ ფასის მოძრაობის პოტენციალური წინაღობისა და მხარდაჭერის ხაზების ორიენტირებს.

ჰანის ბადე.

”ჰანის ბადე” იგება ”მარაოს” ანალოგზე. ხაზები იგება წვეროდან ძირისაკენ 45⁰-იანი კუთხით ისე, რომ მოიცვას ფასთა მოძრაობის პირველი ციკლი(1,2,3 ნახ.15). ასეთი სახით შექმნილი ბადე იძლევა ფასთა მიმართულების ორიენტირებს და დროებით წინალობისა და მხარდაჭერის ხაზებს.



1.ინდიკატორი Stochastic- ეს ინდიკატორი ყველა სავაჭრო სტრატეგიაში უნდა იყოს ჩართული,მისი გავრცელებული პარამეტრებია:8.3.3 და 15.3.3,მე პირადად ხშირად ვიყენებ 20.5.5 და 30.10.10 პარამეტრებსაც. სტოხასტიკი გამოიყენება დივერგენციის გამოსავლენად,მას უნდა დაუმატოთ დონეები 80 და 20, აქედან დონე 80 აღნიშნავს სავაჭრო ინსტრუმენტის “გადაყიდვას” (Overbought) ხოლო დონე 20 კი გადაყიდვას “Oversold”.




რაც შეეხება სიგნალებს: როდესაც სტოხასტიკი ჩამოკვეთს “გადაყიდულ” ანუ 80 დონის ხაზს ეს მიიჩნევა გაყიდვის სიგნალად ხოლო 20-იანი დონის გადაკვეთა კი ყიდვის სიგნალად.

2.ინდიკატორი Bollinger Bands -ანუ ბოლინჯერის ხაზები, სასურველია მეტა ტრეიდერში გამოყენებული პარამეტრები არ შეიცვალოს. რაც შეეხება მის გამოყენებას: ყველაზე ხშირად მისი სიგნალების გამოყენება ხდება შემდეგნაირად:


ყიდვა: თუ ხარისებური სანთელი იხურება ბოლინჯერის ქვედა ხაზის ზემოთ(არ ეხება ხაზს),შემდეგი სანთლის გახსნისას ვყიდულობთ ვალუტას და თეიქ პროფიტს ვაყენებთ ბოლინჯერის ცენტრალური ხაზის ოდნავ ქვემოთ ან ვაყენებთ მცოცავ სტოპს,შეიძლება სტოპი გადავიტანოთ ჩვენი ხელითაც.

რაც შეეხება სიგნალს გაყიდვისთვის, გამოიყენეთ “ყიდვის სიგნალის” აღწერა სარკისებურად:დათვის სანთელი იხურება ზედა ბოლინჯერის ხაზის ქვემოთ,ხოლო თეიქ პროფიტს ვაყენებთ ბოლინჯერის ცენტრალური ხაზის ოდნავ ზემოთ.




3.ინდიკატორი RSI(Relative Strength Index)-თუ არ ვცდები ითარგმნება როგორც შედარებითი ძალის ინდექსი და სტოხასტიხისგან განსხვავებით მასთან იყენებენ 30,50 და 70 დონეებს. მისი ყველაზე ცნობილი პარამეტრია – 14.

სიგნალები:როდესაც ინდიკატორი ჩამოკვეთს 70-იან დონეს ე.ი. იწყება დაღმავალი ტრენდი,ხოლო 30 დონის გადაკვეთისას კი აღმავალი,თუმცა ეს არ ნიშნავს იმას რომ ამ სიგნალებზე “ბრმად” უნდა იყიდოთ ან გაყიდოთ ესა თუ ის ვალუტა, აუცილებელია გააკეთოთ ანალიზი და შედარება სხვა ინდიკატორებთანაც.




4.ინდიკატორი MACD(Moving Average Convergence-Divergence)-უხეშად რომ ვთარგმნოთ მცოცავი საშუალო კოვერგენცია/დივერგენციის ინდიკატორი:) ალბათ დასახელებიდანაც ადვილი მისახვედრია რომ ეს ინდიკატორი დივერგენციასთანაა დაკავშირებული და საუკეთესოა დივერგენციის გამოსავლენად. გირჩევთ გამოიყენოთ პარამეტრები 12,26,9, ამ ინდიკატორთან იყენებენ ერთ- ნულოვან დონეს.

სიგნალები: როდესაც ინდიკატორის ბარი ნულის ხაზის ქვემოთ ე.ი. ტრენდი დაღმავალია, შესაბამისად ინდიკატორის მიერ ნულოვანი ხაზის ქვემოდან ზემოთ გადაკვეთა ერთგვარი სიგნალია ყიდვაზე. ინდიკატორის ნულის ხაზის ზემოთ ყოფნა აღმავალ ტრენდზე მიგვითითებს ხოლო ნულის ხაზის ზემოდან ქვემოთ გადაკვეთა კი მიიჩნევა გაყიდვის სიგნალად. მხოლოდ მაქდის მიხედვით ნუ გახსნიოთ ორდერებს, ის მხოლოდ დივერგენციის ან სიგნალის დამადასტურებელ ინდიკატორად გამოიყენეთ.



5.ინდიკატორი CCI (Commodity Channel Index)-ტრენდული ინდიკატორია,მასთან ხშირად იყენებენ დონეებს -100 და +100, მისი ხშირად გამოყენებადი პარამეტრია 14. რაც შეეხება სიგნალებს ძალიან მარტივია:

როდესაც ინდიკატორი ქვემოდან ზემოთ ჰკვეთს +100 ხაზს ეს ძლიერი აღმავალი ტრენდის დაწყების მანიშნებელია,ხოლო როდესაც -100 ხაზის ჩამოკვეთა ხდება ე.ი. იწყება დაღმავალი ტრენდი. მინდა გითხრათ რომ ეს ინდიკატორი დროის უმეტეს ნაწილს -100 და +100 დონეებს შორის ატარებს და შესაბამისად მისგან სიგნალები არც ისე ხშირია. ეს ინდიკატორი დივერგენციის გამოსავლენადაც გამოიყენება.



6. აჩქარება/შენელების ინდიკატორი Acceleration / Deceleration Oscillator (AC), ზომავს ფასის აჩქარებას და შენელებას. ინდიკატორი დამუშავებულია ბილ უილიამსის მიერ. ავტორის მტკიცებით ინდიკატორის საშუალებით შესაძლებელია წინასწარ განისაზღვროს ფასის დინამიკა.

მართლაც ლოგიკურია: სანამ ფასი შემობრუნდება, უნდა შეანელოს თავისი სიჩქარე, ამიტომ, ინდიკატორის შემობრუნება ხდება ბაზრის მამოძრავებელი ძალის შეცვლამდე, მამოძრავებელი ძალა კი შეიცვლის მიმართულებას ფასის მიმართულების შეცვლამდე. ინდიკატორის გათვლა ხდება, როგორც სხვაობა “Awesome” ოსცილატორს და “Awesome” ოსცილატორის 5 პერიოდიან მცოცავ საშუალოს შორის.

$$AC = AO - SMA(AO, 5)$$

სადაც :

AO – არის “Awesome” ოსცილატორი;

AO = SMA (Median Price, 5) — SMA (Median Price, 34);

Median Price = (High + Low) / 2;

Median Price – არის მედიუმის ფასი, გამოითვლება როგორც საშუალო მაქსიმალურ(High) და მინიმალურ ფასს(Low) შორის;

SMA – არის მარტივი მცოცავი საშუალო (აღწერილია მცოცავი საშუალოს ინდიკატორში); ინდიკატორის მაგალითი მოყვანილია ნახაზზე 1.



ნახ. 1

ინდიკატორი უმეტესად გვხვდება ჰისტოგრამის სახით, მისი მწვანე პატერნი შეესაბამება ზრდას, წითელი – კლებას. თავად ავტორი რეკომენდაციას უწევს 5 და 34 პარამეტრებს, თუმცა ტრეიდერები თავად ირჩევენ პარამეტრებს, რადგან ავტორის მიერ შემოთავაზებული პარამეტრები კარგ შედეგებს აღარ იძლევა.

თუ ინდიკატორი იმყოფება **ნულის ზემოთ**, არის **ყიდვის** წინაპირობა და ველოდებით მიმდევრობით იგივე მიმართულების ორი უფრო მაღალი სვეტის გამოჩენას. პირიქით, თუ ინდიკატორი იმყოფება **ნულის ქვემოთ**, არის **გაყიდვის** წინაპირობა და ველოდებით მიმდევრობით იგივე მიმართულების ორი სვეტის გამოჩენას უფრო დაბალი მნიშვნელობებით.

თუ ინდიკატორი იმყოფება **ნულის ქვემოთ**, **ყიდვის** პირობა არის თანმიმდევრობით სამი სვეტის წარმოქმნა უფრო მაღალი მნიშვნელობებით.

პირიქით, თუ ინდიკატორი იმყოფება **ნულის ზემოთ**, **გაყიდვის** პირობა არის თანმიმდევრობით სამი სვეტის წარმოქმნა უფრო დაბალი მნიშვნელობებით.


ინდიკატორის სიგნალები არ არის ბოლომდე საიმედო და უმეტესად ატარებს დამადასტურებელ ფუნქციას.

თუ ინდიკატორმა მოგვცა სიგნალი, მაგრამ გარიგების შესრულებამდე ჰისტოგრამამ შეიცვალა ფერი სიგნალი გაუქმებულად ითვლება, ხოლ ჩვენ გადარჩენილად, რომ გარიგება არ გავხსენით.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ “Awesome” ოსცილატორისგან განსხვავებით, ნულის გადაკვეთა არ ითვლება რამე სასარგებლო სიგნალად.

ძალიან მოკლედ, არ შეიძლება ყიდვა, როცა სვეტი არის წითელი. არ შეიძლება გაყიდვა, როცა სვეტი არის მწვანე.

7. ინდიკატორი Moving Average (MA)- ანუ მცოცავი საშუალო, ფორექსი ამ ინდიკატორის გარეშე წარმოუდგენელია). ასეთი სახის მცოცავი საშუალო მრავალი არსებობს, ესენია: Simple(SMA), Exponential(EMA), Smoothed (SMMA) და Linear Weighted(LW), მათ შორის ყველაზე პოპულარულია: მარტივი(SMA) და ექსპონენციალური(EMA) საშუალოები. პარამეტრებს რაც შეეხება, მცოცავებთან ხშირად იყენებენ: 200,100 და 50 დღიან პარამეტრს. სურათზე ნაჩვენებია 200 დღიანი (ლურჯი) და 50 დღიანი (მწვანე) ექსპონენციალური საშუალოების “ტანდემი”,როდესაც 50 დღიანი საშუალო 200 დღიანს ქვემოდან ზემოთ კვეთს ფასი იწყებს აწვას,ხოლო 200 დღიანი საშუალოს ზემოდან ქვემოთ ჩამოკვეთისას ფასი ეცემა და ტრენდიც დაღმავალია.გრაფიკს 50 დღიანი საშუალო რომც არ დაამატოთ მაინც გახსოვდეთ:თუ ფასი 200 დღიანი ან მეტი პერიოდის მუვინგის ზემოთ არის მოქცეული ე.ი. ტრენდი აღმავალია და პირიქით.



სამწუხაროდ, ინდიკატორი პირდაპირ ვერ გიკარნახებთ ტრენდის მიმართულებას და ფასის ცვლილებებს, ამიტომ მათ ბრმად არ უნდა მიჰყვეთ, ეს უფრო დამწყებ ტრეიდერებს ეხება: არ არსებობს ინდიკატორი რომელიც 100%-იან სიგნალს იძლევა და არასდროს ცდება! ტყულიად ნუ დახარჯავთ დროს იდეალური ინდიკატორის ძებნაში, მხოლოდ ინდიკატორის დახმარებით და სწავლის, კითხვის და ვარჯიშის გარეშე ფორექსზე ვერაფერს მიაღწევთ!

სტრატეგია

მთავარი არ არის ბევრი პოზიციის გახსნა, ხშირი ვაჭრობა ან მუდმივად სიახლეების გაანალიზება. მთავარია მობილიზება, დაგეგმვა და სტაციონალურად მომზადება. კარგი ტრეიდერი ძირითადად დროს სწორედ მომზადებაში ხარჯავს.

დღის ტრეიდი - ეს არის ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობის ერთ-ერთი სახეობა, რომლის მიხედვითაც ყიდვა და გაყიდვა ხდება სავაჭრო დღის დასრულებამდე და გარიგების ხანგრძლივობა არ აღემატება ერთ დღეს. ტრეიდერებს, რომლებიც ამ მეთოდს იყენებენ ხშირად აქტიურ ან დღის ტრეიდერებს უწოდებენ.

ყველაზე ხშირად გარიგებები ხდება ფინანსური ინსტრუმენტებით როგორებიცაა ფასიანი ქაღალდები, ოპციონები, ვალუტა, ფიუჩერს კონტრაქტები, ინდექსები, სასაქონლო ფიუჩერსები, საპროცენტო განაკვეთები.

ალგორითმული ვაჭრობისა და ელექტრონული პლათფორმების გაუმჯობესებამდე, დღის ტრეიდი ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ბანკებისა და დიდი საინვესტიციო კომპანიებისათვის. ეხლა, როდესაც ვაჭრობა გამარტივდა და პროგრამული უზრუნველყოფა დაიხვეწა დღის ტრეიდინგის დროს გარიგებების განხორციელება შესაძლებელი გახდა ინდივიდუალური ტრეიდერების მხრიდანაც.

სკალპირება - გუსლიხმობს ასობით მცირე მოცულობის ტრეიდს დღეში თითო სესიიდან მცირე მოგების ანუ სკალპირების მიზნით. სკალპერები ძალიან მცირე მოგებით კმაყოფილდებიან და დღის ბოლოსათვის საკმაოდ დიდ მოგებასაც აგროვებენ.

თუმცა ამ ტიპის ტრეიდი ისევე სარისკოა, როგორც ყველა სავაჭრო სტრატეგია რომელსაც იყენებთ ელექტრონულ პლატფორმებზე ვირტუალური ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობისას. სკალპირებისას ტრეიდერი ძალიან მოტივირებულია და ძირითად ამ მეთოდით სარგებლობენ ემოციური თრეიდერები რომლებსაც არ სურთ უსაქმუროდ ჯდომა და მხოლოდ დიაგრამებზე ყურება. თქვენ შეგიძლიან სულ რაღაც 3 პიპს მოგებით დაკმაყოფილდეთ თითო პოზიციიდან და დღის განმავლობაში მნიშვნელოვანი თანხა დააგროვოთ, მაგრამ ამავე დროულად ყველა მოგებული თანხის დაკარგვაც არის შესაძლებელი, რადგან ხშირ შემთხვევაში სტოპ ლოსების განთავსებას არამიზანშეწონილად თვლის ბევრი ტრეიდერი, რაც კატეგორიულად დაუშვებელია.

ზოგიერთი ბროკერი თქვენ არ მოგცემთ სკალპინგის უფლებას, ამიტომ თუ ამ მეთოდით აპირებთ ვაჭრობას მაშინ ყველა პირობა წინასწარ გაარკვიეთ ბროკერთან.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა ითქვას რომ პოზიციის დახურვის სტრატეგია აუცილებელია სკალპირებისას, რადგან ერთ დიდ წაგებას მთელი დღის განმავლობაში თქვენი 2 და 3 პიპსიანი მოგებებით დაგროვილი თანხის ერთბაშად წაგება შეუძლია.

სკალპერები ძირითადად 1 წუთიან პერიოდს იყენებენ იმის გასარკვევად თუ რა დროს ღირს გარიგების დადება და რა დროს ღირს თავის არიდება. პოპულარული ტექნიკური ანალიზის ინდიკატორებია: MACD Forest და Bollinger Bands.

ტრენდ მიმყოფი - საინვესტიციო სტრატეგიაა, რომლის მიხედვითაც ტრეიდერი ცდილობს მიყვეს ბაზრის გრძელ ვადიან ტენდენციას რომელსაც სხვადასხვა საფინანსო ბაზრები განაპირობებენ. ამ მეთოდის მომხმარებლები არ ადევნებენ თვალყურს მხოლოდ FOREX და STOCK-ის ბაზრებს. ამ შემთხვევაში ტრეიდერი მობილიზებულია ყველა მნიშვნელოვან მოვლენაზე და სათრეიდიგო ინსტრუმენტზე და თუ მაგალითად თქვენ ვაჭრობთ FOREX-ზე აუცილებლად ადევნებთ თავლყურს, ოპციონებს, ინდექსებს, ძვირფასი ლითონებისა და ნავთობ პროდუქტების ფასებს.

ზოგადი ტენდენციის გარკვევის ფართოდ გამოყენებული მეთოდია ტექნიკური ინდიკატორები, როგორებიცაა მაგალითად Moving Average (50 ან 100 პერიოდი) ტრენდის არხების ხაზვა, სტოქასტიკი. ტრენდ მიმყოლი ვაჭრობის მეთოდი მიზნად არ ისახავს ბაზრის ფასების წინასწარმეტყველებას ან ტრეიდიנג სიგნალების გამოთვლას. მისი ამოცანაა უბრალოდ მიყვეს ბაზრის აღმა და დაღმა სვლას.

ამ მეთოდის მიმდევრები პოზიციას ხსნიან მაშინ, როდესაც ტრენდი ნაკლებად მერყევია და ყალიბდება მეტნაკლებად ნათელი სურათი იმისა თუ რა მიმართულებით მიდის ბაზარი.

მთავარი არ არის ბევრი პოზიციის გახსნა, ხშირი ვაჭრობა ან მუდმივად სიახლეების გაანალიზება.

მთავარია მობილიზება, დაგეგმვა და სტაციონალურად მომზადება.

კარგი ტრეიდერი ძირითადად დროს სწორედ მომზადებაში ხარჯავს.

ტრენდ მიმყოლში ტრეიდერისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორები: მიმდინარე ფასი, ფულის მართვა, რისკის მართვა და სავაჭრო გეგმის სისტემურ, დისციპლინირებული იმპლემენტაცია

ტრეიდიგის ამ მეთოდის მიმდევრებმა პოზიციის გახსნამდე უნდა უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

რა მოცულობის თანხით და რა დროს მოხდეს ბაზარზე შესვლა

რა რაოდენობით კონტრაქტებით ან ლოტებით უნდა განხორციელდეს ვაჭრობა

რა მოცულობის თანხის გარისკვა შეგიძლიათ კონკრეტულ დროში

როგორ გამოვიდეთ ბაზრიდან როცა პოზიცია წამგებიანია

როგორ გამოვიდეთ ბაზრიდან როცა პოზიცია მომგებიანია

სტრატეგია “20 პუნქტი დღეში”

ამბობენ რომ ეს სტრატეგია დღეში მინიმუმ 20 პუნქტის გამომუშავების საშუალებას იძლევა. ის ძალიან მარტივია და შესაბამისად მოსახერხებელი იქნება იმ ტრეიდერთათვის რომლებსაც ვაჭრობა ახალი დაწყებული აქვთ. ამ სტრატეგიით კვირის ნებისმიერ დღეს შეძლებთ თანხის გამომუშავებას, შეგიძლიათ მასში კორექტივები შეიტანოთ და თქვენთვის სასურველი ინდიკატორებიც დაამატოთ.

წესები:

1. მუშაობის დრო – სასურველია ამერიკის სესია.

2. აუცილებლად გადახედეთ ახალი ამბების კალენდარს, თუ რაიმე მნიშვნელოვანი ნიუსია გამოსასვლელი-ბაზარზე მისი გამოსვლის შემდეგ შედით.

ინდიკატორები:

1. 20 SMA – (Simple Moving Average)

2. Momentum პერიოდით – 5

სავაჭრო ინტერვალი- M30.

შესვლა:

ყიდვა: ფასის სანთელი ან ბარი იკეტება 20 SMA-ს ზემოთ და მომენტუმი შუა დონის ზემოთ არის მიმართული - **ვყიდულობთ.**

გაყიდვა: ფასის სანთელი იკეტება მუვინგის ქვეშ და მომენტუმი შუა დონის ქვემოთაა და მიმართულია ქვემოთ-**ვყიდით.**

TP – მინიმუმ 10-20 პუნქტი.

SL – 20 პუნქტი -სასურველია დააყენოთ ორდერის გახსნისთანავე!

თუ ფასის სანთელი ჩამოკვეთს 20 SMA-ს და დაიხურება მის ქვემოთ დახურეთ ორდერი.

სკალპინგის დროს ნუ დატოვებთ ტერმინალს!

სისტემა "პურია"

როგორც ამბობენ ეს სისტემა დღეში მინიმუმ 50 პუნქტს "მოიმკის".

სტრატეგია საკმაოდ მარტივია და მისი გამოყენება წესით დამწყებებსაც არ უნდა გაუჭირდეთ. ქვემოთ მოცემულია სავაჭრო წყვილები, მათთან გამოსაყენებელი ტაიმფრეიმები და ორდერზე ამოღებული პუნქტების მოსალოდნელი რაოდენობა (**Take Profit**):

AUD/JPY – M30 – 15pip < გამოვდივართ 15 პუნქტიანი პროფიტით. (Take Profit)

NZD/USD - 1H – 25pip

USD/CAD – H1 – 20pip

EUR/GBP - H1 – 10pip

USD/JPY – M30 – 15pip

GBP/USD – M30 – 20pip

USD/CHF – M30 – 10pip

EUR/CHF – H1 – 15pip

AUD/USD – M30 – 10pip

EUR/JPY – M30 – 15pip

CHF/JPY – H1 – 15pip


CAD/JPY – M30 – 20pip

EUR/USD - M30 – 15pip


დააყენეთ ინდიკატორები:

Moving Averages-მცოცავი საშუალოები შემდეგი პერიოდებით:

1. პერიოდი **85**, მეთოდი: **Linear Weighted**, Apply to: **Low**, ფერი: **წითელი**.
2. პერიოდი **75**, მეთოდი: **Linear Weighted**, Apply to: **Low**, ფერი: **წითელი**.
3. პერიოდი **5**, მეთოდი: **Exponential**, Apply to: **Close**, ფერი: **ყვითელი**.



4. ვაყენებთ ინდიკატორ MACD-ს შემდეგი პარამეტრებით: **Fast EMA 15, Slow EMA 26, MACD SMA 1**.



ვყიდით:

როცა ყვეითელი ხაზი გადაკვეთს ორივე წითელ ხაზს ზემოდან ქვემოთ და MACD-იც ნულს ქვემოთაა.

ვყიდულობთ:

როდესაც ყვეითელი მუვინგი კვეთს 2 წითელს ქვემოდან ზემოთ და MACD-იც ნულს ზემოთაა. სტოპ ლოსი სასურველია დააყენოთ 14 პუნქტზე.

ამ სტრატეგიაში შეგიძლიათ გადაწიოთ სტოპ ლოსი "წაუგებელ" პოზიციაში და მიჰყვეთ ტრენდს. ეს სტრატეგია სკალპინგს მიეკუთვნება ამიტომ ნუ დატოვებთ ტერმინალს ორდერის დახურვამდე!

სტრატეგია “FOREX SMART”

ეს სტრატეგია ერთ–ერთ ცნობილ და გამოცდილ ტეიდერს – **ლინდა რაშკეს** ეკუთვნის. როგორც ამბობენ ამ მარტივ სავაჭრო სისტემას თვეში 4000-5000 პუნქტი მოგების მოტანაც შეუძლია, 5000 პუნქტზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ მიუხედავად სიმარტივისა ეს სტრატეგია მართლაც მომგებიანი და ეფექტურია

მთავარია არ ვიჩქაროთ!

ამ სტრატეგიით ვაჭრობენ: **H4 ინტერვალზე.**

სავაჭრო წყვილი: **EUR/USD.**

ამ სტრატეგიისთვის დაგჭირდება შემდეგი ინდიკატორები:

1) **Linear Weighted Moving Average- Period – 8, Shift- 0, Apply To: Closed (Typical Price – HLC/3),**
შეფერილობა **ლურჯი**

2) **Linear Weighted Moving Average: Period**

–21, Shift–0, Apply To : Median Price (Typical Price – HLC/3) – შეფერილობა **ოქროსფერი.**

3) ინდიკატორი **Parabolic SAR (PSAR) –** ბიჯი – **0.0026, მაქსიმუმი– 0.5**

4) ოსცილატორი **Stochastic. პერიოდი %K: 12, პერიოდი %D: 12, Slowing: 5. Price Field: Close/Close,MA Method: აირჩიეთ Exponential.მინიმუმი: 0, მაქსიმუმი: 100,დაამატეთ 2 დონე:60 და 40, დონე 50 წაშალეთ (თუ გაქვთ).**

5) ინდიკატორი **MACD – Fast EMA: 8, Slow EMA: 21, MACD SMA: 1**
დააყენეთ **Weighted Close (HLCC/4)–ზე.**

თუ ყველაფერი სწორად დააყენეთ,თქვენი ინდიკატორის ფანჯარა დაახლოებით ამ სურათის მსგავსად უნდა გამოიყურებოდეს:



ახლა კი ბაზარზე შესასვლელი სიგნალები განვიხილოთ.

ბაზარზე შევდივართ როცა:

ნომერ პირველი და უმთავრესი სიგნალია ლურჯი MA-ს მიერ ოქროსფერი MA –ს გადაკვეთა!!!! სხვა შემთხვევაში ბაზარზე არ შევდივართ.

ყიდვის ორდერი:

1.როდესაც **MA-ს ლურჯი ხაზი გადაკვეთს ოქროსფერს ზემოდან ქვემოთ.**

2.ინდიკატორი **Parabolic SAR (PSAR)–**მოქცეული უნდა იყოს ფასის ქვეშ.

(თუ MA-ს ლურჯი ხაზი გადაკვეთს ოქროსფერს ზემოდან ქვემოთ მაგრამ Parabolic SAR (PSAR) მათი მიმართულების საწინააღმდეგოდაა მოქცეული დაველოდებით გადავა თუ არა PSAR–ი მათი მიმართულებისკენ რაც დაახლოებით 5 დახურული სანთლის ანუ 20 საათის განმავლობაში უნდა მოხდეს.)

3. **Stochastic** უნდა იყოს 40–30–20 დონეების ქვეშ, რაც დაბლა მით უკეთესი ჩვენთვის.)
 4. **MACD**–დაგვეხმარება სიგნალების საიმედოობის გადამოწმებაში ანუ უნდა დავაკვირდეთ ნულს ზემოთ არის თუ ნულს ქვემოთ.
- გაყიდვის ორდერის შემთხვევაში ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილის რევერსი გამოდის ანუ:
1. როდესაც **MA**-ს **ლურჯი ხაზი** გადაკვეთს **ოქროსფერს** ქვემოდან ზემოთ.
 2. პარაბოლიკი ფასის ზემოთაა მოქცეული.
 3. **Stochastic** 60 დონის ზემოთაა მოქცეული და რაც უფრო მაღლა ჩვენთვის უკეთესი.
 4. დავამოწმებთ **MACD**–ით,თუ ის ნულს ქვემოთ დაიწყებს გახსნას ე.ი. სიგნალი წორია.



რა უნდა გვახსოვდეს სავაჭრო სტრატეგიებთან დაკავშირებით:

- არ არსებობს “წმინდა გრაალი” ანუ სტრატეგია რომელიც მუდამ იგებს, იგებს მზარდი რაოდენობით და უსასრულოდ.
- თუ წავაწყდით სავაჭრო სტრატეგიას, გვახსოვდეს რომ, აბსოლუტურად მომგებიან და გამართულ სავაჭრო სტრატეგიას ხელისგულზე არავინ დაგვიდებს.
- ის, რომ სტრატეგია მუშაობს სხვასთან (ან სხვა ამბობს, რომ, სტრატეგია მასთან მუშაობს?!), არ ნიშნავს რომ სტრატეგია თქვენთანაც ანალოგიურად იმუშავებს.
- როცა მითითებულია სავაჭრო სტრატეგიისთვის რეკომენდირებული დროითი ინტერვალები, ეს ნიშნავს, რომ სხვა დროით ინტერვალებზე სტრატეგია გამოცდილი არ არის, ან გამოცდილია და ცუდ შედეგებს იძლევა.
- საიტის ადმინისტრაციის მიერ განთავსებული სტრატეგიები შერჩეულია ხარისხის, გამოხმაურებების რაოდენობის, სიმარტივის, ან სხვა ნიშნით. არ არის აუცილებელი, რომ ყველა მათგანი შემოწმებული და გამოცდილი იყოს საიტის ადმინისტრაციის მიერ.
- ერთი და იგივე სტრატეგიას ტესტირებას უკეთებს უამრავი ადამიანი. უბრალო ალბათობაზე დაყრდნობითაც შეიძლება იმის თქმა, რომ მათ შორის აღმოჩნდება იღბლიანიც, რომელიც წარმატებას მიაღწევს. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სტრატეგია აუცილებლად მომგებიანია. ამიტომ, კრიტიკულად უნდა მოვეკიდოთ მონაცემს ამბებს სტრატეგიის მომგებიანობის შესახებ. ყოველგვარი ტყუილის გარეშე, გულწრფელმა მონაცემმა კი, შეიძლება უარყოფით შედეგამდე მიგვიყვანოს.
- თუ სტრატეგია მუშაობს დღეს, მუშაობდა გუშინ, არ ნიშნავს რომ იმუშავებს ხვალ, იმიტომ რომ ბაზარი ცოცხალი ორგანიზმია და გარემო პირობები ყოველდღიურად იცვლება.
- კარგი სავაჭრო სტრატეგია არის ის რომელსაც უფრო ნაკლები წაგება მოაქვს და არა ის, რომელსაც უფრო მეტი მოგება მოაქვს.

ჩამოთვლილის გათვალისწინებით, აუცილებელია ნებისმიერი სავაჭრო სტრატეგიის საფუძვლიანი გამოცდა დემო ანგარიშზე და მხოლოდ ამის შემდეგ დანერგვა რეალურად ვაჭრობის პროცესში.

სავაჭრო სტრატეგიის ელემენტები

სავაჭრო სტრატეგია არის ჩამოყალიბებული ქცევების ნაკრები, რომელსაც ტრეიდერი აყალიბებს თავისი ან ზოგადი გამოცდილებიდან გამომდინარე.

ეს არის წესები, რომელზეც ტრეიდერი უპირველესად თანხმდება საკუთარ თავთან სანამ ვაჭრობას დაიწყებს.

ეს ნიშნავს, რომ ტრეიდერი წინასწარ განსაზღვრავს თავისი ქცევის პირობებს და წინასწარ აყალიბებს, როგორც მინიმუმ, შემდეგ პუნქტებს:

- რა შემთხვევაში შევა და რა მიმართულებით ჩაერთვება ვაჭრობაში;
- დეპოზიტიდან გამომდინარე, რა შემთხვევაში, რა თანხით გახსნის ამა თუ იმ მიმართულებით გარიგებას (ე.წ. თანხების მენეჯმენტი);
- რამდენის წაგებას გეგმავს გახსნილი გარიგებიდან, მოვლენების ცუდად განვითარების შემთხვევაში (ე.წ. რისკების მენეჯმენტი);
- რა სიგნალებზე დაყრდნობით და როდის დახურავს გარიგებას, მოვლენების კარგად განვითარების შემთხვევაში.
- ტრეიდერი თანხმდება, რომ არცერთ შემთხვევაში არ გადაუხვევს ამ წინასწარ დაწერილ, თუ დაუწერიელ წესებს, მაშინაც კი, თუ ფასების მოძრაობის სურათი, ინტუიციურად, სხვა საუკეთესო გამოსავალს სთავაზობს და საკუთარი სტრატეგია, იმ კონკრეტულ მომენტში, მცდარი ეჩვენება.

რთულია, მაგრამ, ეს არის ერთადერთი გზა სტაბილურობისა და წარმატებისკენ. თუ არ მეთანხმებით მიმე ხვედრს გიწინასწარმეტყველებთ. სხვა მეთოდით ვაჭრობა არის ფაქტიურად ლატარიის თამაში და არავითარი შეხება ამ საქმიანობასთან არ აქვს.

არსებობს მეორე რთული მხარეც. ეს არის თავად სტრატეგიის შერჩევა, რომელსაც შემდეგ წესებად ჩამოვყალიბებთ. ასეთი სტრატეგიის შერჩევა მოითხოვს ასევე თავდაუზოგავ მუშაობას, ტესტირებას სხვადასხვა პირობებში და სხვადასხვა წყვილებზე. შესაძლოა რამდენიმე სტრატეგიის არსებობის აუცილებლობაც სხვადასხვა გარემო პირობებში გამოსაყენებლად – ეს იგივეა რომ, ჩვენ გვექონდეს ტაქტიკის ცვლის შესაძლებლობა, იმის მიხედვით, თუ რა მოთხოვნებს გვათავაზობს ბაზარი.

ინტერნეტში შეიძლება მოვიძიოთ სავაჭრო სისტემების უამრავი რაოდენობა. სტრატეგია უნდა გამოიცადოს მაქსიმალურად მრავალფეროვან გარემოში, ინდივიდუალურად შევიდეს მასში კორექტირები, და ჩამოყალიბდეს უნიკალური, მხოლოდ ჩვენზე მორგებული ვარიანტი.

სტრატეგიის დამუშავების, შემდეგ ეს ვარიანტი უნდა დავაფიქსიროთ რომელიმე ფორმით და უნდა გახდეს ჩვენი სამოქმედო პროგრამა.

სტრატეგიით ვაჭრობა მიუთითებს ტრეიდერის დისციპლინაზე.

სტრატეგიით ვაჭრობა გამორიცხავს ფსიქოლოგიურ არასტაბილურობას.

თუ ჩვენ ვვაჭრობთ მკაფიო წესების მიხედვით, ემოციებისთვის და ნერვული ფაქტორით გამოწვეული შეცდომებისთვის ადგილი აღარ რჩება.

დამწყებთა შეცდომები

არის შეცდომების ჯგუფი, რომელიც სტატისტიკურად ყველაზე ხშირად არის დამახასიათებელი დამწყები ტრეიდერებისათვის, და არა მარტო მათთვის.

ამ შეცდომების მიზეზი ძირითადად ხდება საკუთარი გრძობები და ემოციები.

პირველი და ყველაზე გავრცელებული შეცდომა არის დროის ყოველ მომენტში ოპერაციების კეთების სურვილი.

უნდა გვახსოვდეს რომ ბაზარი მუშაობდა ჩვენამდეც და იმუშავებს ჩვენი კომპიუტერთან მისვლის და სავაჭრო ტერმინალი ჩართვის შემდეგაც. ამიტომ, მოუთმენლობა არის ყოველად გაუმართლებელი.

დამწყები ტრეიდერების უმეტესობა ვაჭრობის ძირითად ნაწილს უთმობს სწრაფად და დაუფიქრებლად გახსნილი პირველი გარიგების გადარჩენას, იმ დროს, როცა ასეთი წამგებიანი გარიგება უკვე დადებულია, ყველაზე კარგად ჩანს, რომ ეს გარიგება არ უნდა გაგვეხსნა, და რომ, მისი წამგებიანობა სწორედ მოუთმენლობით ვაჭრობაში ჩართვამ გამოიწვია. პირველი მარცხი კი ქმნის სხვა უარყოფით ფსიქოლოგიურ პრობლემებს და შეიძლება ითქვას, რომ დღე და ზოგჯერ იმ პირველი დაუფიქრებელი გარიგების გაგრძელება ხდება. ამიტომ ყოველთვის გახსოვდეთ, ყველაზე მშვიდი პოზიციაა, როცა ყველა გარიგება დახურულია, და დეპოზიტზე კი თანხა გვაქვს. შეინარჩუნეთ ეს სიმშვიდე როცა კომპიუტერს მიუჯდებით რაც შეიძლება დიდხანს, კარგად განსაზღვრეთ როდის დგება თქვენი პროცესში ჩართვის მომენტი და შემდეგ შედით ვაჭრობაში.

მეორე შეცდომა გამომდინარეობს ადამიანური სიხარბიდან. სწრაფი გამდიდრების სურვილს ასევე მოყვება ძნელად გამოსასწორებელი შეცდომები. ინერციულობა არის ბაზრის კანონიც. კაპიტალის მოცულობასაც ახასიათებს ინერციულობა და მისი ზრდა უნდა მოხდეს

დროში და არა მომენტალურად. თუ თქვენ კაპიტალის მომენტალური ზრდის სურვილი გაქვთ, გახსოვდეთ, რომ ეს ეწინააღმდეგება გარკვეულ კანონებს. მომენტალურად შეიძლება ძალიან დიდი მოგების ნახვა, მაგრამ ანალოგიურად, მომენტალურად შეიძლება ძალიან დიდი ზარალის ნახვაც. პროფესიონალი ტრეიდერისათვის მყარად არის ცნობილი, რომ შემთხვევით არაფერი არ ხდება, არამედ ყოველივე ხორციელდება გეგმიურად, სტრატეგიის მიხედვით. ასეთი მუშაობით თავიდან აცილებთ მომენტალურ დიდ ზარალს.

მიღებული მოგების დაკარგვის შიში, ზოგჯერ იწვევს საკუთარ სტრატეგიაზე უარის თქმის სურვილს. თუ ჩვენ სწორად ვმუშაობთ, ანუ გვაქვს სტრატეგია და მკაცრად მივყვებით ამ სტრატეგიას, მაშინ, უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი მოგება ამ სტრატეგიამ მოიტანა, და რატომღა უნდა ვუღალატოთ სტრატეგიას, რომელსაც მოგება მოაქვს. ეს სტრატეგია ხომ ოფლით და წვალეებით არის შექმნილი, მრავალი შეცდომების და მოულოდნელობების გაფილტვრის შედეგად. ნუ დავუშვებთ, რომ უცებ მოსული იდეა შეიძლება შეუმოწმებლად გამოვიყენოთ. იქნება ჯობდეს, რომ ეს იდეაც დროში გამოვცადოთ. თუ სტრატეგიას მკაცრად მივყვებით, შიშის ადგილი აღარ რჩება.

აგრეთვე ხშირი შეცდომაა სტრატეგიიდან გადახვევა, როცა ფასი ჩვენს საწინააღმდეგოდ მიდის და ვიწყებთ ადრე დასმული სტოპების გადაადგილებას, იმის იმედით, რომ ბაზარი, ჰა და ჰა, შემობრუნდება ჩვენს სასარგებლოდ. ყოველთვის, გარიგების დადებამდე განსაზღვრეთ, რამდენის წაგებას უშვებთ ცუდ შემთხვევაში, დასვით სტოპი და მიეცით წამგებიანი პოზიციას საშუალება, რომ დაიხუროს. თქვენ კი, მიჰყევით სტრატეგიას და ეძებეთ ახალი მომგებიანი პოზიციის გახსნის შესაძლებლობა. ბაზრის შემობრუნების იმედით წამგებიანი პოზიციების არ დახურვა არის, ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავცელებული შეცდომა.

პატარა სტოპები განწირულია წასაგებად. წაგების შიშით ახლოს დასმული სტოპები ხდება ფასის მცირე ამოვარდნების მსხვერპლი. თუ ახლოს სტოპების დასმა თქვენი სტრატეგიის ნაწილია, ე.ი. სტრატეგია კარგად უნდა იყოს გამოცდილი.

დამწყები ტრეიდერების აბსოლუტური უმრავლესობის თვისებაა მოკლე ინტერვალებზე ვაჭრობა. ყველას თავისი გზა აქვს არჩეული, და დარწმუნებული ვარ ვიღაცა მოკლე ინტერვალებზე ვაჭრობითაც (წუთი, 5 წუთი, 15 წუთი, 30 წუთი, 1 საათი, 4 საათი) აღწევს წარმატებას. ამ ინტერვალებზე ვაჭრობა ძნელია და ითხოვს მონიტორინგის მუდმივად თვალყურის დევნებას, ემოციონალურად უფრო გადატვირთულია, არ იძლევა საშუალებას თვალყური ვადევნოთ ფუნდამენტურ ანალიზს და ახალი ამბების გამოსვლას, უფრო მაღალრიკიანი ოპერაციებია. ამ ჩამონათვალის კონტროლი დამწყები ტრეიდერისთვის იოლი არ არის, შესაბამისად, შედეგიც ხშირად არ აყოვნებს და ვაჭრობა მთავრდება დეპოზიტის სრულად დაკარგვით.

თანხების მენეჯმენტით დამტკიცებულია, რომ ემოციური წონასწორობის შესანარჩუნებლად, მიზანშეწონილია ყოველი წამგებიანი გარიგების შემდეგ, ლოტის, ანუ ახალ გარიგებაში ჩადებული თანხის შემცირება ყოველ ახალ გარიგებაზე. ამ დროს გამოკითხულთა 30% ახერხებს იგივე განწყობით გააგრძელოს მუშაობა, როგორც მანამდე მუშაობდა. ანუ წინა წამგებიანი გარიგების ფსიქოლოგიური და ემოციური გავლენა მინიმუმამდე დადის. რეალურად კი, 50% დამწყები ტრეიდერების შემთხვევაში ხდება პირიქით. წამგებიანი ოპერაციის შემდეგ ზრდიან ლოტის მოცულობას შურისძიების, დეპოზიტის სწრაფი აღდგენის სურვილით, თუ, სხვა მიზეზით. კაპიტალის სწორად მართვა, ანუ თანხების მენეჯმენტის უნდა იყოს სტრატეგიის ნაწილი და მკაცრად უნდა იქნას დაცული.

ჩამოთვლილი შეცდომების გამეორება, ძალიან მაღალი ალბათობით, იწვევს დეპოზიტის დაკარგვას. უმეტესობა ამ შეცდომებისა ფსიქოლოგიური ხასიათისაა. ამიტომ საკუთარ თავზე მუშაობა ფსიქოლოგიის კუთხით, ტრეიდერის ერთერთი პირველი ამოცანაა.

ფსიქოლოგია.

თუ თქვენ აქ შემთხვევით მოხვდით, მინდა გითხრათ, რომ ეს არ არის უსაფრთხო ადგილი.

ფორექსზე საქმიანობა შეიცავს თანხებთან დაკავშირებულ რისკებს. ის ვინც, ფორექსზე მუშაობს რისკავს საკუთარი თანხით, მათ შორის უნებისყოფები როგორც წესი რისკავენ დიდი თანხებით. ამიტომ, ეს სფერო არ არის ადამიანებისთვის, რომელთაც უბრალოდ აინტერესებთ. გაინტერესებთ? კი ბატონო, მაგრამ, არ ჩათვალოთ, რომ აქ ხალხი თურმე იოლად აკეთებს ფულს და მოდი, მეც ვცდიო. აქ ხალხი იოლად აგებს ფულს, გაკეთებით კი, ძნელად აკეთებს.

არ ვენდოთ უსინდისო რეკლამებს. არ აღმოვჩნდეთ ასეთი გულუბრყვილო ადამიანების რიცხვში. ნუთუ, ძნელია იმის გათვალისწინება, რასაც გამოცდილი ადამიანები გვირჩევენ:

- ისწავლე
- დაამუშავე რისკების მინიმუმამდე შემცირების სტრატეგია
- დახვეწე გარიგებაში შესვლის და გამოსვლის სტრატეგია
- აუცილებლად შეამოწმე ყველაფერი დემო ანგარიშზე

შემდეგ გადადი რეალურ ანგარიშზე. ძნელია? დიახ ძნელია. ეს ეწინააღმდეგება სწორედ იმ სწრაფი გამდიდრების სურვილს, რომელზეც ზემოთ აღვნიშნეთ. რა ერთი წელი, რა ორი წელი, დღესვე, აქვე უნდა გავმდიდრდეთ. ეს იცის ფორექსზე რეკლამის მწარმოებელმა. იცის ადამიანის გრძნობების რომელ ძაფებზე უნდა ითამაშოს და ამიტომაც ახორციელებს აგრესიულ სარეკლამო პოლიტიკას. ჩვენ კი მივყვებით წაგებისთვის გამზადებულ გზას.

ალბათ, აქ უნდა გავჩერდეთ და დავსვათ კითხვა, გვატყუებენ თუ არა ამ პროცესში. ცოტას თუ გაუჩნდება სურვილი, ჩაერთოს ისეთ საქმიანობაში, სადაც მას ატყუებენ, განსაკუთრებით, როცა უშუალოდ თანხებს ეხება საქმე.

ჩემი პასუხი არის – არ გვატყუებენ. ეს არის ჩვეულებრივი ბიზნესი, რომელშიც რამდენიმე მხარე მონაწილეობს, ყველა მხარეს აქვს წინასწარ გამოცხადებული, რა სარგებელს ელის და რის სანაცვლოდ, მათ შორის ჩვენც. სადილინგო კომპანიები, რომელთა რეკლამასაც ყველგან ვაწყდებით, ელიან სარგებელს ჩვენგან აღებული საკომისიოს სახით, ჩვენ ველით სარგებელს სავალუტო ოპერაციის დროს ყიდვა-გაყიდვის ფასებს შორის სხვაობიდან. ჩვენი თანხა, წაგების შემთხვევაში სადილინგო კომპანიას არ რჩება. იგი გადანაწილდება წარმატებული ტრეიდერების, ან ბაზარზე მოვაჭრე მსხვილი საფინანსო ორგანიზაციების ხელში.

მარცხის მიზეზი მხოლოდ ჩვენშია, ავყევით იოლი გამდიდრების რეკლამას, და არ გავითვალისწინეთ, რომ ანალიზის და ცოდნის გარეშე, მხოლოდ ფასების მოძრაობაზე თამაში იგივეა, რაც კაზინოში ალაღბედზე თამაში.

მაგალითისთვის, დაფიქრდით, რა შეიძლება მოხდეს დროის იმ კონკრეტულ მომენტში, როცა ჩვენ გარიგება გავხსენით: ერთი ფასები წავიდეს ჩვენთვის სასურველი მიმართულებით, რითაც ჩვენ მომგებიანი პიპსები დაგვემატება, მეორე, ფასები წავიდეს საწინააღმდეგო მიმართულებით და ჩვენი დეპოზიტი შემცირდეს ხელშესახები თანხით. რატომ ფიქრობთ რომ ფასები მაინცდამაინც ჩვენთვის სასურველი მიმართულებით წავა? იმიტომ, რომ მანამდე გრაფიკი ამ მიმართულებით მიდიოდა? თუ იმიტომ, რომ მანამდე გრაფიკი საწინააღმდეგო მიმართულებით მიდიოდა მაგრამ,

დროა რომ მოზრუნდეს და ჩვენთვის სასურველი მიმართულებით წავიდეს. ასეთი მსჯელობა უმოკლესი გზაა თქვენი დეპოზიტის შესამცირებლად.

თანხების მენეჯმენტი.

ფორექსზე წარმატებულად მუშაობისათვის საჭიროა დავაკმაყოფილოთ რამდენიმე პირობა:

- გახსენით პოზიციები ისეთი თანხით, რომ რისკის ქვეშ დადგეს თქვენი დეპოზიტის სამი-ხუთი პროცენტი.
- დროზე დახურეთ წამგებიანი პოზიცია.
- ყოველთვის გახსოვდეთ, რომ წაგებით პოზიციის დახურვა არ ნიშნავს დამარცხებას, ეს არის იგივე სასარგებლო მოქმედება, როგორც თუნდაც, მომგებიანი პოზიციის დახურვა, რადგან წამგებიანი პოზიციის დროზე დახურვით, თქვენ თავიდან აიცილეთ ამ პოზიციის ორჯერ, სამჯერ ან უფრო მეტჯერ წამგებიანში გადასვლა.
- დახურეთ მაშინ როცა წაგების ოდენობა წინასწარ განსაზღვრულ ზღვარს (დეპოზიტის სამი-ხუთი პროცენტს) მიუახლოვდება.
- შედით ბაზარზე მხოლოდ შემუშავებული სტრატეგიის ფარგლებში.
- იგივე სტრატეგიით მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული როდის ხურავთ პოზიციას მოგების ან წაგების შემთხვევაში. გარიგების დადების მომენტში, ზუსტად უნდა ვიცოდეთ მოგების რომელ ნიშნულზე რას მოვიმოქმედებთ, ან წაგების რა თანხაზე დავხურავთ პოზიციას. იმპროვიზაცია უკვე გახსნილი გარიგების პირობებში, დაუშვებელია.

ნათქვამს დავამატებთ შემდეგს: როგორი გაწონასწორებული ადამიანიც არ უნდა ბრძანდებოდეთ, როგორ კარგადაც არ უნდა იცნობდეთ საკუთარ თავს, ყოველთვის რჩება მომენტები, როცა თქვენი საქციელი გარე ფაქტორების გავლენის ქვეშ ექცევა.

ყველაზე მშვიდად ხართ, როცა გარიგება გახსნილი არ გაქვთ და არც აპირებთ მის გახსნას, უფრო აღელვებული ხართ, როცა ემზადებით გარიგების გახსნისთვის, ღელავთ როცა გარიგება გახსნილია და თქვენი თანხა რისკის ქვეშ დგას. შეეცადეთ ოპერაციაში მონაწილეობა მიიღოთ ისეთი თანხით, რომ რისკმა თქვენს ფსიქოლოგიაზე არ იმოქმედოს, ანუ დაამსგავსეთ გახსნილი პოზიცია იმ მდგომარეობას, როცა თქვენ არ მონაწილეობდით გარიგებაში. ამ დროს თქვენ აკონტროლებთ ყველფერს, რასაც მანამდე აკონტროლებდით. თუ თქვენ გარიგებაში მონაწილეობთ მაღალი რისკით, თქვენი ფსიქოლოგია თქვენ აღარ გემორჩილება, საქმეში შემოდის დათრგუნვა, საკუთარი თავის რწმენის დაკარგვა, უარი თქვით ასეთ მდგომარეობაში ბაზარზე ყოველგვარი მანიპულაციისაგან. ნუ გადააქცევთ საქმიანობას ფორექსზე აზარტად, ეს უნდა იყოს ჩვეულებრივი სამუშაო, სადაც აზარტს ადგილი არ აქვს.

სავაჭრო ტერმინალი MetaTrader 4

თავად, ბროკერი განსაზღვრავს, თუ რომელი პროგრამით იმუშავებენ მასთან მისი კლიენტები, ტრეიდერები. ანუ, ბროკერის გადასაწყვეტია, რომელი პროგრამის გამოყენებით ექნებათ მათ ერთმანეთთან ურთიერთობა.

გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით ყველაზე ფართოდ გავრცელებული პლატფორმა არის მეტატრეიდერი 4 (MT). ბროკერების უმრავლესობა სწორედ ამ პროგრამას სთავაზობს თავის ტრეიდერებს. არა აქვს მნიშვნელობა, როგორი სახელწოდებით მოგვაწვდის ბროკერი ამ პროგრამას, უშუალოდ მეტატრეიდერის სახელწოდებით თუ ბროკერის ფორმის დასახელების შემცველი სხვა სახელით, პლატფორმა ერთი და იგივეა და მუშაობითაც ერთნაირად მუშაობენ.



ნახ. 1

მეტატრეიდერი საშუალებას იძლევა ერთდროულად ვიმუშაოთ იმდენ სავალუტო წყვილთან, რამდენის საშუალებასაც ბროკერი გვამძლევეს, გავხსნათ ცალკე ფანჯარაში ნებისმიერი წყვილის კოტირება გრაფიკის სახით, ინდივიდუალურად დავამატოთ თითოეულ გრაფიკზე, რამდენიც გვინდა, ინდიკატორი ან ექსპერტი, გავუშვათ სკრიპტი.

მეტატრეიდერი საშუალებას გვამძლევეს მასშივე ვაწარმოოთ ტექნიკური ანალიზი სხვადასხვა ინდიკატორებით, ტესტირება გავუკეთოთ სხვადასხვა ექსპერტებს. განვალაგოთ გრაფიკები ჩვენი გემოვნებით და შევინახოთ განლაგება პროფილის სახით. ვარეგულიროთ გრაფიკზე ბანერების რაოდენობა, სწრაფად გადავერთოთ სხვადასხვა დროით ინტერვალებზე და ა.შ.

პლატფორმა საშუალებას იძლევა შევქმნათ ახალი ინდიკატორები, ექსპერტები და სკრიპტები. გახსნილი ინტერფეისი აპი ფუნქციების საშუალებით, შესაძლებელს ხდის მავახდინოთ მისი ინტეგრირება სხვა პროგრამებში.

ტერმინალს კომპლექტში მოყვება ბევრი ინდიკატორი, ექსპერტი და სკრიპტი, რომელთა გამოყენება შეიძლება პირდაპირაც ან შესაძლებელია მათი მოდიფიკაცია თქვენი შეხედულებით, რა თქმა უნდა შესაბამისი პროგრამირების ენის (MetaQuotes Language) ცოდნის წყალობით.

ამ სახელმძღვანელოს დაწერის მომენტში მეტატრეიდერის ბოლო ვერსია არის მე-4 ვერსია (მართალია უკვე არსებობს მე-5 ვერსიაც. იგი ჯერ ტესტირებას გადის, მაგრამ მერწმუნეთ, რომ მე-4

ვერსიის დაუფლების შემდეგ მე-5 ვერსიაზე გადასვლა არ გაგიჭირდებათ). ქვემოთ ყველა საუბარი წავა ამ ვერსიაზე, თუმცა წინა და მომდევნო ვერსიების მფლობელებისთვისაც გამოდგება ბევრი რამ.

ტერმინალის დაყენების შემდეგ შეგვიძლია ავირჩიოთ ენა, თუ დაყენების პროცესში გამოგვჩა მისი არჩევა, მენიუდან **View>>Languages>>**თოლია შესაბამისი ენის წინ, პროგრამის გადატვირთვის შემდეგ თქვენ მიირებთ არჩეული ენის იტერფეისს.

შემდეგ, ლოგიკურად უნდა მოდიოდეს დემო ან რეალური ანგარიშის გახსნა, ან უკვე გახსნილი ანგარიშის არჩევა.

ანგარიშის გახსნა ხდება მენიუდან **file>>open an account;**

უკვე გახსნილი ანგარიშის არჩევა ხდება მენიუში **“fail”>> open an account**, ასევე ფანჯარაში **“Navigator”** სექციაში **“Accounts”**, შესაბამის ანგარიშზე დაკლიკებისას (დაწკაპუნება) გამოვა ფანჯარა საიდენტიფიკაციო მონაცემის და პაროლის შეყვანის მოთხოვნით. მისი სწორად შევსების შემდეგ სერვერი მოგვაწვდის მონაცემებს ამ ანგარიშზე არსებული ჩვენი მდგომარეობის შესახებ, და თუ დეპოზიტზე გვაქვს თანხა, სულერთია, დემო ანგარიში ვართ თუ რეალურში, ჩვენ შეგვიძლია ვაწარმოოთ ოპერაციები.

* თუ, ფანჯარა **“Navigator”** არ ჩანს, მისი, და ასევე, ყველა სერვისის ფანჯრის ჩართვა ხდება მენიუდან **View>>** თოლია შესაბამისი ფანჯრის წინ.

ჭკვიან ბროკერებთან ტერმინალის საინსტალაციო პაკეტივზე გათვალისწინებულია და დაყენებულია სერვერთან შეერთების პარამეტრები. თუ თქვენ არ გაგიმართლათ, მაშინ მეტატრეიდერის შესაბამის დახმარების სექციას უნდა მიმართოთ მენიუდან **Help>>**. უნდა ითქვას, რომ დახმარების ტექსტი გასაგებად არის შედგენილი და უმეტესად მისი გამოყენებით პრობლემების გადაწყვეტა იოლად ხერხდება.

ხშირად გამოყენებადი პუნქტები ასე გამოიყურება:

მენიუ **“File”**:

- **“New Chart”** – აქედან ხდება ახალი გრაფიკის ფანჯრის გახსნა. მასზე დაკლიკებისას გამოვა ინსტრუმენტების (სავალუტო წყვილების სია) შესაბამისად, გრაფიკი გაიხსნება ჩვენი არჩეული წყვილის კოტირებებით.
- **“Open Offline”** – ამ რეჟიმში გრაფიკი გაიხსნება მხოლოდ ისტორიაზე დაყრდნობით და გრაფიკზე ახალი ბარები არ დაემატება. გამოიყენება ტესტირებისთვის და ანალიზისთვის.
- **“Save As Picture...”** – გრაფიკის შესანახად გრაფიკული გამოსახულების სახით. შესაძლებელია ავირჩიოთ ერთი ან ყველა გრაფიკის შენახვა გრაფიკული სახით **“BMP”** გაფართოებით.
- **“open an account ...”** – ახალი ანგარიშის გახსნა.
- **“Profiles”** – ამ მენიუდან ხდება პროფილის არჩევა ან მიმდინარეს შენახვა. ის საშუალებას იძლევა დავიმახსოვროთ გახსნილი ფანჯრების განლაგება და გრაფიკებზე დასმული ინდიკატორები და ექსპერტები და მათი პარამეტრები პროფილის სახით. მომავალში, დამახსოვრებული პროფილის არჩევისას ყველა გრაფიკი და ზედ განთავსებული ინდიკატორები და ექსპერტები აღდგება ისე, როგორც ეს შენახვის მომენტში იყო.
- **“Exit”** – მეტატრეიდერის დახურვა.

მენიუ **“Insert”**:

- **“Indicators”** – ხდება ინდიკატორების მართვის ფანჯრის გამოძახება და ინდიკატორის დამატება გრაფიკზე.

ამ მენიუს ქვემოთ განლაგებულია კოტირებებზე გრაფიკული ელემენტების დასამატებელი პუნქტები: ვერტიკალური ხაზი, ჰორიზონტალური ხაზი, დახრილი ხაზი (სატრენდო ხაზი), ვილი ენდრიუსის წერტილები, განის მარაო, ფიბონაჩის ხაზები, ფიბონაჩის მარაო, ფიბონაჩის რკალები, სიმბოლოები, ტექსტი. თუ როგორ გამოიყენებს ამ გრაფიკულ ელემენტებს ანალიზისთვის

ტრეიდერი, და გამოიყენებს თუ არა საერთოდ, დამოკიდებულია მხოლოდ ტრეიდერზე და იმაზე როგორი ანალიზის მეთოდებს იყენებს.

მენიუ ” Charts “:

- “Bar Chart” – გრაფიკის წარმოდგენა ბარების სახით.
- “Candlesticks” – გრაფიკის წარმოდგენა იაპონური სანთლების სახით.
- “Line Chart” – გრაფიკის წარმოდგენა ტეხილი ხაზის სახით.
- “Periodicity” – გრაფიკის პერიოდების გადართვის მენიუ.
- “Volumes” – გრაფიკზე მოცულობების საჩვენებლად.
- “Background” – გრაფიკის ფონის შეცვლა.

მენიუ ” Tools “:

- “New Order” – გარიგების მართვის ფანჯრის გამოძახება.

აღბათ მისახვედრია, რომ აქ არ არის აღწერილი მენიუს ყველა პუნქტი და ეს არც შედის ჩვენს გეგმებში. აღწერილი პუნქტები საკმარისია იმისთვის რომ ვიმუშაოთ ტერმინალთან და ალლო ავულოთ მას. მენიუს ეს და სხვა პუნქტები, რომლებიც ხშირად გამოიყენება, დუბლირებულია ძირითადი მენიუს ქვემოთ ზოლში ინსტრუმენტების პანელზე, სწრაფი ღილაკების სახით.

დანარჩენი ნაწილი მიემდგვნება “გარიგების მართვის ფანჯარას”, მისი გამოძახება როგორც აღვნიშნეთ ხდება მენიუდან ” Tools “>>“New Order“, შედეგად ეკრანზე გამოჩნდება გარიგების მართვის ფანჯარა (ნახ. 2).



(ნახ. 2)

პირველი და აუცილებელი ყურადღება უნდა მივაქციოთ ინსტრუმენტის დასახელებას №1 გრაფაში, შეესაბამება თა არა ის იმ წყვილის დასახელებას, რომელზეც ვგეგმავთ გარიგების შესრულებას..

მეორე, რაც უნდა გავაკეთოთ შეკვეთის გაკეთების პროცესში ავირჩიოთ ლოტის მოცულობა მე-2 გრაფაში. მცდარი მოცულობის არჩევის შემთხვევაში გარიგების გახსნის შემდეგ მას ვეღარ შევცვლით, ხოლო დაუშვებელი ლოტის მოცულობის არჩევის შემთხვევაში, გარიგების გახსნის მოთხოვნაზე, მივიღებთ უარს.


მე-3 გრაფაში გვაქვს გარიგების ტიპის არჩევის საშუალება. გარიგება შეიძლება შესრულდეს **მომენტალურად**, ან აქედან შეგვიძლია ავირჩიოთ **დროში გადადებული** გარიგების ტიპი.

მე-4 პოზიციაზე ჩანს მიმდინარე კოტირება – მარცხენა მხარეს ფასი, რომელშიც შეგვიძლია რომ გავყიდოთ და მარჯვენა მხარეს ფასი, რომელშიც შეგვიძლია რომ ვიყიდოთ. გარიგების გახსნის მომენტში სწორედ ამ ფასებს დავგიფიქსირებთ ბროკერი გარიგების ფასში. მიმდინარე კოტირება, ასევე მოჩანს ფანჯარაში 9 გრაფიკის სახით.

აგრეთვე გარიგების გაგზავნამდე შეგვიძლია შევუკვეთოთ ჩვენი შეკვეთის ავტომატური დახურვა. თუ, მე-8 გრაფაში ავირჩევთ ნულისგან განსხვავებული ფასს და მოგება მიაღწევს მითითებულ ფასს შეკვეთა ავტომატურად დაიხურება. ან, ჩვენი წაგების შესაზღუდად მე-7 გრაფაში ნულისგან განსხვავებული ფასის მითითებისას, წამგებიანი ფასის მისვლისას ამ ნიშნულზე შეკვეთა ავტომატურად დაიხურება.

ზემოთ მითითებული გრაფების სწორად შევსების შემდეგ, მზად ვართ გარიგების შეკვეთის გაგზავნისთვის. ოპერაციის ტიპი ავტომატურად განისაზღვრება იმის მიხედვით გაყიდვის ღირებულება დავაჭერთ (5) თუ ყიდვის (6). გახსნილი შეკვეთა გამოჩნდება ტერმინალის ფანჯარაში.

გახსნილი შეკვეთის ხელით დასახურად ამ შეკვეთაზე უნდა დავაკლიკოთ მარჯვენა ღირებულებით და კონტექსტის ფანჯარაში ავირჩიოთ გარიგების მოდიფიცირების პუნქტი, რის შემდეგაც გამოჩნდება გარიგების შეცვლის ფანჯარა – (ნახ.3).



(ნახ. 3)

იმის მიხედვით თუ რას ავირჩევთ გრაფაში მოდიფიცირების ტიპი, მომენტალურ შესრულებას თუ გარიგების მოდიფიცირებას, ფანჯარას ექნება ან ზედა შესახედაობა ან ქვედა. ზედაზე კარგად ჩანს რომ მომენტალურად შეიძლება გავაგზავნოთ გარიგების დახურვის მოთხოვნა, გრძელ ყვითელ ღირებულებაზე დაკლიკებით. ქვედა ფანჯრიდან კი შეგვიძლია შევცვალოთ მოგების ან წაგების ზღვრული მნიშვნელობები, რომელზეც გვინდა, რომ გარიგება ავტომატურად დაიხუროს. გრძელი ღირებულება გაუაქტიურებელი იქნება მანამ, სანამ ფასს სწორად არ ავირჩევთ სტოპ-ლოსს ან ტეიქ-პროფიტ გრაფაში.

MetaTrader 4 (MT)-ის ცხელი კლავიშები:

ცხელი კლავიშები წარმოადგენენ იმ კლავიშებს ან მათ კომბინაციებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს პროგრამის მენიუს ან მართვის პანელის გამოუყენებლად სწრაფად შევასრულოთ სხვადასხვა სახის ბრძანებები.

- ← - გრაფიკის მარცხნივ გადაადგილება;
- → - გრაფიკის მარჯვნივ გადაადგილება;
- ↑ - გრაფიკის მარცხნივ სწრაფად გადაადგილება, ხოლო ფიქსირებული მამტაბის შემთხვევაში - გრაფიკის მაღლა გადაადგილება;
- ↓ - გრაფიკის მარჯვნივ სწრაფად გადაადგილება, ხოლო ფიქსირებული მამტაბის შემთხვევაში - გრაფიკის დაბლა გადაადგილება;
- **Page Up** - გრაფიკის მარცხნივ სწრაფად გადაადგილება;
- **Page Down** - გრაფიკის მარჯვნივ სწრაფად გადაადგილება;
- **Home** - გრაფიკის საწყის პოზიციაზე გადაყვანა;
- **End** - გრაფიკის ბოლო პოზიციაზე გადაადგილება;
- "-" - გრაფიკის მამტაბის შემცირება;
- "+" - გრაფიკის მამტაბის გაზრდა;
- **Delete** - ყველა მონიშნული გრაფიკული ობიექტის წაშლა;
- **Delete** - ყველა მონიშნული გრაფიკული ობიექტის წაშლა;
- **Backspace** - გრაფიკის ფანჯარაში ბოლოს დატანილი ყველა ობიექტის წაშლა;
- **Esc** - გააქტიურებული ფანჯრის დახურვა;
- **F1** - გაიხსნას ფანჯარა - "მომხმარებლის სახელმძღვანელო";
- **F2** - გაიხსნას ფანჯარა - "კორექტირების არქივი";
- **F3** - გაიხსნას ფანჯარა - "გლობალური ცვლადები";
- **F4** - MetaEditor -ის მრჩევლის რედაქტორის გააქტიურება;
- **F6** - გრაფიკის ფანჯარაზე მიმაგრებული "ტესტერის" ფანჯრის გამოძახება;
- **F7** - ოფციების ასარჩევი მრჩევლის ფანჯრის გამოძახება;
- **F8** - გრაფიკების მოსაწყობად ოფციების შესარჩევი ფანჯრის გამოძახება;
- **F9** - "ახალი ორდერის" გახსნის ფანჯრის გამოძახება;
- **F10** - "კოტირები" ფანჯრის გახსნა;
- **F11** - სრულეკრანიანი რეჟიმის ჩართვა/გამორთვა;
- **F12** - გრაფიკის ერთი ბარით გვერდზე გადაწევა;
- **Alt+1** - ბარებით გამოსახული გრაფიკის წარმოდგენა;
- **Alt+2** - იაპონური სანთლებით გამოსახული გრაფიკის წარმოდგენა;
- **Alt+3** - სწორხაზოვანი ტეხილი ხაზით გამოსახული გრაფიკის წარმოდგენა;
- **Ctrl+A** - ინდიკატორის ფანჯრების სიმალის დაფიქსირებულად დაყენება.
- **Ctrl+G** - ბადის გამოჩენა/დაფარვა;
- **Ctrl+I** - "ინდიკატორების სიის" გამოძახება;
- **Ctrl+L** - მოცულობების გამოჩენა/ დაფარვა;
- **Ctrl+P** - გრაფიკის ბეჭდვა და ა.შ.

გრაფიკის მანიპულატორით (შემდგომში თავვი) მართვა

- დააწეეთ თავვის მარცხენა კლავიშს გრაფიკის ნებისმიერ ადგილას და კურსორზე ხელაულებლად, ჰორიზონტალური მოძრაობით გრაფიკი გადაადგილდება შესაბამისი მიმართულებით;
- დააწეეთ თავვის მარცხენა კლავიშს გრაფიკის ვერტიკალურ შკალასთან და კურსორზე ხელაულებლად, ვერტიკალური მოძრაობით გრაფიკი შეიცვლის მამტაბს ვერტიკალური მიმართულებით. ვერტიკალურ შკალაზე ორმაგი დაწკაპუნება აღადგენს გრაფიკს პირვანდელ პარამეტრებში.
- დააწეეთ თავვის მარცხენა კლავიშს გრაფიკის ჰორიზონტალურ შკალასთან (სწრაფი ნავიგაციის არეს გარდა) და კურსორზე ხელაულებლად, ჰორიზონტალური მოძრაობით გრაფიკი შეიცვლის მამტაბს.
- გრაფიკის ნებისმიერ ადგილას თავვის მარჯვენა ღილაკზე დაწოლიტ ხორციელდება გრაფიკის კონტექსტური(უკვე მინიჭებული პარამეტრების ამსახველი მენიუ) მენიუს გამოძახება;
- ტექნიკური ინდიკატორების ელემენტებზე თავვის მარცხენა კლავიშის (ხაზები, სიმბოლოები, ჰისტოგრამის სვეტები და ა.შ.) ორმაგი დაწკაპუნებით ხორციელდება ამავე ინდიკატორის პარამეტრების მენიუს გამოძახება;
- ტექნიკური ინდიკატორების ელემენტებზე თავვის მარჯვენა კლავიშის დაწკაპუნებით ხორციელდება ამავე ინდიკატორის კონტექსტური მენიუს გამოძახება;
- კონკრეტულ ობიექტზე (ტექსტი, ხაზობრივი ინსტრუმენტი ან ნიშანი) მარცხენა კლავიშის ერთჯერადი ან ორჯერადი(იმის მიხედვით თუ, როგორ არის პროგრამით განსაზღვრული) დაწკაპუნება, განაპირობებს ამავე ობიექტის მონიშვნას.
- მონიშნულ ობიექტზე მარცხენა კლავიშის დაწკაპუნება და ხელაულებლად მოძრაობა, ამავე ობიექტის შესაბამის გადაადგილებას განაპირობებს;
- Ctrl + თავვის მარცხენა კლავიშზე დაწკაპუნება ტრენდის მონიშნულ ხაზზე, განაპირობებს პარალელური ტრენდის ხაზის შქმნას (არხის შექმნა);
- გრაფიკის ფანჯარაში თავვის შუა ღილაკის დაწკაპუნება განაპირობებს კურსორის "ჯვრის" ინსტრუმენტის პოზიციაში გადასვლას (განმარტება იხილეთ მომდევნო თავში);
- მონიშნულ ობიექტზე თავვის მარჯვენა კლავიშის დაწკაპუნება, განაპირობებს ამავე ობიექტის კონტექსტური მენიუს გამოძახებას;
- კურსორის ობიექტის ელემენტთან ან ფასის დახურვის ნიშნულთან გაჩერება, განაპირობებს არსებული გარემოების განმარტების ფანჯრის გამოტანას.

"გრაფიკების" პანელი

ამ პანელზე განთავსებულია გრაფიკის მართვის ბრძანებები, მასზე დატანილი ტექნიკური საშუალებების მიხედვით:



- ბარებით გამოსახული გრაფიკის წარმოდგენა;



- იაპონური სანთლებით გამოსახული გრაფიკის წარმოდგენა;



- სწორხაზოვანი ტეხილი ხაზით გამოსახული გრაფიკის წარმოდგენა;



- გრაფიკის მამტაბის გაზრდა;



- გრაფიკის მამტაბის შემცირება;



- გრაფიკის ბოლო ბარისკენ ავტომატური გადაადგილება;



- გრაფიკის გადაადგილება ფანჯრის პირველი კიდიდან გადაწევის ნიშნულამდე (ფანჯრის 10-50%);



- პროგრამაში არსებული სტანდარტული ინდიკატორების მენიუს გამოძახება, საიდანაც შესაძლებელია თქვენთვის საჭირო ინდიკატორის არჩევა და გრაფიკზე დატანა;



- შაბლონების მენიუს გამოძახება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია არსებულ გრაფიკზე ნებისმიერი შაბლონის დადება. ან აქტიური გრაფიკის გამოყენებით ახალი შაბლონის დამახსოვრება;

ავტომატიზირებული ვაჭრობისათვის შესაძლებელია Expert Advisoris ექსპერტ მრჩევლების გამოყენება.

გრაფიკული ინსტრუმენტები

"გრაფიკული ინსტრუმენტების" პანელზე თავმოყრილია წრფივი ინსტრუმენტები და გრაფიკული ფიგურები (გეომეტრიული ფიგურები, ნიშნები ტექსტი და ა.შ.), რომელთა დადებაც შესაძლებელია გრაფიკებზე. შესაბამის დილაკზე დაწკაპუნებით ხორციელდება სხვადასხვა გრაფიკული ელემენტის დამატება:



- სტანდარტული "არჩევანის რეჟიმი". კურსორს ამ რეჟიმში შეუძლია სხვადასხვა ობიექტების მონიშვნა;



- "ჯვარი". გრაფიკის ან ინდიკატორის ფანჯარაში, ამ რეჟიმში მყოფ კურსორს შეუძლია არჩეული წერტილის კოორდინატების ამონათება. კურსორის ეს რეჟიმი მოქმედებს მხოლოდ გრაფიკის აქტიურ ფანჯარაში. თუ "ჯვრის" რეჟიმში და მარცხენა კლავიშზე ხელაუღებლად გადავაადგილებთ თავგს, ორი წერტილის დამაკავშირებელი ხაზი. მეორე წერტილის მაჯვნივ ამოანათებს ორ წერტილს შორის მანძილი და მიმდინარე ფასის მნიშვნელობა. ჩანაწერს ექნება შემდეგი ფორმატი: [ორ წერტილს შორის არსებული ბარების რაოდენობა]/[ორ წერტილს შორის არსებული პუნქტების რაოდენობა]/[მეორე წერტილში მიმდინარე ფასის მნიშვნელობა]. ამ ინსტრუმენტს ელექტრონული სახაზავი ეწოდება.



- ვერტიკალური წრფე (ხაზი);



- ჰორიზონტალური ხაზი;



- ტრენდის ხაზი;



- ჰანის მარაო;



- ფიბონაჩის მრუდები;



- ფიბონაჩის კორექციის დონეები;



- დამხმარე სიმბოლოები;



- ტექსტის დასამატებელი ნიშანი;



- გრაფიკზე კომენტარების დასამატებელი ნიშანი.

სულ ეს არის რაც შეიძლება მოკლედ თქმულიყო მეტატრეიდერის ფანჯრებისა და ნიშნების შესახებ.

სავალუტო ბაზარზე რეალურად ვაჭრობის მაგალითები

ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ, ინტერნეტ ტრეიდიנגის მრავალფუნქციური პლატფორმა Metatrader4-ის გამოყენებით რეალურად ვაჭრობის მაგალითებს: საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე Forex, აქციების ბაზარზე, ძვირფასი მეტალების ბაზარზე და ფიუჩერსული კონტრაქტების ბაზარზე.

რუბრიკის სარჩევი:

1. EUR/USD-ის სავალუტო წყვილის შესყიდვა Forex ბაზარზე
2. EUR/USD-ის სავალუტო წყვილის გაყიდვა Forex ბაზარზე
3. ნავთობის CFD ფიუჩერსული კონტრაქტის შესყიდვა
4. ნავთობის CFD ფიუჩერსული კონტრაქტის გაყიდვა
5. Microsoft Corp. აქციების (CFD) ფასთა სხვაობის კონტრაქტების შესყიდვა.
6. Sitigroup Inc. აქციების (CFD) ფასთა სხვაობის კონტრაქტების გაყიდვა.
7. ოქროსთან მიმართებაში პოზიციების ხეჯირება (ერთდროულად შესყიდვა და გაყიდვა)
8. საბირჟო ინდექსი [DJI30]-ის CFD კონტრაქტის შესყიდვა
9. საბირჟო ინდექსი [FTSE100]-ის CFD კონტრაქტის გაყიდვა


1. EUR/USD-ის სავალუტო წყვილის შესყიდვა Forex ბაზარზე



- **საწყისი მოცემულობა:** თანხა დეპოზიტზე (სავაჭრო ანგარიშზე) – **100 USD**.
კლიენტის მიერ არჩეული საკრედიტო მხარი (Leverag) - **1:200**.
- **09:15** საათზე, **USD**-ის საპირისპიროდ **EUR**-ს ზრდის დამაჯერებელი ტენდენციის პირობებში, ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას და ვყიდულობთ **0,1 ლოტ** (რეალური გამოსახულებით **10 000** ერთეული, რადგან 1 სრული ლოტი მოიცავს 100 000 ვალუტის ერთეულს) ევროპულ ვალუტას, ფასით **1 EUR = 1,5415 USD**. საკრედიტო მხრის გამოყენების შემთხვევაში ასეთი თანხით ბაზარზე შესასვლელად დაგვჭირდებოდა $1.5415 * 10000 = 15415 \text{ USD}$

- კომპანია **Admiral Markets** თავის კლიენტებს თავაზობს უპროცენტო საკრედიტო მხარს **1:200**-მდე. ასეთი მხარის გამოყენებით გარიგების განსახორციელებლად ჩვენ დაგვჭირდება მხოლოდ $15415/200 = 77,08 \text{ USD}$.
- ტრეიდერისათვის, **EUR/USD**-ის წყვილთან მიმართებაში, **0,1 ლოტის** მოცულობის გარიგების დროს, ერთი პუნქტის ცვლილება (*Pips* - კურსის ცვლილება **0,0001**-ით) **1 USD**-ის წაგების ან მოგების ტოლია.
- იმავე დღის **21:45** საათზე ფასი აღწევს **1,5550** ნიშნულს. დავუშვათ, რომ მოგების დაფიქსირება გადავწყვიტეთ სწორედ ამ ნიშნულზე. **Metatrader4**-ის მეშვეობით შესაძლებელია პოზიციის (მექანიკურად) ხელით დახურვა, თუმცა ანალოგიური ქმედების განხორციელება აგრეთვე შესაძლებელია წინასწარ გახსნილი (გადავადებული) ორდერით **Take profit**, რომელიც **Admiral Markets**-ის სავაჭრო ტერმინალზე ავტომატურად შესრულდებოდა ტრენდის ზემოხსენებულ ნიშნულთან მიღწევისთანავე.
- ყიდვაზე პოზიციის დახურვის ფასსა და გახსნის ფასებს შორის არსებული სხვაობა შეადგენს $1.5550 - 1.5415 = 0,0135$ (ანუ **135** პუნქტი)
- გარიგების შედეგად მიღებული მოგება წარმოადგენს $135 * 1 = 135 \text{ USD}$. ორდერის დახურვის შემდეგ, თანხა სავაჭრო ანგარიშზე შეადგენს: $100 + 135 = 235 \text{ USD}$. მოგების პროცენტმა, საწყისი დეპოზიტის გათვალისწინებით, **12** საათსა და **30 წუთში** განმავლობაში შეადგინა **135%**.
- თუ ჩვენ გავხსნიდით პოზიციას **0,01 ლოტის** მოცულობით, ხოლო ამისათვის საკუთარი დეპოზიტიდან გამოვიყენებდით **7,71 USD**. მოგება შესაბამისად დაფიქსირდებოდა **13,50 USD** ოდენობით.
თუ ჩვენ გავხსნიდით პოზიციას **1 ლოტის** მოცულობით, ხოლო ამისათვის საკუთარი დეპოზიტიდან გამოვიყენებდით **770,75 USD**. მოგება შესაბამისად დაფიქსირდებოდა **1350 USD** ოდენობით.


2. EUR/USD-ის სავალუტო წყვილის გაყიდვა Forex ბაზარზე



- **საწყისი მოცემულობა:** თანხა დეპოზიტზე (სავაჭრო ანგარიშზე) – **2000 USD**.
კლიენტის მიერ არჩეული საკრედიტო მხარი (Leverag) - **1:100**.
- **09:10** საათზე, **EUR** იწყებს გაიფებას **USD** -თან მიმართებაში. ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას და ვხსნით პოზიციას **1 ლოტის** მოცულობის ევროპულ ვალუტის გაყიდვაზე (რეალური გამოსახულებით **100 000** ერთეულს) ფასით **1 EUR =1,5730 USD**. ასეთი პოზიციის გახსნისათვის არ არის აუცილებელი ევროს წინასწარი შესყიდვა, რადგან ყველა სავაჭრო ოპერაციები დაანგარიშებული იქნება აშშ დოლარებში, ანუ დეპოზიტზე არსებულ ვალუტაში. საკრედიტო მხრის გამოყენების შემთხვევაში ასეთი თანხის გაყიდვისათვის ბაზარზე შესასვლელად დაგვჭირდებოდა $1.5730 * 100000 = 157300 \text{ USD}$.
- **1: 100**-თან საკრედიტო მხრის გამოყენების შემთხვევაში, გარიგების განსახორციელებლად დაგვჭირდება მხოლოდ $157300/100 = 1573 \text{ USD}$.
- ტრეიდერისათვის, **EUR/USD**-ის წყვილთან მიმართებაში, **1 ლოტის** მოცულობის გარიგების დროს, ერთი პუნქტის ცვლილება (*Pips* - კურსის ცვლილება **0,0001**-ით) **10 USD** წაგების ან მოგების ტოლფასია.
- იმავე დღის **15:55** საათზე ფასი აღწევს **1,5640** ნიშნულს. დავუშვათ, რომ მოგების დაფიქსირება გადავწყვიტეთ სწორედ ამ ნიშნულზე. **Metatrader4**-ის მეშვეობით შესაძლებელია პოზიციის (მექანიკურად) ხელით დახურვა, თუმცა ანალოგიური ქმედების განხორციელება აგრეთვე შესაძლებელია წინასწარ გახსნილი (გადავადებული) ორდერით **Take profit**, რომელიც **Admiral Markets**-ის სავაჭრო ტერმინალზე ავტომატურად შესრულდებოდა ტრენდის ზემოხსენებულ ნიშნულთან მიღწევისთანავე.

- გაყიდვაზე პოზიციის გახნის ფასსა და დახურვის ფასს შორის არსებული სხვაობა შეადგენს $1.5730 - 1.5640 = 0,0090$ (ანუ **90** პუნქტი)
- გარიგების შედეგად მიღებული მოგება წარმოადგენს $90 * 10 = 900$ USD.
ორდერის დახურვის შემდეგ, თანხა სავაჭრო ანგარიშზე შეადგენს: $2000 + 900 = 2900$ USD.
მოგების პროცენტი, საწყისი დეპოზიტის გათვალისწინებით, **6** საათსა და **45** წუთში შეადგენს **45 %**.
- თუ ჩვენ გავხსნიდით პოზიციას **0,01 ლოტის** მოცულობით, ხოლო ამისათვის საკუთარი დეპოზიტიდან გამოვიყენებდით **15,73** USD.
მოგება შესაბამისად დაფიქსირდებოდა **9** USD ოდენობით.
თუ ჩვენ გავხსნიდით პოზიციას **0,1 ლოტის** მოცულობით, ხოლო ამისათვის საკუთარი დეპოზიტიდან გამოვიყენებდით **157,30** USD.
მოგება შესაბამისად დაფიქსირდებოდა **90** USD ოდენობით.

3. ნავთობის CFD ფიუჩერსული კონტრაქტის შესყიდვა



- **საწყისი მოცემულობა:** თანხა დეპოზიტზე (სავაჭრო ანგარიშზე) – **1000 USD**.
- **14:15** საათზე, ნავთობის (**#QM**) ფასი დემონსტრაციულად განაგრძნობს აღმასვლას. ზრდის დამაჯერებელი ტენდენციის პირობებში, ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას და ვყიდულობთ **0,5 ლოტ** სტანდარტულ კონტრაქტს (რეალური გამოსახულებით **1 ლოტი = 500 ბარელ ნავთობს**), ფასით **1 ბარელი = 137,55 USD**. მიუხედავად იმისა თუ რომელ საკრედიტო მხარს აირჩევს კლიენტი, მარჯირებული ვაჭრობის მოთხოვნა ერთ ლოტ ნავთობზე შეადგენს **1350 USD**, შესაბამისად, ნახევარი ლოტის შესასყიდად სადეპოზიტო ანგარიშიდან ჩვენ დაგვჭირდება $1350 \cdot 0,5 = 675 \text{ USD}$ -ის ოდენობის თავისუფალი თანხა.
- ნავთობის კონტრაქტზე **0,5 ლოტის** მოცულობის გარიგების დროს, ერთი პუნქტის ცვლილება (ფასის **0,01**-ით ცვლილება) შეადგენს **2,50 USD** (რადგან ფინანსური ინსტრუმენტის სპეციფიკაციაში მითითებულია, რომ სრული ლოტის შემთხვევაში ერთი პუნქტის ცვლილების სიდიდე შეადგენს **5 USD**).
- მომდევნო დღეს **16:30** საათზე **1 ბარელი** ნავთობის ფასმა აიწია **144,70 USD** ნიშნულამდე. დავუშვათ, რომ მოგების დაფიქსირება გადაწყვიტეთ სწორედ ამ ნიშნულზე. **Metatreider4**-ის მეშვეობით შესაძლებელია პოზიციის (მექანიკურად) ხელით დახურვა, თუმცა ანალოგიური ქმედების განხორციელება აგრეთვე შესაძლებელია წინასწარ გახსნილი (გადავადებული) ორდერით **Take profit**, რომელიც **Admiral Markets**-ის სავაჭრო ტერმინალზე ავტომატურად შესრულდებოდა ფასის ზემოხსენებულ ნიშნულთან მიღწევისთანავე.
- ყიდვაზე გახსნილი პოზიციის დახურვის ფასსა და გახსნის ფასს შორის არსებული სხვაობა შეადგენს $144,70 - 137,55 = 7,15 \text{ USD}$ (ანუ **715** პუნქტი)

- გარიგების შედეგად მიღებული მოგება წარმოადგენს $715 * 2,5 = 1787,5 \text{ USD}$. პოზიციის მომდევნო დღეს გადატანით (Swap), რაც კონტრაქტის სპეციფიკაციით არის განსაზღვრული, ბროკერის ანაზღაურება შეადგენს $10 * 0,5 = 5 \text{ USD}$.

პოზიციის დახურვის შემდეგ შედეგი მყისიერად აისახება თქვენსავც სავაჭრო ანგარიშზე, რაც მთლიანობაში შეადგენს: $1000 + 1787,5 - 5 = 2782,50 \text{ USD}$.

მოგების პროცენტი, საწყისი დეპოზიტის გათვალისწინებით, არასრული დღეღამის განმავლობაში შეადგენს **178,25 %**.
- თუ ჩვენ გავხსნიდით პოზიციას **0,01 ლოტის** მოცულობით, ხოლო ამისათვის საკუთარი დეპოზიტიდან გამოვიყენებდით **13,50 USD**.

მოგება შესაბამისად დაფიქსირდებოდა **35,75 USD** ოდენობით.

თუ ჩვენ გავხსნიდით პოზიციას **1 ლოტის** მოცულობით, ხოლო ამისათვის საკუთარი დეპოზიტიდან გამოვიყენებდით **1350 USD**.

მოგება შესაბამისად დაფიქსირდებოდა **3575 USD** ოდენობით.

4. ნავთობის CFD ფიუჩერსული კონტრაქტის გაყიდვა



- **საწყისი მოცულობა:** თანხა დეპოზიტზე (სავაჭრო ანგარიშზე) – **300 USD**.
- **04:45** საათზე, ნავთობის (**#QM**) ფასი, შეერთებული შტატების ეკონომიკის რეცესიის ფონზე დემონსტრაციულად განაგრძნობს ვარდნას. დაღმასვლის დამაჯერებელი ტენდენციის პირობებში, ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას და ვყიდით **0,1 ლოტ** სტანდარტულ კონტრაქტს (რეალური გამოსახულებით **1 ლოტი = 500 ბარელ ნავთობს**) ფასით **1 ბარელი = 70,25 USD**. მიუხედავად იმისა თუ რომელ საკრედიტო მხარს აირჩევს კლიენტი (ტრეიდერი), მარჟირებული ვაჭრობის მოთხოვნა ერთ ლოტ ნავთობზე შეადგენს **1350 USD**, შესაბამისად, **0,1 ლოტის** შესასყიდად ჩვენი სადეპოზიტო ანგარიშიდან დაგვჭირდება $1350 * 0,1 = 135 \text{ USD}$ -ის ოდენობის თავისუფალი თანხა. რადგანაც საქმე გვაქვს ნავთობის (**CFD**) ფასთა სხვაობების ფიუჩერსულ კონტრაქტებთან, გაყიდვაზე პოზიციის გახსნის წინ შესყიდვის მოთხოვნა არ დგება.
- ნავთობის კონტრაქტზე, **0,1 ლოტის** მოცულობის გარიგების დროს, ერთი პუნქტის ცვლილება (ფასის **0,01**-ით ცვლილება) შეადგენს **0,50 USD** (რადგან ფინანსური ინსტრუმენტის სპეციფიკაციაში მითითებულია, რომ სრული ლოტის შემთხვევაში ერთი პუნქტის ცვლილების სიდიდე შეადგენს **5 USD**).
- იმავე დღის **20:45** საათზე, **1 ბარელი** ნავთობის ფასმა დაიწია **66,50 USD** ნიშნულამდე. დავუშვათ, რომ მოგების დაფიქსირება გადაწყვიტეთ სწორედ ამ ნიშნულზე. **Metatrader4**-ის მეშვეობით შესაძლებელია პოზიციის (მექანიკურად) ხელით დახურვა, თუმცა ანალოგიური ქმედების განხორციელება აგრეთვე შესაძლებელია წინასწარ გახსნილი (გადავადებული) ორდერით **Take profit**, რომელიც **Admiral Markets**-ის სავაჭრო

ტერმინალზე ავტომატურად შესრულდებოდა ფასის ზემოხსენებულ ნიშნულთან მდწევისთანავე.

- გაყიდვაზე გავსნილი პოზიციის ფასსა და დახურვის ფასს შორის არსებული სხვაობა შეადგენს $70,25 - 66,50 = 3,75 \text{ USD}$ (ანუ **375** პუნქტი)
- გარიგების შედეგად მიღებული მოგება წარმოადგენს $375 * 0,50 = 187,5 \text{ USD}$.
ორდერის დახურვის შემდეგ თანხა სავაჭრო ანგარიშზე შეადგენს: $300 + 187,50 = 487,50 \text{ USD}$.
მოგების პროცენტი საწყისი დეპოზიტის გათვალისწინებით, **16 საათის** განმავლობაში შეადგენს **62,5 %**.
- თუ ჩვენ გავხსნიდით პოზიციას **0,01 ლოტის** მოცულობით, ხოლო ამისათვის საკუთარი დეპოზიტიდან გამოვიყენებდით **13,50 USD**.
მოგება შესაბამისად დაფიქსირდებოდა **18,75 USD** ოდენობით.
თუ ჩვენ გავხსნიდით პოზიციას **1 ლოტის** მოცულობით, ხოლო ამისათვის საკუთარი დეპოზიტიდან გამოვიყენებდით **1350 USD**.
მოგება შესაბამისად დაფიქსირდებოდა **1875 USD** ოდენობით.

5. Microsoft Corp. აქციების (CFD) ფასთა სხვაობის კონტრაქტების შესყიდვა.



- საწყისი მოცემულობა:** თანხა დეპოზიტზე (სავაჭრო ანგარიშზე) – **3000 USD**.
 აქციის CFD კონტრაქტებზე საკრედიტო მხარი (Leverag) - **1:10**.
- 15:05** საათზე, აშშ საფონდო ბირჟების სავაჭრო სესიების გახსნის შემდეგ, ტრენდის აღმავალი მიმართულებით ზრდის დამაჯერებელი პროგნოზების გათვალისწინებით ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას და ვყიდულობთ კორპორაცია **Microsoft-ის 500 CFD** კონტრაქტს (ანუ 500 აქციას), ფასით **1 აქცია = 25,25 USD** (გარიგების ფასი $500 * 25,25 = 12625 USD$). საკრედიტო მხარი ყველა აქციის კონტრაქტზე შეადგენს **1:10**, შესაბამისად სავაჭრო პოზიციის გასახსნელად თქვენ დაგჭირდებათ $12625/10 = 1262,5 USD$ ოდენობის თავისუფალი თანხა დეპოზიტზე, + ბროკერის საკომისიო, რომელიც შეადგენს $500 * 0,06 = 30 USD$ (როგორც მითითებულია სავაჭრო პირობებში).
- იმავე დღეს, სავაჭრო სესიის დასრულებისას, **19:15** საათზე კორპორაცია **Microsoft-ის** ერთი აქციის ფასმა მიაღწია **26,45 USD**. დავუშვათ, რომ მოგების დაფიქსირება გადავწყვიტეთ სწორედ ამ ნიშნულზე. **Metatrader4-ის** მეშვეობით შესაძლებელია პოზიციის (მექანიკურად) ხელით დახურვა, თუმცა ანალოგიური ქმედების განხორციელება აგრეთვე შესაძლებელია წინასწარ გახსნილი (გადავადებული) ორდერით **Take profit**, რომელიც **Admiral Markets-ის** სავაჭრო ტერმინალზე ავტომატურად შესრულდებოდა ფასის ზემოხსენებულ ნიშნულთან მიახლოებისთანავე.

- ყიდვაზე გახსნილი პოზიციის დახურვის ფასსა და გახსნის ფასს შორის სხვაობა შეადგენს $26,45 - 25,25 = 1,20 \text{ USD}$, შესაბამისად ჩვენს მიერ შესყიდული 500 (CFD) აქციების ფასი შეადგენს $500 * 26,45 = 13225 \text{ USD}$
- გარიგების შედეგად მიღებული მოგება შეადგენს: $13225 - 12625 = 600 \text{ USD}$
 ორდერის დახურვის შემდეგ თანხა სავაჭრო ანგარიშზე შეადგენს: $3000 + 600 - 30 = 3570 \text{ USD}$

6. Sitigroup Inc. აქციების (CFD) ფასთა სხვაობის კონტრაქტების გაყიდვა.




- **საწყისი მოცემულობა:** თანხა დეპოზიტზე (სავაჭრო ანგარიშზე) – **4000 USD**.
 აქციის **CFD** კონტრაქტებზე საკრედიტო მხარი (Leverag) - **1:10**.
- **17:20** საათზე, ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უმსხვილესი საბანკო კორპორაცია **Sitigroup Inc.**-ის ხელმძღვანელობის მიერ, ფინანსური კრიზისით გამოწვეული დანაკარგების შესაძლო ზრდის შესახებ გაკეთებული განცხადების საფუძველზე, ვიღებთ გადაწყვეტილებას კორპორაცია **Sitigroup Inc.**-ის **1500 აქციის** გაყიდვასთან დაკავშირებით.
- ვყიდით **1500 CFD** კონტრაქტს, ფასით 1 აქცია = **14,10 USD** (გარიგების ფასი შეადგენს $1500 \times 14,10 = 21150 \text{ USD}$). გაყიდვაზე ასეთი პოზიციის გახსნისათვის არ არის აუცილებელი აქციების წინასწარ შესყიდვა. საკრედიტო მხარი ყველა აქციის კონტრაქტზე შეადგენს **1:10**, შესაბამისად სავაჭრო პოზიციის გასახსნელად თქვენ დაგჭირდებათ $21150/10 = 2115 \text{ USD}$ ოდენობის თავისუფალი თანხა დეპოზიტზე, + ბროკერის საკომისიო, რომელიც შეადგენს $1500 \times 0,06 = 90 \text{ USD}$ (როგორც მითითებულია სავაჭრო პირობებში).
- მომდევნო დღეს, **18,55** საათზე კორპორაცია **Sitigroup Inc.**-ის აქციებზე ფასი ვარდება **12,65 USD**-მდე. დავუშვათ, რომ მოგების დაფიქსირება გადაწყვიტეთ სწორედ ამ ნიშნულზე. **Metatrader4** -ის მეშვეობით შესაძლებელია პოზიციის (მექანიკურად) ხელით დახურვა, თუმცა ანალოგიური ქმედების განხორციელება აგრეთვე შესაძლებელია წინასწარ გახსნილი (გადავადებული) ორდერით **Take profit**, რომელიც **Admiral Markets**-ის სავაჭრო ტერმინალზე ავტომატურად შესრულდებოდა ფასის ზემოხსენებულ ნიშნულთან მიახლოებისთანავე.
- გაყიდვაზე გახსნილ პოზიციის ფასსა და დახურვის ფასს შორის სხვაობამ შეადგინა $14,10 - 12,65 = 1,45 \text{ USD}$, ესეიგი ჩვენს მიერ შესყიდული 1500 (CFD) აქციების ფასი შეადგენს

$1500 * 12,65 = 18975 \text{ USD}$, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე ჩვენ მოგებას ვღებულობთ ფასთა ვარდნის შედეგად.

- გარიგების შედეგად მიღებული მოგება შეადგენს: $21150 - 18975 = 2175 \text{ USD}$.

პოზიციის მომდევნო დღეს გადატანის შემთხვევაში (Swap), საბირჟო სესიის დახურვის შემდეგ (სავაჭრო სესიის დახურვის მომენტში კორპორაცია **Sitigroup Inc.**-ის აქციების ფასმა შეადგინა **13,15 USD**) ტრეიდერს სავაჭრო ანგარიშზე დამატებით ჩაერიცხებოდა $(1500 * 13,15 * 2,89) / 100 / 360 = 1,58 \text{ USD}$, რადგან სვოპ პოზიციები CFD-ს გაყიდვებზე დადებითია (+2,89% წლიური). გარიგების შედეგად სავაჭრო ანგარიშზე თანხა შეადგენს: $4000 - 30 + 2175 + 1,58 = 6146,58 \text{ USD}$

7. ოქროსთან მიმართებაში პოზიციების ხეჯირება (ერთდროულად ყიდვა და გაყიდვა)



- **საწყისი მოცემულობა:** თანხა დეპოზიტზე (სავაჭრო ანგარიშზე) – **500 USD**.
- **05:15** საათზე, ოქროთი ვაჭრობის (**Gold**) პროცესში ვლემულობთ გადაწყვეტილებას ხეჯირებული პოზიციების გახსნასთან დაკავშირებით. პირობითად, ძვირფასი ლითონების ბაზარი ისეთი სახით გვავს წარმოდგენილი სადაც ტრენდის მოძრაობის მიმართულებები ძნელად პროგნოზირებადია, ამიტომ შევეცადოთ ისეთი ქმედებების განხორციელება, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება დეპოზიტის შევსება, როგორც ფასების ზრდაზე, აგრეთვე მათ ვარდნაზეც. ხეჯირება თავის თავში გულისხმობს ორი სავაჭრო პოზიციის ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით ერთდროულად გახსნას (ყიდვაზე და გაყიდვაზე). სანამ ორივე პოზიცია ერთდროულად არის გახსნილი, ერთ-ერთის მხრივ მიღებული ზარალი ნებისმიერ შემთხვევაში კომპენსირდება მეორე მხრის შემოსავლით (მოგება), შესაბამისად ტრეიდერი არაფერს არ რისკავს.
- ვყიდულობთ **0,05 ლოტის** მოცულობის ოქროს, ფასად **1 უნცია (troy oz) = Ask 733 USD** და ამავდროულად ვხსნით ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციას **0,05 ლოტის** მოცულობის ოქროს გაყიდვაზე, ფასად **1 უნცია (troy oz) = Bid 732,30 USD**.
 ყიდვის ფასს(Ask) და გაყიდვის(Bid) ფასს შორის სხვაობა - სპრედი(Spred) = 80 პუნქტს.
 ოქროს ერთი სრული ლოტის მოცულობა = **100 უნციას(troy oz)**.
 შესაბამისად ჩვენ გავხსენით პოზიციები შემდეგი პარამეტრებით $100 * 0,5 * 2 = 10$ უნცია(troy oz).
- (1 უნცია(troy oz) = 31,10348 გრამი).
- საკრედიტო მხარის გარეშე ასეთი გარიგების განსახორციელებლად ჩვენი დეპოზიტიდან დაგვჭირდებოდა $5 * 733,10 + 5 * 732,30 = 7327$ USD-ის ოდენობის თავისუფალი თანხა. ოქროს კონტრაქტებით მარჟირებული ვაჭრობის დროს, მარჟირების სათავადებო მოთხოვნა

შეადგენს გარიგების მთლიანი ღირებულების **2%**, ხოლო ხეჯირებული პოზიციების გახსნის დროს არსებული სათავდებო თანხა **ნახევრდება** და **1%**-ის ტოლია.

შესაბამისად არსებული გარიგების განსახორციელებლად ჩვენი დეპოზიტიდან დაგვჭირდება მხოლოდ $7327 * 0,01 = 7327 \text{ USD}$ -ის ოდენობის თავისუფალი თანხა.

- **0,05 ლოტის** მოცულობის გარიგების დროს, ერთი პუნქტის ცვლილება (Pips - კურსის **0,01**-ით ცვლილება) **0,05 USD** წაგების ან მოგების ტოლია (რადგან ფინასური ინსტრუმენტის სპეციფიკაციაში მითითებულია, რომ ერთი სრული ლოტისათვის 1 პუნქტი **1 USD**-ის ტოლია).
- პირობითად, ბაზარზე სიტუაცია ვითარდება შემდეგნაირად:
 - 09:30** საათზე ოქროს ფასი ეცემა **709,70 USD (Ask)** ნიშნულამდე, რის შემდეგაც ვლებულობთ გადაწყვეტილებას, გაყდვაზე გახსნილი პოზიციის დახურვასთან დაკავშირებით და ვაფიქსირებთ მოგებას **2260** პუნქტის ოდენობით.
 - 17:45** საათისათვის, როცა ფასი კვლავ მაღლა იწევს ვხურავთ ყიდვაზე გახსნილ პოზიციას **745,20 USD (Bid)** ფასის ნიშნულზე და ვაფიქსირებთ მოგებას **1210** პუნქტის ოდენობით.
- გარიგებების შედეგად მიღებული მოგება შეადგენს: $(2260 + 1210) * 0,05 = 173,50 \text{ USD}$.
ორდერის დახურვის შემდეგ თანხა სავაჭრო ანგარიშზე შეადგენს: $500 + 173,50 = 673,50 \text{ USD}$.
მოგების პროცენტი, საწყისი დეპოზიტის გათვალისწინებით, **12 საათისა და 30 წუთის** განმავლობაში შეადგენს **34,7%**.

8. საბირჟო ინდექსი [DJI30]-ის CFD კონტრაქტის შესყიდვა



- **საწყისი მოცულობა:** თანხა დეპოზიტზე (სავაჭრო ანგარიშზე) – **300 USD**.
- **14:15** ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას და ვყიდულობთ **1 ლოტი [DJI30]** (საბირჟო ინდექსი - [DJI30] Dow Jones Industrial Average 1 CFD კონტრაქტი), ფასით **7910 USD**. საბირჟო ინდექსებით მარჟირებული ვაჭრობის დროს მარჟირების სათავდებო მოთხოვნა შეადგენს გარიგების მთლიანი ღირებულების **2%**, შესაბამისად ერთი სრული ლოტის შესასყიდად ჩვენი სავაჭრო ანგარიშიდან დაგვჭირდება $7910 * 0,02 = 158,20 \text{ USD}$ ოდენობის თავისუფალი თანხა.
- **1 ლოტის** მოცულობის გარიგების დროს, საბირჟო ინდექსი - [DJI30]-ის ერთი საინდექსო პუნქტით ცვლილება (ფასის **1.0**-ით ცვლილება) **1 USD**-ის წაგების ან მოგების ტოლია (როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სპეციფიკაციაშია მითითებული).
- იმავე დღის **17:15** საათზე ინდექსის ფასი მაღლა იწევს **7972** ნიშნულამდე. დაუშვათ, რომ მოგების დაფიქსირება გადავწყვიტეთ სწორედ ამ ნიშნულზე. **Metatrader4**-ის მეშვეობით შესაძლებელია პოზიციის (მექანიკურად) ხელით დახურვა, თუმცა ანალოგიური ქმედების განხორციელება აგრეთვე შესაძლებელია წინასწარ გახსნილი (გადავადებული) ორდერით **Take profit**, რომელიც **Admiral Markets**-ის სავაჭრო ტერმინალზე ავტომატურად შესრულდებოდა ფასის ზემოხსენებულ ნიშნულთან მიღწევისთანავე.
- ყიდვაზე გახსნილი პოზიციის დახურვის ფასსა და გახსნის ფასს შორის სხვაობა შეადგენს $7972 - 7910 = 62$ საინდექსო პუნქტს.
- გარიგების შედეგად მიღებული მოგება წარმოადგენს $62 * 1 = 62 \text{ USD}$. ორდერის დახურვის შემდეგ თანხა სავაჭრო ანგარიშზე შეადგენს: $300 + 62 = 362 \text{ USD}$.

9. საბირჟო ინდექსი [FTSE100]-ის CFD კონტრაქტის გაყიდვა



- საწყისი მოცემულობა:** თანხა დეპოზიტზე (სავაჭრო ანგარიშზე) – **1500 USD**.

11:25 ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას და ვყიდით **5 ლოტ** [FTSE100]-ს (ლონდონის საფონდო ბირჟის ინდექსი - [FTSE100] Financial Times Stock Exchange 100 5 CFD კონტრაქტი), ფასით **3987,5 GBP**. ასეთი პოზიციის გასახსნელად აუცილებლობას არ წარმოადგენს CFD საბირჟო ინდექსებით მარჟირებული ვაჭრობის დროს მარჟირების სათავდებო მოთხოვნა შეადგენს გარიგების მთლიანი ღირებულების **2%**, შესაბამისად 5 ლოტის შესასყიდად ჩვენი სავაჭრო ანგარიშიდან დაგვჭირდება $3987,5 * 0,02 * 5 = 398,75 \text{ GBP}$ ოდენობის თავისუფალი თანხა.
- დავუშვათ, რომ GBP/USD სავალუტო წყვილის საბაზრო კურსი შეადგენს **1,4992**. აქედან გამომდინარე აშშ დოლარზე კონვერტირებით ჩვენი დეპოზიტიდან დაგვჭირდება $398,75 * 1,4992 = 597,81 \text{ USD}$ ოდენობის თავისუფალი თანხა.
- ლონდონის საფონდო ბირჟის ინდექსი - [FTSE100] -ის, **5 ლოტის** მოცულობის გარიგების დროს, ერთი საინდექსო პუნქტის ცვლილება (ფასის **1.0**-ით ცვლილება) **5 BGP**-ის წაგების ან მოგების ტოლია (როგორც ფინასური ინსტრუმენტის სპეციფიკაციაშია მითითებულია 1 საინდექსო ლოტზე - 1 BGP).
- იმავე დღეს **13:10** საათზე ინდექსის ფასმა დაიწია **3965,0** ნიშნულამდე. დავუშვათ, რომ მოგების დაფიქსირება გადავწყვიტეთ სწორედ ამ ნიშნულზე. **Metatrader4**-ის მეშვეობით შესაძლებელია პოზიციის (მექანიკურად) ხელით დახურვა, თუმცა ანალოგიური ქმედების განხორციელება აგრეთვე შესაძლებელია წინასწარ გახსნილი (გადავადებული) ორდერით **Take profit**, რომელიც **Admiral Markets**-ის სავაჭრო ტერმინალზე ავტომატურად შესრულდებოდა ფასის ზემოხსენებულ ნიშნულთან მიღწევისთანავე.

- გაყიდვაზე გახსნილი პოზიციის ფასსა და დახურვის ფასს შორის სხვაობა შეადგენს $3987,5 - 3965,0 = 22,5$ საინდექსო პუნქტს.
- გარიგების შედეგად მიღებული მოგება შეადგენს $22,5 * 5 = 112,5$ BGP
 თუ მოცემულ მომენტში (პირობითად) GBP/USD სავალუტო წყვილის საბაზრო კურსი არის **1,4933**, გამომუშავებული თანხა აშშ დოლარებზე შეადგენს $112,5 * 1,4933 = 168$ USD და ჩვენს სავაჭრო ანგარიშზე დაირიცხება $1500 + 168 = 1668$ USD.

სახელმძღვანელოს შემდგენელთა ბოლოსიტყვაობა:

ვიტოვებთ იმედს, რომ ჩვენი მცდელობა, შეგვედგინა საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე საქმიანობის თვითმასწავლებელი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე მხოლოდ დასაწყისია.

საჭირო მასალები ჩვენს მიერ დამუშავებული და თარგმნილია სხვადასხვა ავტორების სხვადასხვაენოვანი ლიტერატურიდან, რისთვისაც ყოველ მათგანს ვუხდით მადლობას.

თარგმნის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ არსებული თემა და მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ბაზარის სპეციფიკა თავისი მრავალფეროვნებით, ქართულენოვანი მომხმარებლებისათვის არც თუ დიდი ხნის წინ გახდა ხელმისაწვდომი. გასაგები მიზეზების გამო, წინამდებარე კურსში გამოყენებული მცნებების, სრულად შესატყვისი ქართული ტერმინები ჯერ შორს არის სრულყოფილებისაგან. ამიტომ უკვე საყოველთაოდ ფეხმოკიდებული "ტერმინების" გამოყენებასთან ერთად ვცდილობდით მათი მნიშვნელობები შეგვეჯერებინა შინაარსობრივად შესატყვის, ქართულ ენათმეცნიერებაში არსებულ მცნებებთან. რამდენად შევძელით ეს მკითხველის განსასჯელია, თუმცა ეს პრობლემა არ ახალია. ტექნიკური პროგრესი ყოველთვის წინ უსწრებდა სრულყოფილი ტერმინოლოგიის დაფუძნებას. როგორც ამბობენ, დრო ყველფერს თავ-თავის ადგილს მიუჩენს, ამიტომ სახელმძღვანელოს შემდგენლები გამოვხატავთ მზადყოფნას ყველა მკითხველთან თანამშრომლობაზე, უფრო უკეთესი შესატყვისი ქართული ტერმინების შეჯერებასა და შერჩევაში.

შემოთავაზებული სახელმძღვანელო დაინტერესებულ პირთათვის ძალზედ საინტერესო და ამავდროულად ერთობ სპეციფიურია. შეძლებთ თუ არა შემდგომში, ამ ძირითადი პრინციპების პრაქტიკაში წარმატებით გამოყენებას დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ყურადღებით გაეცნობით მოცემულ მასალას, რადგან მისი გარბენით შესწავლა შეუძლებლად, უფრო მეტიც დროის უქმად კარგვად მიგვაჩნია.

ადამიანთა ერთი ჯგუფი ფინანსურ ბაზარზე იწყებს ვაჭრობას, იმ სურვილით, რომ უშუალოდ საკუთარ სახლში შეიგრძნონ "უოლ სტრიტის" ხიბლი და აღიქვან ბაზარი ერთ მთლიან ცოცხალ ორგანიზმად. ასეთი ადამიანები პოულობენ ზუსტად იმას, რასაც ეძებენ.

სხვანი საერთაშორისო ბაზარზე ვაჭრობას აღიქვამენ, ტექნიკური და ფუნდამენტალური ანალიზს, როგორც მეცნიერების შემეცნების გამოწვევად და ფინანსური კოტირებებისა და ეკონომიკური სიახლეები ლაბორინთში წვდომის სურვილით იკვლევენ გზას. ისინიც პოულობენ ზუსტად იმას, რასაც ეძებდნენ.

ზოგიერთებისთვის ტრეიდინგი, მაღალანაზღაურებადი, ყოველდღიური ბიზნესია, მათთვის ეს მომხიბლავი ჰობი და ინტელექტუალური თამაშია. რა თქმა უნდა ისინიც პოულობენ ზუსტად იმას, რასაც ეძებდნენ.

იმედია, ამ სახელმძღვანელოს შესწავლის შემდეგ, ყოველი მკითხველი იპოვის თავის თავში რაღაც ახალს და რეალიზდება, როგორც წარმატებული ტრეიდერი.

წინამდებარე სახელმძღვანელო ჩვენს მიერ შედგენილია ზუსტად იმ კატეგორიის მკითხველისათვის ვისაც მეტის წვდომისა და მეტის მიღწევის სურვილი ამოძრავებს.

გულწრფელად გისურვებთ წარმატებას!

გიორგი ნემსაძე

დავით წიქარიძე